

XX

პარი მეცხრე


# ყარაგანიანი

სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი, სახლთუხუცის და  
სარდლის თავ. დავით ოკრებლიანისაგან. „საამოთ სა-  
სმენელი.“

3636

გამოცემა მეორე


გამოცემული. დ. ლაზარევის-მიერ.



ბზილისი

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქუჩა № 21.

1903.



Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Ноября 1903 года.

## შინა-არსი

ბქ ამბავი შარამანისა, ოდეს ქაბულის ქვეყანაში მობრძანდა.—ამბავი ნარიმანისა, შოვლიბანისა, შათრანისა და ხოსროვშირისა.—ბქ ამბავი ჯიმშუდ-ზანისა, აყიყ-ხანისა, ხურშუდ-ხანისა, მათი საიდუმლო საქმის შეტყობა და აგრეთვე როვან-ბახტისა.—ბქ საჰმან-ადამზადის მოსვლა უშანგ-ბათილამ ქაბულს და არდევან-შაჰას წერილის მირთმევა, შირვან-ვეზირისა და მისი ამხანაგების მუხანათობის სამართალი.—ბქავ ბურჯ-ვეზირისაგან თავის წერილის წაკითხვა, ვითომ არდევან-შაჰის მოწერილობაა, და დიდებულებთაკან იმ წერილის ამბის სმენა.—ბქ შირვან-ვეზირის გრძნებით თავიანთ თავის სამართლის გარდაწყვეტა და თავის ამხანაგებით, ბურჯ-ვეზირისაგან მათი წერილის მაღლა ხმით წაკითხვა და მათ მუხანათობის გამო დახრჩობის სამართალი.—ბქ შაჰ-პალ-შაჰას წასვლა თავის ქვეყანას ოცი ათისის ფერიით და დევებით, თავის ქალის ბულიჯანის მზითვის მოსატანად უშანგ-ბათში.—ბქ უშანგისაგან ანდერძის დაწერა.—ბქ უშანგისა და სხვა ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ქაბულის ქვეყნის მწუხარების ამბავი და შარამანის შეტყობინება.—ბქავ. დიწყება ქვეშენეთის ხელმწიფეების ზემო ქვეყნად ამოსვლა, სამან-ხანისა, ძირმან-ხანისა, და ზურან-ხელმწიფისა, რომელნიც საკვირველნი ფალევანნი იყვნენ.—ბქ მუხანის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ თურქისტნის ხელმწიფეების ადამ-ხანისა და მუშთარ-ხანის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ხარბაქ-დევისა და ჯინების წამოსვლის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ შურუკის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ქურუკის მიმყვანი ჯინების ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ მოიხსენიეთ, ვითარ მოვიდნენ ბნელეთის ქვეყნიდამ ჯინთა ხელმწიფენი ინდოეთს.—ბქ კვალად შურუკისა მოიხსენიეთ.—ბქ ზორაბის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ შურუკის ამბის ცნობა.—ბქ ჯინთა ხელმწიფეების ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ შურუკის საგონებლის გარდა, ზორაბ დევისა და ზარამ-შაჰას ამბავი მოიხსენიეთ.—ბქავ იმ ჯინისტნის სამთა ხელმწიფეების ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ზარბაქ დევის თადარიგი და ამის გარდა შურუკის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ შარამანის გარდაცვალების ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ შარამანი ამლოცვაში დაუტეოთ და სარვიზურამანის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ კვალად შარამანის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ გათავდა შარამანის ამბვის მოთხრობა.—ბქავ შურუკისა და ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

## ს უ რ ა თ ე ბ ი

- 1) ამი თხზთა გმირთა: ნარიმანისა, სოსროშირისა, ყოფლიბანისა და უათრანისა, წყუშან-ბახტის ღაშქართან და იმის მწვეულ-ჯადო-ფაღვენებთან, ვიდრე ურამანი და ქუჩუკი მკეშელებდნენ.
- 2) ქუჩუკის მგზავრობა, ინდოეთის მხარეს სომალდით ზღვაზე და კუნძულთან რხელსან ჯინის დახვედრა.

# IX

## გარი მეცხრე

### შარამანიანი

აქ ესენი ამ მზადებაში, დაუტოვოთ და მცირე რამ უარამანისა, ქუჩუკისა და ფარვან-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

რა უარამანმა და სხვათა ნახეს რომ საჭმან-აღამზადი თხუთმეტი ათას დევს წინ მოუძღვის და თვისთან მოჭყავს, იმ დევებს ბევრს თითო კუბო ეტვირთათ, ძლიან გაჭკვირდა და უარამანმა სთქვა: ჩვენი საჭმანი ნეტა რა საშოვრით მოდის რომ სიცილით წინ მოუძღვის? როგორც მიუახლოვდნენ, იმ დევებმა ნახეს რომ ჭაზარეჟ-დასტი არსდა სჩანს, მაშინ იმ დევთა უფროსმა სახელად ყიფიჩინ დევმა ჭკითხა: საჭმან აკი სთქვი ჭაზარეჟ-დასტი აქ არის, აქ არსდა სჩანს? საჭმანმა მიუგო: ყიფიჩინ დევო, დაბრძოვებუხარ, ვერა სცნობ შენ ხელმწიფეს, რომელიც ტახტზე ბრძანდება და თავის გურზი, ჯახტი და ქამანდი გვერდით უდევს? ყიფიჩინმა უთხრა საჭმან რას ამბობ, ბრმა ხომ არა ვარ რომ ჭაზარეჟ-დასტი ვერ ვიცი, ის აქ არსდა სჩანს ტახტზე, მხოლოდ აღამიანნი და ფურჩინი სხედან. საჭმანმა უთხრა: ყიფიჩინ ახლავ მითხარ მანამ არ მივსულვართ, მაგ კუბოებში რაებია და მეც სწორეს გეტყვი.

ესენი რომ ამ ჯაზარეჟში იყვნენ, უარამანმა შორით შეამჩნია რომ საჭმანი სხვაფრივ ეჯაზარეჟება, ვიდრე უარამანი ბრძანებდა დევთა სარდლებმა ოთხი-კუთხე დაშქრით გზა შეუკრეს, საჭმანმა ნახა რომ გზები შე-

უკრეს, მაშინ შესძახა! შე წვეულო ყოფიანი ვერ შეიტყე რომ უკრამანმა და ქუჩუკმა დიდი ხანია ჭაზარქ-დასტი მოკლეს? მისი ქვეყანაც დაიმორჩილეს და მისი იარაღიც აკერ ქუჩუკს გვერდით უწევია, ახლავ წამოდით თაყვანი ეცით თორემ ათასი სიცოცხლეც რომ გქონდეთ ერთითაც ვერ გადაარჩებით ცოცხალი, თუ მე დამიჯერებთ და სიცოცხლე გინდათ თქვენი თავისა უკრამანს და ქუჩუკს არ აუხირდეთ და დაემორჩილეთ, ეგ კუბონიც იმათ მიაართვი, ისინი თქვენი დამორჩილებისათვის, თქვენ დანაშაულს გახატებთ.

ყოფიანი დევმა რომ უკრამანისა და ქუჩუკის სახელი გაიგო ტანმა კანკალი დაუწყო და თავის გუნებაში სთქვა, თუ ქვეყანაზე საბუიარანო იყოს ამისთანა უნდა იყოს, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის, თუ აღმოსანი თუ დგენი, თუ ფერინი და ჯინი, სამოცდაცამეტი ზღვის მცხოვრებნი, მაგისაგან შექრწუნებულნი არიან, ჩვენ ეს მკვდარი გვეგონა და ახლა ამ ლაშქრით ვხედავ რომ ქაბულის ქვეყანას მივა, ქვეყანა რომ საბუიარანებად იქცენ ამის ბეწვსაც ვერ დასძვრენ—და ჩვენ ამას რას დავაკლებთ. ვგონებ რომ ახლა სწორედ ქაბულს მიდის, იქაურ ლაშქარს სულ გააწყალებს, სჯობს რომ ამას დავემონოთ, ამის მონა დევნი უგელა ჯინნი არიან და მოსვენებით ცხოვრობენ, ამაზე კარგი რა იქნება, ესე სთქვეს და საჭმან-ადამიანს მოახსენა: დევების დიდო სარდალო საჭმან, უკრამანს საბუიარანი რომელი ბრძანდება რომ მეუბნები დაემორჩილეთ? საჭმანმა უთხრა: ჭაზარქ-დასტის ტახტზე უფროსი ფალეგანი რომ ზის ის ბრძანდება და ის ახლგაზდა ფალეგანი იმის შვილის-შვილი ქუჩუკ-უკრამანია, მეორე ტახტზე მჯდომი თეთრ-წვერა შაჰზადე-შაჰზადე ბრძანდება.

ყოფიანი დევს რომ ანიშნა საჭმანმა, უკრამანი და ქუჩუკი, იმანაც თავის დევის ლაშქარს ანიშნა და თვითონ მივიდა უკრამანის წინაშე მიწას აკოცა, სამ ალაგს თაყვანი სცა და მოახსენა: საბუიარანო მახატოე, უოველ გზით თქვენთან დანაშაული მაქვს და ნებაც გაქვთ ლუკმა-ლუკმა ამაკუწინოთ: ჩემზე ახია. როდესაც მე თქვენი სახელი და საბუიარანობა შემეტყო, სხვაგან რაღათ უნდა მეველო, ან სხვას რათ უნდა ვემსახურებოდე, როგორც თქვენი ნება იყოს ისე აღსრულდეს, თქვენი ღმერთიც მიწამებია და იმის მოწყალებისათვის თქვენ შემოგუყავრეთ. აჭა მოგვიერთმევი ძღვენი; ესე თქვა და ორი კუბო მოატანინა და წინ დაუდგა და შემდეგ სხვა კუბოებიც მოიტანეს.

რა უკრამანმა ესე იხილა, გაშტერებით უურება დაუწყო, მეორე ბრძანა: დევო ვინა ხარ ან საიდან მოხვალ, ან ეს კუბონი რანი არიან, ან სად მიგქონდათ?



— უიფიჩინ დევმა მოახსენა: სააბუირანო! მე ჭაზარექ-დასტის მო-  
ნა გახლდი, გოვთია დევის პირველი სარდალი, მერე დაწვრილებით უამ-  
ბო როგორც გოვთია დევის ხარამანთან ეომნა, ან გოვთია დევი როგორ  
ამოეხრჩო თავის ლაშქრით, ან ქაბულის ქვეყანაში რა ომები მომხდარიყო.  
რადა გაგაგრძელოთ, როგორც ჯანგიერ-ჯადამ ესენი დაიჭირა და ბოლოს  
რავები მოხდა. უიფიჩინმა უთხრა: სააბუირანო, ცეცხლშიაც რომ დამწვა  
ჩემი პირით ვერ გეტყვით ესენი ვინ არიან, ესენი დაიჭირეს კუბოებში  
ჩააწვინეს და მე მიბრძანეს ესენი ჭაზარექ-დასტს ძღვნად მიართვი ჩვენ  
მხრივად, ახლა თქვენ შეგხვდით და არ ვიცით ვინ არიან, მეც ჩემ ახალ  
დმერთს ვმადლობ რომ ჭაზარექ-დასტი მოგიკლავს და ჩვენ მის ხელი-  
დამ დაგიხსნივართ, ამას შემდეგ თქვენი ფეხის მტვერი და მონა უნდა  
შევიქმნათ, თუ თქვენი ნებაც იქნება. მაშინ უარამანმა საჭმანს უბრძანა,  
რომ იმ კუბოთაგან ერთი გაეხსნა, კუბოს ყოველნი გაშტერებულნი უუ-  
რებდნენ და ამობდნენ ვნახოთ ერთი რა იქმნებოდა. ქაბულის ომი რომ  
შეიტყო, ქუჩუკი ცეცხლებრივ აენთო, ტახტიდამ ძირს ჩამოხტა საჭმანს  
ადარ დააცალა მივიდა და ერთ კუბოს ხუფი აგლიჯა, ნახა რომ თავის  
მშობელი დედა ჭუსნიარა შებნედილი წევს, მაშინვე თავი დამ ჭკუა დაე-  
კარკა და დაიძახა, ზაჰა ამას რასა ვხედავ, სიზმარია თუ ცხადია ეს ჩვენ  
თავს რა განსაცდელია? უარამანმაც გაშინჯა ნახა რომ თავის რძალი ჭუს-  
ნიარა, მაშინვე ფარვან დევი მოიხმეს, უბი დამ სასუნებელი წამალი ამოი-  
ღო ასუნებინა და ჭუსნიარა გონს მოაგო და თვალი აახილა, ნახა რომ თა-  
ვის შვილი და მამამთილი უარამანი და სხვა მრავალნი თავს ადგანან. რა  
ეს გონებას მოიფანეს, უარამანმა მერე კუბოს ხუფი მოგლიჯა და ჩახე-  
და ნახა თავისი სარვინურამანი შებნედილი და ფერკრთომით წევს, მა-  
შინვე ამოიფანეს და ფარვან-დევმა იმასაც ასუნებინა და ისიც გონებას  
მოეგო და თვალი აახილა, ნახა თავის რძალი ჭუსნიარა, ქუჩუკი და უარა-  
მანი და სხვანი მრავალნი ეხვევიან, გაცრებით დაიძახა: რძალო, სიზმა-  
რია თუ ცხადი ნეტა სადა ვართ? მაშინ უარამანმა ჩასძახა, ცხადია საფა-  
რელი სარვინურამანი! აქა ვარ შენი უარამანი, შენს მტერს თავს ზარის  
დაშტევი! მაშინვე როგორც იყო ეცადნენ და მოასუელიერეს.

შემდეგ გონს რომ მოიფანეს სარვინურამანი, უარამანმა ჰკითხა სა-  
რვინურამანს, შენ უფრო გეტოლინება, ამდენ კუბოებში ვინ არიან ან რა არის?  
სარვინურამანმა მოახსენა: სააბუირანო უველა ჩვენნი მხევალნი უნდა იყ-  
ვნენ, მაშინვე დევებს უბრძანა კუბოების დამტვრევა და თორმეტი ათასი  
მხევალნი ამოასხეს, ამათ უველას ფარვან-დევმა ასუნებინა და უველანი  
ცნობას მოიფანა, ამათ რა თავიანთ დედოფლები იხილეს დიდ მხიარუ-

ლებას მიეცნენ და ღმერთს მადლობა შესწირეს მათ სიცოცხლისთვის. მაგრამ ქაბულის ქვეყნისთვის ძლიერ სწუხდნენ და იძინდნენ დროიანად წავიდეთ, თორემ საქმე საჭიროდ გასდებოდა. რა ყოველნი თავთავიანთ ჭკუაზე მოვიდნენ, მაშინ გუელიჯანი და უმარლუხი მივიდნენ სარვინურამანთან და ჭუსნიარასთან, ერთმანერთს მოეხვივნენ და ესაღმებოდნენ-ტკბილის სიუვარუდით. უკრამანმა საჭმანს ჰკითხა: შენ ესენი სად იხილე ან საით მიჰყვანდათ და ან რატომ აქამდინ ქაბულს ვერ მიაღწიე? საჭმანმა მოახსენა: საბუიარანო რა იქილამ წამოგედით ესენი შეგვხვდნენ და მაშინვე თქვენთან გაიხელოთ და თქვენც კი მალე წამობრძანებულხართ. უკრამანმა მაშინვე აურა ბრძანა: უკრამანი, სარვინურამანი, ქურუკი და ჭუსნიარა ერთ ტახტზე დასხდნენ, შაჰზად-შაჰა, უმარლუხი, ბარამჯიბილი და გუელიჯანი მეორე ტახტზედ და ყოველნი ლაშქარნიც აიყარნენ და ქაბულისაკენ გაემართნენ, უკრამანი და ქურუკი, სარვინურამანს და ჭუსნიარას ქაბულის საქმეს ჰკითხავდნენ, მათ ყოველი საქმე დაწვრილებით უამბეს. უკრამანმა და ქურუკმა რომ მათი შეწუხება შეიტყეს ცეცხლებზე აენთნენ და დევთა მალე ფრენა უბრძანეს. ისე ჩქარად მიდიოდნენ რომ დღეში სამას ადაჯს გაივლიდნენ, ოცს დღეზე ქაბულის სამზღვარს მიაღწიეს. ქაბულის ქვეყნები რომ გაშინჯეს ნახეს ყოველ ალაგს ჯარია დაფანტული და დიდ ლაშქრისათვის ზურს აკრავდნენ, უკრამანმა დეგებს უბრძანა: წადით ნახეთ რაც უცხო ლაშქარს ზური მოეგრავებინათ, თვითონვე აჭკიდეთ და ქაბულამდის აზიდინეთ, ვინც არ წამოიღოს ოთხათ გაჭკვეთეთ, ისინი იქით გაისტუმრა და თვითონაც მსწრაფად მიდიოდნენ.

ესენი აქ დაუტევოთ და ნარქიმანისა და სხვათა ამბავი მოიხსენიეთ.

**რ**ოდესაც ჯადოებმა, სარვინურამანი და ჭუსნიარა თავის გამდლებით დაიჭირეს და ციხილამ ეს ამბავი ნახეს დიდი გლოვა ჰქონდათ ასე რომ მათი გლოვა-ტირილის ხმა ცამდის აღიწოდდა. გარეთ ლაშქარმაც ნარქიმანს, უათრანს, ყოვლიბანს და ხოსროვიშინს იმოდენა ქამანდები გადააყარეს რომ ქამანდების ქვეშ ადარა სჩანდნენ, თემურ-ჩინდელმაც თავის ქამანდი გარდაცვა და ყოველ მხარეს ეწეოდნენ და ალაგადმაც ვერა სძრავდნენ. ზორაბ-ჯადო და ჯანგირ-ჯადო მეორეს მხრილამ ოცი ათასის ლაშქრით მოუხტნენ და ქამანდები გადააყარეს და მრავალი ქამანდნი გარდაცვდნენ, თან ულცვაფდნენ და თან ეწეოდნენ, ეს ოთხნი ძალიან შეაწუხეს, ამით შეწუხებაში ციხის ხაღხის ტირილის ხმა მიესმათ და აქეთ-იქით



უურება დაიწეეს, რა თვალი დააკვირვეს ნახეს რომ ქაბულის მთები სრულად გაშავდა, ციხელებმაც და გარეთა ლაშქარმაც, რა ესე იხილეს დიდათ გაჭკვირდნენ, უეცრივ შეჭხედეს ნახეს რომ მთიდავ ერთი რაღაც ფრინველსავით მოჭტურინავს, ნახეს რომ რა იგი შუა ლაშქარში მოვიდა ერთი ისეთი ხმა გამოახდინა რომ მრავალნი კაცნი უსულად შეიჭმნენ. და ვისაც ქამანდის წვერები ეჭირათ და ზიდავდნენ, უველას ხელიდამ დასცვივდათ და უველამ მას დაუწეეს ცქერა, ამ დროს ის რაც მოვიდა გასკდა, იმ ნახეთქიდავ ისეთი ცუცხლი გამოხდა რომ ჭკერი სრულიად ადავსო, ეს ცუცხლი გრგვლივ განიყო და ათი დღის სავალზე ამ ლაშქარს ქამანდსავით მოეცვა ისე რომ იმ ცუცხლის ალი ზეცას აღიწეოდა. ლაშქარი დიდათ შეშინდა. რა ჯადოებმა ესე იხილეს, ჯანგირ-ჯადომ, ზოკაბ-ჯადოს უთხრა: ეს სიქმე უთუოდ ფარვან-ღვეის სიქმეა და თუ ის აქ სადმე გამოჩენილა ჩვენი სიციცხლის ფრინველიც გაფრინდება, ახლა იმის ხელიდამ სადა წავალთ! ესე სთქვა და გაშტერებულნი უურებდნენ. რა ამ ოთხთა ხელმწიფეთაც ნახეს ესე, დიდათ შეშინდნენ და ათას რასმეს ჩეიქრობდნენ. რა ამ ოთხთა გმირთა ნარამანმა, ყათრანმა, ყოვლიბანმა და ხოსროვშირმა, ნახეს რომ ქამანდები უველამ ხელებიდავ დაჭურკეს, ამისთანა ცუცხლზედ ესენიც გაშტერდნენ მაგრამ არად შეიმჩნიეს, მაშინვე ქამანდებისაგან განთავისუფლდნენ, ხელები ხელში დაიჭირეს და იმ მთის ლაშქარს განკვირვებით უურება დაუწეეს. და ამ ოთხთა ხელმწიფეთა ესეთი საზარელი ცუცხლის ნახვამ ძლიერ შეათვიქრიანა და გაშტერებულნი ქაბულის მთას უურებდნენ.

აქ ესენი ამ განკვირვებაში დაუტოოთ და ყარამანის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ყარამანი, ქურუკი და სხვა ღვეთა ლაშქარი ქაბულის მთას მიაღებენ და ქაბულის მიწადრი დაათვალიერეს ის არე-მარე სრულიად ლაშქრით გაშავებულიყო. ყარამანმა ფარვან-ღვეს უბრძანა: ფარვან არ შეგიძლიან რომ ისეთი მანქანა მოიქმედო, რომ იმათი მთელი ლაშქარი ვერსად გადაიხვეწონ? ფარვანმა მოახსენა: საბოყირანო ვიდრე თქვენ მიბრძანებდით მე აღრევე აღვასრულე თქვენი ბრძანება. ფარვან-ღვეისაგან შექმნილმა ცუცხლმა რომ მიაღწია ათი დღის სავალს და ოთხივკუთხივ შემოერთა მაშინ ეშმაკიც ვერ წაუვიდოდა, ცუცხლი დრუბლამდის აღწეულიყო. რა ყარამანმა ესე მოიხმინა, მაშინვე სიჭმანს, ფარვანს და სხვათა ათასს მეტს ღვეებს უბრძანა: თქვენ ახლავ წადით და რაც იქ მეტრის ხელმწიფენი ან


ჯადონი ან ფაღვეანნი არიან სუვევლა ცოცხლები დაიჭირეთ, ათასი დევის სარდალნი იმათზე გაისტუმრა, სხვა ლაშქარსაც უბრძანა: თქვენ ოთხსავე მხარეს მოუარეთ და როდესაც ჩემი და ქუჩუკის ნარის ხმა გაიგოთ, მაშინვე კიჟინით და ხლმით შემოუტოეთ, ოთხი ხელმწიფისა, ორის ჯადოსი და ერთი ფაღვეანის გარდა რომელსაც თემურ-ჰინდი ჰქვიათ, ისინი ცოცხლები დაიჭირეთ და დანარჩენი კი სრულიად ამოწვიტეთ. ვიდრე ჩემი ბრძანება არ მოგივიდეთ სოცვიდამ ხელს ნუ აიდებთო, მე მათგან მრავალი ჭირი მინახავს და მათი აღსასრული უნდა მოვაფიქრო. მაშინვე დევის სარდალებმა ეს ბრძანება თავიანთ ლაშქარს გამოუცხადეს, წარვიდნენ და ინდოთ ლაშქართ გარე შემოერთებენ.

აქ ესენი აძლობაში დაუტოვოთ და ნარიმანისა, უთრანისა, ხოსროვშირისა და ყოვლიბანის აძბაცი მოიხსენიეთ.

რას ამ ოთხმა გმირმა უცხო დევის ლაშქარი ნახეს გაშტერებულნი დადგნენ, ხლმები ხელში და თვალი მთისკენ ეჭირათ გაკვირვებულნი. რა ცოტა ხანმა განვლო, ნახეს ამ მთედამ ორი ძლიერი ნარის ხმა მოესმათ, ხოსროვშირმა სთქვა ეს უარმანის ნარის ხმა იყოო, ნარიმანმაც სთქვა, ეს მეორე ხმაც ჩემი შვილის სამსურის ხმა იყოო. ეს ხმები ციხეშიაც იცნეს და დიდ სიხარულს მიეცნენ, ამ ოთხთა გმირთა და ციხეში მყოფთა რა ესეთი ნარის ხმა გაიგონეს, ნახეს რომ იმავე წამს ოთხსავე კუთხეც ერთი ისეთი კიჟინა და ხმაურობა ჩავარდა რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა, ნახეს რომ ოთხსავე-კუთხეც უანგარიშო დევისა და ფერიის ლაშქარმა ამ ზღვისოდენა ლაშქარს ხმალ მოწვდით შემოუტოეს.

რას ნარიმანმა, უთრანმა, ხოსროვშირმა და ყოვლიბანმა ესენი იცნეს თვითონაც ხლმებით შეუტოეს. ერთ მხრიდამაც უარმანმა და ქუჩუკმა შვიდთავიან ვეშახსაც ბრდვინაფდნენ და დაუწყეს უწყალოდ სოცვა. ერთ ალაგ ოთხი ხელმწიფენი, ორნი ჯადონი და თემურ-ჰინდი შეურიღიყენენ, გაშტერებულნი იდგნენ და ჯადოებს ესვებოდნენ გზა გვიბრვით გასაქცევათო, ჯადოები ეუბნებოდნენ, რას ამბობთ აქედამ ეშმაკიც ვერსად წავაო, ამ ლაშქარში რომ იყვნენ ანაზღად ნახეს, სჯიმან-ადამიანი თავის ამხანაგებით და ას სამოცის დევის სარდალებით ამათ მოუხტნენ, შვიდნივე მაგრად შეჰკრეს, თითო დევს ხელთა მისცეს სამ სამი დევი ზედ მიაჩემეს და სააბურანთან გაგზავნეს, თვითონ მივიდნენ და უთრანს, ნარიმანს, ხოსროვშირს და ყოვლიბანს მდაბლად თავუანი სცეს, კალთებს აკოცეს და გამარჯვება მიუღოცეს, ამათაც საჰმანს და სხვათა მადლობა





უბრძანეს და რაც გული ჰქონდათ ერთი ათად მიეცათ, ერთმანერთის მი-  
საღმება რომ გაათავეს შეძლებდნენ, დადგომის დრო აღარ არის უამია  
გარჯისაო, მაშინ ხელახლა შეუტოეს და ინდოთ ღაშქარს დაერივნენ და  
იწვეს უწყალოდ ხოცვა და ერთმანერთს მადლის ხმით უძახდნენ, ფალე-  
ვანნო! ჰქარ, მოჰქაალ, შეჰქარ, შეიზარ ერთსაც ცოცხალ ნუ გადაჩენთ-  
და მათგან გულდამწვარნი უწყალოდ მიეხრებოდნენ, რა ამ ზღვისოდენ-  
მა ღაშქარმა ნახეს რომ თავიანთ სიკვდილის უამი მოღწეულა, თხზივ-კუთ-  
ხივ ზირი გასაქცევად გაიბრუნეს, უკან დევის ღაშქარნი ხმაღ მოწვდილ-  
ნი მისდევდნენ, რა მათ სობრალთ ცეცხლთან მიაღწიეს გზა ვეღარ იზო-  
ვეს, წინ ცეცხლს ხედავდნენ და უკან ხლმით იხრებოდნენ. რა ხოსროფ-  
შირმა, უოვლიბანმა, უთრანმა და ნარიმანმა დაატყეს რომ ისინი საჭი-  
რთა აღარ არიან, ხოცვიდამ ხელი აიღეს გაბრუნდნენ და საცა, უარამანი  
ქუჩუკი, შაჰზად-შაჰა და ხათუმნი ბრძანდებოდნენ იქით გასწიეს. როდესაც  
უარამანმა და ქუჩუკმა ივინი დაინახეს თითონაც ომისაგან ხელი აიღეს  
და იმათ წინ მოეკებნენ, ერთმანერთს მოეხვივნენ და დიდ ხანს ესაღმე-  
ბოდნენ და ერთმანერთის ნახვისთვის ღმერთს მადლობას აძლეოდნენ, ქუ-  
ჩუკმა რომ თავის მამა იხილა მაშინვე მივიდა და ხელს ემთხვია, ნარი-  
მანი კარდაეხვია, ზიქს ერთ უამამდე უღოშნიდა და ღმერთს მადლობას  
სწირავდა, აგრეთვე რა თავის მეუღლე ჰუსნიარა სადსაღამათთ იხილა,  
გაჰკვირდა და სთქვა დედაჩემი და ჩემი ცოლი აქ რას აკეთებენო თავიანთ  
მხეველებით, იმათაც მიესალმა და მათ თავიანთ თავგადსავალი უველა მო-  
ახსენეს. რა ამ ოთხთა გმირთა მათი ტუფეობა და გამოხსნა შეიტყეს  
ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს. ახლა ციხეში უშანგ-შაჰამ, ბურჯ-ვე-  
ზირმა, კარდანქეშანმა და სხვა დიდებულებმა რომ ესე საქმე შეიტყეს,  
მაშინვე ბრძანეს სამხიარულო ნაღარას ჰქარითო, მაშინვე ბრძანება აღს-  
რულეს. კარდანქეშანი მაშინვე კარზედ გამოვიდა და ციხესთან მიმავალი  
მრავალი ფერიანი იხილა, ფერიები მაშინვე კარდანქეშანი იცნეს მივიდ-  
ნენ და მიესაღმნენ, კარდანქეშანმა ამბავი ჰკითხა, ფერიებმა უოველივე  
უკლებრივ მოახსენეს: კარდანქეშანი მათ ფერიათ წინ წარუძღვა და უშანგ-  
ხელმწიფესთან და ბურჯ-ვეზირთან მოახსნა. ფერიებმა უშანგს ზირმიწა-  
გაერთებით თავიანი სტეს და მადლის ხმით მოახსენეს, ხელმწიფეო გვი-  
ხარებია უარამანისა და ქუჩუკის მობრქანებაო, გზასზედ სარვისურამანი და  
ჰუსნიარა ათი ათასის მხეველით გამოხსნა. რა უშანგმა და ბურჯ-ვეზირმა  
ესე გაიგეს დიდს მხიარულებას მიეცნენ და მათ ფერიათ მრავალი უფასო  
თვალ-მარკალიტი აჩუქეს. მაშინვე უარამანის მისაგებებლად დაემზადნენ,  
მაგრამ კარდანქეშანმა ვეღარ მოითმინა, მაშინვე ციხის კარს გამოვიდა,



ნახა რომ იმოდენა უცხო ლაშქარი ქერია დასოცლილი რომ რიცხვი არ შე-  
იგლება, იარა და სარა უარამანი და სხვანი იუვნენ იქ მივიდა, ნახა რომ  
სხედან და დიდი მუჯლიში აქვთ და მის უჭვრეტდნენ, გარდანქეშანი უა-  
რამანთან წინ მივიდა და მიწას აკლდა, მიესალმა და უველას თაყვანი სცა.  
უარამანმა გარდანქეშანი, თავის გვერდით მოისვია, ტკბილად მოიკითხა და  
უშანგისა და ბურჯ-ვეზირის ამბავი ჰკითხა, გარდანქეშანი ადგა თაყვანი  
სცა და მოახსენა: სააბუირანო ისინიღ ემზადებოდნენ თქვენთან ხლებასათ.  
ამ ლაზარაკში რომ იუვნენ, ნახეს რომც დევს შვიდი ვინმე შეუკრავთ  
და მოჰყავთ, მოიუვანეს და უარამანის წინ დაუყენეს. უარამანმა ისინი და-  
ათვალიერა ნახა რომ ოთხთა ხელმწიფეების ნიშნები აქვთ, ორნი ჯადოს  
ჭკვანან და ერთი უცხო ფალეუანსა. მაშინ სარვიხურამანმა და ჰუსნიარამ  
იცნეს რომ ერთი თავიანთ დამტკერი იყო, სარვიხურამანი წინ წარსდგა და  
სააბუირანს მოახსენა: ეს ჩვენი დამტკერი ჯანგირ-ჯადო გახლავსო. ჯანგირ-  
ჯადომ რომ ნახა თავისი დატკერილი ქალები, რომელნიც ჰაზარექ-დასტ-  
თან გატყავნა, ფარვან-დევის შეხედა და ხის ფურცელთაებრ თრთოლა და-  
იწყო. უარამანმა გარდანქეშანს ჰკითხა, ესენი ვინ არიანო?

გარდანქეშანმა მოახსენა: სააბუირანო, მე ამთ ძლიერ კარკათ ვიც-  
ნობ, ეს ერთი რაიზამის შვილია როვმან-ბახტი, ეს სამინი, ერთი ჯიმი-  
შუდ-შაჰა, მეორე ავიუ-შაჰა და მესამე ხურშუდ-ხანი, ეს სამინი უშანგს  
ხუთჯერ უკუ უდგენ და ხუთჯერვე დაიმორჩილა, ესეც მუქავსელ უკუ  
სდგომიან, ესეც თემურ-ჰინდია კარგი ფალეუანია, იმ დღეს ურვლიბანი  
ცოტად მიეთიმაშა მაგრამ ამ წყუელ ჯადოებმა გადაარჩინეს.

მაშინ ფარვან-დევი წარმოსდგა და მოახსენა: სააბუირანო, ცხემდის  
ეკ ორი ჯადო მე ჩამაბაკე, უარამანმა უთხრა: ფარვან ორივე შენის ჭი-  
რის სანაცვლო იუვნენო, ფარვან-დევმა იმ ორი ჯადოს აშეგება უბრძანა,  
ჯადოები მაშინვე აუშეეს; ფარვან-დევმა ერთი თილისმა უყო და ორნივე  
საზარელ მხეცებად გარდიქნენ, ფარვან-დევის თაყვანი სცეს და წინ დაუდ-  
გნენ, ფარვანმა მეორე რაღაც ჯადო შექმნა და ის ორნი ჯადოები ძაღ-  
ლებად გარდიქნენ, ჯინჯილნი კისრებზე ეცვათ, ცალი წვერი ამ მხეცებს  
პირში მისცა, მესამე ჯადო შექმნა, ნახეს რომ ამ ძაღლებზედ რაღა-  
ცანი შესხდნენ, ეშმაკებსა ჰგვანდნენ, ხელში თითო წვრილი ლახტი ეჭი-  
რათ და ძაღლებს თავში სცემდნენ.

უარამანმა რომ ესე იხილა, ფარვან-დევის ქება დაუწყო, ფარვან-დევ-  
მა იმ ძაღლებს უთხრა: აბა ახლა იმეძვედეთ თქვენი ხელავნებო, რა  
მეორე პურობილებმა ესე იხილეს უველას ფერი ეცვალათ. ამ დროს საჰ-  
მან-ადამზადი მოვიდა უარამანს თაყვანი სცა და მოახსენა: სააბუირანო,

მტრის ლაშქრის ნახევარი დაიხრცა და დანარჩენი დიდით გეხვეწებიან ზვეს სარწმუნოებაზე დგებიან და რას გვიბრძანებთ. უკამანმა უთხრა: სჯიმან მათგან მრავალი ჭირი მინახავს და ძლიერ გულდამწვარი ვარ მაგითგან, მაგათ ისეთი რისხვა უნდა მივაუენო რომ მეორედ მაგათმა ჩამომავლობამ რომ გაიგონ. ამათ საქმე, აქეთვე მოსვლა ვეღარავინ გაბედონ. წადი და შენთვის მიზატიებია, მხოლოდ ოთხი წილიდამ ერთი წილი რომ დარჩეს, მაშინ მათი ხოცვისსვან ხელი აიღეთ, ის დანარჩენი უველა ხელებ შეკრულნი ჩემთან წარმოადგინე, ჩვენც ამ წამსვე ციხეში მივდივართ. სჯიმანი მაშინვე იქით გაემართა. უთხრანმა ნარიმანს უბრძანა: შენ წადი ციხე გააბრწეინე და ჩვენც მოვალთო. მაშინვე ნარიმანი ციხეში წავიდა და უველასთვის სადგომები მოამზადებინა და ციხე გააბრწეინა. მეორე დღეს აიყარნენ და ციხეში შევიდნენ უველანი. ის შეკრულნი ხელმწიფენი და თემურ-ჭინდიც თან წაიყვანეს, მაშინ კარდანქეშანი ჩქარის სიარულით ციხეში მიიჭრა და უშანგს და ბურჯ-ვეზირს შეატყობინა, უკამანის და სხვების ციხეში მიბრძანება. მაშინვე უშანგი, ბურჯ-ვეზირი და დიდებულნი რომელნიც ციხეში იმყოფებოდნენ აკრეთვე ლაშქარნი სრულით ამათ გამოჭყენენ და გამოეკებნენ, მრავალს ხელში ფიანდაზები ეჭირათ, რა მიუახლოვდნენ ოცს ალაჯზე ფიანდაზი გაუფინეს. რა უკამანმა და ქუჩუკმა უშანგი დაინახეს, მაშინვე მხეცებიდამ ჩამოხტნენ სხვანიც, მივიდნენ და შორიდამ თაყვანი სცეს, რა უშანგმა უკამანი ქვევითად იხილა თვითონაც ქვევითად ინება, მაშინვე თორმეტმა სტავრით მოსილმა მონებმა მძიმედ ჩამოახდინეს, რა უკამანმა და სხვა დიდებულთა უშანგის ჩამოსვლა ნახეს, მაშინვე მივიდნენ და კალთას ემთხვიეს, თაყვანი სცეს და მიესალმნენ. უშანგმა უკამანს და ქუჩუკს ხელი მოჭკიდა და ორსავე შუბლებს აკოცა, მერე შაჰზად-შაჰას და ბარამჯიბიდს მიესალმა. ბარამჯიბილი მივიდა და უშანგს ფერხთა აკოცა, მერე მობრუნდნენ და ოთხნივე ბურჯ-ვეზირს ტკბილად მიესალმნენ.

როდესაც უველანი დაწინარდნენ, უშანგმა იკითხა, საუვარელი და სასურველი! იმ წუთულ ჯადოებისა რა ამაგი იცით? უკამანმა მახსენა: დატყრილნი კახლავან და ხვალ როგორც გვიბრძანებთ ისე ადვანს-რულებთო. უშანგმა შეხედა ნახა რომ დევებს შვიდი ისეთი ტახტი მოაქვთ. რომ იმისთანა ტახტები თავის დღეში არ ენახა, მასხედ სარკისუკამანი, ჭუსნიარა, უმარლუხი, გულიჯანი და სხვანი სხედან, ის ტახტები ციხეში შეიტანეს, შემდეგ ნახა რომ ოთხნი ხელმწიფენი და ერთი უცხო ფალეკანი მკლავებ შეკრულნი თითო დღეს უჭირავთ და მოჭყავთ, ამათ უკან ორი მხეცი მოდის, პირში თითო ჯინჯილის წვერი თითო ს-



შინელ ძაღლს კისერზე ეცვათ, ძაღლებზე თითო რაღაც ეშმაკი იჯდა, ხელში თითო ზატარა ლხტები ეჭირათ და ძაღლებს თავში სცემდნენ.

უშანგმა ჰკითხა: საყვარელი უარმან ეს რა საკვირველებაა რომ ესე საშინელი ძაღლები ამ ტანჯვით მოჰყავთ? უარმანმა მოახსენა: ზეი ქვეყნის მშურობელი ხელმწიფე, ჩვენ ერთი ისეთი ჯადო გვეყვას რომ ის თრნი ზოგაბ-ჯადო და ჯანგი-ჯადო ამ დღეში ჩაგდო და ისიც გახლავართ. უშანგმა უთხრა: შეილა უარმან, დიდათ მოხარული ვარ და ვმადლობ ღმერთს რომ მოესწარი მაგისტანა ფაღვეანს შეილის შეილს და მეორეთ ვმადლობ ღმერთს რომ თქვენ შეხვდით საგვირგაძის და ჰუსნიარას, რომელნიც თქვენის ხელით განთავისუფლდნენ, თორემ ვინ იცის თქვენ რომ არ შეხვედრილიყავით დიდ ჭირში ჩაცვივდებოდნენ, ესე რომ ბრძანა, მოუბრუნდა და ქუჩუკს კვალად შუბლს აკოცა, ხელი დაუჭირა და ლოცა და ციხეში ფიანდაზებით შევიდნენ და ნარიმანის სასახლეს ჩამოხტნენ.

რა ჩამოხდნენ მამინ ნახეს რომ ფარვან-დევა, გარდანქეშანმა, ასიმმა და საჰმანმა, ხუთასი აქლემი და ხუთასი ჯორი, ზანდუკებით დატვირთული ხაზინა მოიტანეს და უშანგს და უარმანს მიაწოდეს, საჰმანი და ფარვან-დევი მივიდნენ უშანგის კაღთას ემთხვიეს. უარმანმა უშანგს ფარვან-დევი გააცნო და უშანგმა ფარვან-დევი მოიკითხა, მანცა მდაბლად თაყვანი სცა, მამინვე ხაზინა შეზიდეს და მიაღებეს. შემდეგ უშანგი და უარმანი სასახლეში შევიდნენ. უშანგი ტახტზე დაბრძანდა, მას ქვემოთ საბოყარანი, შირდაზირ ყოფილბანი, მას ქვემოთ ნარიმანი, ხოსროვირი და ყათრანი, აქეთ უარმანის ქვემოთ ბურჯ-ვეზირი, მასთან ქუჩუკი და ფარვან-დევი, უშანგ-შაჰასთან შაჰზად-შაჰა, ბურჯ-ვეზირის ქვემოთ ბარამჯიბიდი, მათ ქვემოთ თრი ათას რვას თხმორცი ვერცხლის სკამები იდგა, ზედ დევისა და ფერიის სადღეები დასხდნენ, მეორეს მხარეს ქაბულის დიდებულნი. შემდეგ უარმანმა ნარიმანს თავის ომის ამბავი ჰკითხა, იმანც რაც გადახედოდა ყოველივე მოახსენა: როდესაც უარმანმა ბურჯ-ვეზირისა იმოდენა ერთგული სამსახური და სიკეთე ისმინა, უარმანი და ქუჩუკი ადგნენ და დიდი მადლობა მოახსენეს. უარმანმა ბრძანა რომ დაჭერილნი ტუყენი სიფრთხილით შეენახათ, შემდეგ უარმანმა გარდანქეშანს შეხედა და უთხრა: გარდანქეშანო რაც ციხის შეცვლილნი არიან სად იმყოფებიან? გარდანქეშანმა მოახსენა: ქაბულის ციხის გაღვანშია. კვალად ჰკითხა, თუ იგი რიცხვით რამდენნი იქნებიან? გარდანქეშანმა მოახსენა, რიცხვით თორმეტი ათასზე მეტი იქნებიანო, მამინვე ფარვან-დევის უბრძანა, ფარვან გოხავ რომ შეცვლილთა რამე უშველოთ, ფარვან-

მაშინვე ადგა, უშანგს თავიანი სცა და მოახსენა: თუ თქვენც ინებებთ შუი-  
ცვლილთა თავის სახედ გადაქცევის თამაშას, მობრძანდით და ნახეთ თუ  
როგორ უნდა მოვარჩინო. მაშინვე უშანგი აბრძანდა უოგუენი დიდებულ-  
ნი თან იახლენ, ის ძაღლები და მხეცები თან წაიყვანეს და გალავანში  
მივიდნენ. რა სახილამ შეცვლილებს შეხედეს, ვეველას ცრემლები თვალებ-  
ში ჰქონდათ, მაშინვე ფარვან-ღევმა ის ორი ძაღლი წინ დააყენა და უთხ-  
რა: აბა ძაღლებო ესენი უნდა შეცვალოთ თავიანთ სახეებზედ, ეს ორნი  
ძაღლი ორ ტოტზედ დადგენ, ცრემლები გადმოყარეს და გაშეშებულნი  
დაჩხენ. ფარვან-ღევმა რაღაც თიფისმა უეო და ეს ორნი ძაღლები სა-  
ზარელ ფრინველად კარდაიქცნენ და ფარვან-ღევის წინ მივიდნენ, ფარვან-  
ღევმა უშანგს მოახსენა: შვიდთა იულიმთა მზურაბელთ, ამათგან მრავალი  
ჭირი გინახავსთ, მე ამათი დახოცვა არ მინდა, სჯობს ესენი ცოცხალნი  
დავტოვოთ და სატანჯველი მოუმატოთ. უშანგმაც ნება დართო. ფარვან-  
მა ამ ორ ფრინველს ფრთების ქვეშ დაუსერა და რაღაც ჯაღო ჰქმნა, ეს  
ორი ფრინველი აფრინდნენ ჰერში და როგორც ძერა წიქლებზე დაიჭუ-  
რიალებს—იმ სახით შეცვლილებზე დაიჭურიალეს და თავს დასტრიალეს,  
მათგან სისხლი ჩამოდიოდა წვეთებით წვიმასაებრ და ვისაც ხედებოდა თა-  
ვის სახედ იქცეოდნენ. რიგ-რიგით მოდიოდნენ და უშანგს, უარამანს  
ნარიმანს თავიანთს სცემდნენ და იქავ ღებოდნენ მორჩენილნი. როდესაც  
ვეველანი განთავისუფლდნენ, მაშინ ფარვან-ღევმა რაღაც ჯაღო ჰქმნა და  
ის ორნი ფრინველნი თითო ულავად კარდაიქცნენ და თითო საშინელი  
გველები კისრებზე ეხვიათ და თითო თვალს უჭავდნენ. შემდეგ იქილამ  
ვეველანი გამობრუნდნენ და სასახლეში მოვიდნენ. უშანგმა იმისთანა ხე-  
ლოვნებისთვის ფარვან-ღევს დიდი ქება შეასხა და მრავალი საჩუქარი უბო-  
ძა. ფარვანმა ის ორი ულავი ერთ საზურაბელში ჩააგდებინა და საჭმე-  
ლი გაუზინა, ამოცაში კიდევ დაღამდა, მაშინ დიდი მეჯლიში განართეს  
და ციხის გარეთ მიხდოდა ორასი ათასი კარავი დასცეს და რაც უცხო  
ლამაშის საუნჯე იყო სულ იქ შეზიდეს და გარეთ ლამაშარმაც თუ დე-  
ვებმა თუ ფერებმა დიდი ღვინი კარდაიხადეს.

რა მეჯლიში მოიშალა უშანგმა ბრძანა: დიდებულნი და მცირებულ-  
ნი! ეს ორი დღე ვეველამ მოისვენონ და ორ დღის შემდეგ ხელმწიფე-  
ების სამართალი უნდა კარდაწყდეს. მაშინ კრება დაიშალა, უშანგმა, უარა-  
მანმა, ნარიმანმა, ქუზუკმა და ბურჯ-ვეზირმა ნარიმანის სასახლეში მოი-  
სვენეს და სხვანი თავ-თავისად წარვიდნენ და მოსვენებას მიეცნენ. გარეთ  
ღევთა, ფერათა და ჯინთა ლამაშარმა როგორც უარამანის ბრძანება იყო,  
ასე დასრულეს. ასი ათასი უცხო ლამაშარი ცხვრებსავით წინ წამოჰყარეს.

ქაბულის ახლო მინდორში დაყენეს და ის ზღვისოდენი ლაშქარი ისე გააწყალეს რომ მათ სისხლს ცხენი და კაცი მიჰქონდა, მკვდარნი სრულიად ცეცხლში დასწვეს რომ მძოვრების სულს ჭყერი არ წაეხდინა.

რადღაცა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავი ამოჭყე და თავისი ბრწინვალება ქვეყანას მოჭოფინა, მაშინ სააბურიანი და ქუჩუკი ციხის კარს გამოვიდნენ, ნახეს რომ საჭმან-აღამზადი და ფარვან-დევი ლაშქარს აწყობენ და რაზმავენ, მათ რომ სააბურიანი და ქუჩუკი დანახეს მაშინვე წამოვიდნენ და თავიანი სცეს, ურამანამც მოიკითხა და ჰკითხა, საჭმან უცხო ლაშქარი რომელი არისო, საჭმანი გაუძღვა და უცხო ლაშქარში მიიყვანა. რა უცხო ლაშქარმა ნახეს რომ ორი უცხო ფალეგანნი მადიან ერთი უფრასია და მეორე ჭაბუკი, ორივე საკვირვლად არიან შეკაზმულნი საფალეგნო იარაღით და უკან მრავალი ფალეგანნიც სხვანი მოსდევენ მეფეთ ტომნი— და იმ ორი ფალეგნის მრისხვანებას მამალი გუშაზიც ვერ გაუძღებს, მაშინვე იცნეს ვინც იყვნენ, მაშინ ერთმა თავიანთთაგანმა უთხრა: ზეი ლაშქარნო და ჩემო ძმებო, სააბურიანი მობრძანდება და შეგებგეწოთ რომ ჩვენი ერთი მუჭა სისხლი გვაზატოოს, მაშინვე ამ უცხო ლაშქარმა უველამ ერთობით დაიხიჩქეს და ერთხირათ ელადადნენ, სააბურიანო შეგვიწყალეთ და გვაჩუქე ჩვენი თითო მუჭა სისხლი, თქვენი საყვარლის ქუჩუკის სადღეგრძელოდ! ჩვენც გვიწამებია ცისა და ქვეყნის დამაარსებელი ღმერთი და გავხდებით თქვენი შონანი. ასე სთქვეს ერთობით და დახუმდნენ უველა.

როდესაც ურამანმა ამ უცხო ლაშქრის ტირილი და გულმხურვალედ დადადება ნახა, შეგებრდა და აზატია. ხუთს კაცს ერთი კაცი სტუმრად მისცა და ბრძანა კარკათ მოეფლათ და არ დაეჩაგრათ. საჭმანმა თავი მდაბლად დაუკრა და ისე აღსრულა ბრძანება. რა ესე გააწყო თითონ გამობრუნდა ფარვან-დევიც თან წამოიყვანა და უშანკთან შევიდნენ, უშანკმა ფარვან-დევი მოიკითხა, ისიც წინ მივიდა და კალთას აკოცა. ამ ხანში ბურჯ-ვეზირი და ნარიმანი მოვიდნენ, ურამანი ააყენეს და ერთს ხაჯათში შევიდნენ, ბურჯ-ვეზირმა შირვან-ვეზირის წერილი და მუხანათობა აცნობა— და რეჭან-აიარის ერთგულობა გამოუცხადა. მეორე ბურჯ-ვეზირი შეესვეწა და მახსენა: სააბურიანო, გთხოვთ რომ ამითი სამართალი მე მადრკოვთ, ჯერ მაგ პერობილების საქმეს მოკრჩქეთ და შემდეგ ამითი სამართალი ადვილია. ესე საქმე უშანკმაც მოცოცა, (რომელიც მეორე კარში აცხადებს ვგონებ რომ მკითხველს ახსენს), მეორე გამოვიდ-

ნენ და თავ-თავის ალაგს დასხდნენ, მერე უშანგმა ბრძანა, რაც დიდებულნი არიან სულ იქ შეეკრათ რომ ოთხთა ხელმწიფის სამართალი უნდა გადაწყვეტილიყო. ესე ბრძანა და მეჯლისი გაიმართა, ვიდრე მეორე დღემდის დიდი მეჯლისი გარდაიხადეს და რაც უცნო ლაშქრის საუნჯე იყო სულ თავის და დევთა ლაშქარს უბოძა, სხვაც მრავალი გასცა ასე ეკონებოდა კაცს რომ უოველ ლაშქრის კარავში ქორწილიათ.

აქ გარდაწოდება ჯიბშუღ-ხანისა, აყიუ-ხანისა და ხურშუღ-ხანისა, მათი საქმის გარდაწვევება და აგრეთვე როვმანბახტისა, დაწვრილებით მოიხსენიეთ.

რას მეორე დღე გათენდა უოველნი დიდებულნი უშანგის სარაის მივიდნენ, აგრეთვე უკამანი, ქუხუგი და ფარვან-დუვი, თავიანთ ალაგს დასხდნენ, შემდეგ სხვა უცნო ფალეგანნიც მობრძანდნენ, უშანგს, უკამანს და ბურჯ-გუზირს თავიანთ სტეს და თავ-თავის ალაგს დასხდნენ, ვინც დასხდომის დირსნი იუვნენ დასხდნენ ვინც არა და ფეხზე დარჩნენ, სრულად რომ შეიყარნენ, მაშინ უშანგმა ოთხი ხელმწიფისა და სამ ჯადოსნი, თემურ და ხოსროვ-ჰინდის მოყვანა ბრძანა, მაშინვე ბრძანების მორჩილთა შეკრულნი მოიყვანეს და ის ორი ჯადო ულაყად გარდაქცეულნი და ჯიბილ-ჯადო ენა მოჭრილი და ბრმა, შუა ალაგს დააყენეს, იმ ოთხთა ხელმწიფეებს ისეთი ფერები ედვათ რომ სამარადამ ამოღებულებსა ჰგვანდნენ და საცოდავად კანკალებდნენ. როდესაც ამ ოთხთა ხელმწიფეთა ბურჯ-გუზირს შეხედეს, თავიანთ გუნებაში იძახდნენ, დაგწყევლოს ღმერთმა შენ მაშინ თავ მოჭრილი იყავ და ახლა სადა გხედავთ, სჩანს რომ ამათი ღმერთი ჩვენ ღმერთზე ძლიერი ყოფილა, ამ განზრახვაში რომ იუვნენ გარდანქემანი წინ წარმოსდგა, როვმანბახტს თავიანთ სტა და მოახსენა: ხელმწიფის შვილო და ხელმწიფეო, თქვენთან მადლობა მაქვს გამოსაცხადებელი, მაინც თქვენი ნახვა მინდოდა და ახლა მოხარული ვარ რადგან აქა ბრძანდებით. იცი რის მადლობა უნდა გარდაგიხადოთ, ჰირველად მამის თქვენის ხელმწიფე რაია-ხამისა, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე თავის ხაზინა, მე და ხოსროვშირს გვიანდერძა თავის ხელით ჩაგვაბარა, თუ სადმე ხელმწიფე იყოს იმისთანა გულმწიფალე, ახლა გეტყობათ რომ თქვენც იმის შვილი ბრძანებულხართ, რომელთაც თქვენც კი მამითქვენის ხასიათი გქონებიათ და თქვენი ხაზინაც მე და ბურჯ-გუზირს გვაჩუქე, ახლა მე ეს მიგვირს, ჩვენი ხელმწიფე უშანგი ძალიან მაგარი იყო და ახლა ვინ ასწავლა ასე გაცემა და გულუხეობა.



როგორ-ბახტმა უხასუსა: ზეი გარდანქმანო! თქვენ სიტუვებს სულ გადარუნებით ბრძანებთ, ჩვენ ვითარ გასწავლეთ ასე გულუხვობით გაცემას? როდესაც თქვენისთანა ეშმაკი ორ ხელმწიფის შუა ჩავარდება ვერც ერთი ისწავლის მოწოდებას და ვერც მეორე გაცემას, ესე თქვა და დაჩუმდა. ამ სიტუვაზე ვეკლამ ბევრი იცინეს და როგორ-ბახტის სიტუვა უშანგსა და ეოველთა დიდებულთა ძლიერ მოეწონათ და შეებრალათ. ამ განზრახვაში რომ იუვენენ უშანგმა წარმოსთქვა სიტუვა და ეველანი დაჩუმდნენ: „დიდებულნო და ფაღვეანნო! გთხოვთ რომ მოისმინათ ჩემი რამდენიმე სიტუვა: შირველად მე რომ ხელმწიფედ დამსვენს, შევიტყე რომ ამ სამთა ზატიოსან ხელმწიფეთა ლაშქარი მოუგროვებით და ჩინეთზე მისუღან საომრად. მაშინ ჩინელებს ერთი ჯადო ეშოვათ რომელსაც სახელად აშვალ-ჯადო ეწოდებოდა, მის ჯადოს შემწეობით, ჩინელებმა ეს სამნივე დაიჭირეს და ლაშქარი მრავალი ამოუწვიტეს, და ესე ამბავი ჩემთან გამომაცხადეს, მაშინვე მე ბრძანება გავეცი რომ შეიდასათასი ლაშქარი შეეკრიბათ დაუყოვნებლივ, მაშინვე შეეკრიბნენ ლაშქარი, იმ უამად უათრანი ახლმწიფეული ფაღვეანი იყო, მაშინ მე ერთი მეცნიერი ვეზირი მეყვანდა სახელად გარსასიბი ეწოდებოდა, იმან ბევრი მიშაღა მაგრამ მე არ დავიშაღე. რა თავი მოგაწეინათ ბევრი ჭირი გადაგვდა გზასუდ როგორც იყო ჩინეთს მივედით. იმ წყეულმა აშვალ-ჯადომ რა ჩემი მისუღა შეიტყო ლაშქრით გამოვიდა და თუ გარსასიბ ვეზირი არ შეელოდა და ჩემი ძმა შარბ-შაჰა, ის ჯადო სრულად გაგვაოხრებდა, ჩახეგარ ლაშქარი სულ გაგვიწყალა, მრავალი სახელოვანი ფაღვეანი დაიჭირა. რა ესე შეწუხება მიიღო ჩემს ლაშქარმა უნდოდანთ გაქცეულიყვნენ, რა გარსასიბმა ჩემი ესეთი შეწუხება იხილა თვითონაც შეწუხდა და მითხრა: ხელმწიფევენუ შესწუხდები ჩემ თავს შენის ჭირის სანაცვლოდ გავხდით, ამადამ მე წავალ, შენ ჩემთვის ილოცე ღმერთით და შენ აღთქმა დადე რამე ეგები დავთის მოწყალება ჩვენზე შობრუნდეს და იმ წყეულს ამადამ აუტეონ რამე, და თუ ვერ შევძელ შემდეგ ჩვენი თავის გადაჩენას ვეცადოთ სხვა ვზით, ესე სთქვა და თვითონაც უცნო აიარო იყო და ცოტა ჯადოებიც იცოდა, მწუსარებით გამოემსალმა და წავიდა. თურმე როგორც იყო მივიდა და მათ ლაშქარში გაეკრია, ერთი მისი შავირდთაგანი იხელთა ჯიბიდან მოწამლული ბეუსტარი უთავაზა, ჯადომ ჭამა დაუწყო, ვეზირმა მაშინ ჰკითხა, ძმაო ეს მითხარ ამ ჩინეთის ციხეში თქვენა ლაშქარი ბევრია თუ არა? ჯადომ მიუგო, ძალიან ბევრიაო, მაგრამ საკვირველი თამაშაო, რაც უშანგის ზერობილნი ჰვავსთ სუეველა უნდა ჩამოახრჩონო. ვეზირმა რომ ესე შეიტყო, უთხრა: ნეტა ერთად წავიდეთ და თამაშა ვნა-

ხოთ. ჯადომ მიუგო, ბატონი ბრძანდებით წავიდეთ და მერმე იქი-  
ღამ მე დაგპატიოებ ჩვენსაო. ამით დაეწყოთ სიარული და ლაზარაკით მი-  
დიოდნენ, ვეზირმა ჰკითხა: ძმაო თქვენი უფროსი აშვალ-ჯადო სად  
იმყოფება? ჯადომ ხელით დაანახვა და უთხრა, აგერ იქ იმყოფებაო, კვა-  
ლად ჰკითხა; ძმაო ნეტა ღამით სად იძინებს? ჯადომ უთხრა, ღამით ჯადოს  
შვრება ჰაერში ერთ ოთახს ადგენს და შიგ იძინებსო. ვეზირმა კვლად  
ჰკითხა საუფარელო მეგობარო, შენ რომ გინდოდეს იმას ვერ შეულოცავ.  
რომ ძირს ჩამოვარდეს და სერი უუროთო? ჯადომ უთხრა მე როგორ  
შემიძლიან, ჩვენში არავის შეუძლიან, მაგრამ მაგ უშანგის ლაშქარში კი  
ისეთი კაცნი მოიპოებიან რომ იმათ იციან ისეთი ლოცვები რომელსაც  
„ისმიაზამს“ ეტყვიან თუ არ ვიცი რაღასაც, ის ლოცვა რომ წაიკითხონ  
მაშინვე ჩამოვარდებაო. ვეზირს რომ ესე შეეტყო განაკებოდა. ცოტაც  
რომ წასულიყვნენ ამ ჯადოს ბარბაცი დაეწყო და ბეუშტარი მორეოდა,  
ჯადო მოჰბრუნებოდა და ვეზირისთვის ეთქვა, სწეი შე ეშმაკო ეს რა მა-  
ჭამეო და შელოცვა სდომებოდა მაგრამ აღარ დასცალებოდა და მაშინვე  
წაქრულიყო. მაშინვე ვეზირმა თავი ტანიდამ განუშორა, მისი ტანისა-  
მოსი თითონ ჩაიცვა გაბრუნდა და ჯადოთ. ლაშქარში გაერია, იმათ ვერ  
იცნეს თავიანთ ამხანაგი ეგონათ, რა დაღამდა ნახა რომ შუაგულობაში  
ჰაერში ერთი ოთახი აღიმართა, გარეშემო სულ ვეშები დაეხვია და ჯა-  
დოებმა ვეკლამ დაიძინეს, საწყალი ვეზირი თურმე შიშით კანკალებს მა-  
გრამ გული გაემაგრებინა, მათ მძინარე ჯადოებს მრავალი შუბები ეწყოთ  
თავით ის შუბთაგანი რამდენიმე მოეპარა, მიიტანა და იმ ოთახის ქვეშ  
აქა-იქ ჩურჭო, ასე რომ იქიღამ ვაშლიც რომ ჩამოვარდნილიყო დედამი-  
წასე არ დაეცემოდა. რა ესე გაერიგებინა, ქედღამ ერთი დაწერილი ის-  
მიაზამი ამოედო, ერთ შუბის წვერზე გაემაგრებინა, მაშინ ღმერთი ეხ-  
სენებინა და დაეწყო ისმიაზამის თქმა, ერთი შუბი არ მისწდომოდა მე-  
ორე შუბი ერთმანერთს გადაება, ის შუბი ზევით აეწია და ის ისმიაზა-  
მის ქაღალდი იმ ჰაერში მდგარ ოთახისთვის მოეხვედრებინა. როდესაც  
ისმიაზამის ქაღალდი ოთახს მოხვედროდა მაშინვე ვეშაზნი და ოთახი გან-  
ქარდნენ და აშვალ-ჯადო მენისავით შუბებზე დაეცა და შუბები ორმოც  
აღავს გაერჭო, ისე რომ იმ წყეულს ხმა ვეღარ ამოედო და შუბებზე  
აკებული დარჩომილიყო. მაშინვე ვეზირი მივარდნიყო და თავი ტანიდამ  
განუშორებინა. იქიღამ გამობრუნდა ვეზირი და ჩემთან მოვიდა, ზურგზე  
ერთი ჰარკი ეკიდა, მოიტანა და ჩემ წინ დაბერტყა, ვნახე ერთი საშინე-  
ლი თავი გაგორდა. მე კი იმ ვეზირისაგან ხელი ადებული მქონდა, რო-  
დესაც ესე ვნახე სიხარულით არ ვიცოდდი რა მექმნა, შემდეგ მე ვკით-



ზე ვეზირს, ჩემო ერთგულე, ეს ვისი თავია მეთქი? მან მითხრა ქვე-  
ნის ამოხრებელის აშვალ-ჯადოსიანო. რა ესე შევიტყე მივარდი და შუბლს  
ვაკრცე. მაშინ მან მითხრა: ხელმწიფევე დაუფნების დრო აღარ არისო,  
ახლა აღარავისგან აღარა გვაქვს შიში, ამდამვე მიუსიოთ ღაშქარიო, მა-  
შინვე დასტა-დასტად შეატოებინეს რომ აშვალ-ჯადო მოუკლავსთო და  
იერიში უნდა მივიტანათო. რა ღაშქარმა აშვალ-ჯადოს სიკვდილი შეიტ-  
ყო ასე ეგონათ. ახლა დაბადებულიყვნენ, მაშინვე ხელმებს ხელი გაიკრეს  
და მძინარე ღაშქარს თავს დაეცნენ და დაუწიეს ხოცვა, რა მათ ღაშქარ-  
თა ნახეს რომ უწყალოდ იხრებოიან შექმნეს ძახილი აშვალ-ჯადოვ გვი-  
შველე სრულიად ამოგვწვიტესო. რა დილა გათენდა აშვალ-ჯადო შუბებ-  
ზე ჩამოცმული და თავ-მოჭრილი იხილეს, ესე რომ ნახეს ზირი იბრუნეს.  
ჩვენ ღვთის შეწევნით ხოცვით მივეყვით, რა თავი შეგაწვიინათ, ჩინეთ-  
ში შევედით, ჩინეთი ავიღეთ და ეს სამნი ხელმწიფენი იმათ საპერობი-  
ლიდამ გამოვიხსენით, თან დიდძალი ღაშქარი გავატანე და თავიანთ ქვე-  
უხანას მშვიდობით მივიყვანე.

შეორედ ამათხედ ზუღუმათის ხელმწიფე მოსულიყო საომრად ესე-  
ნი იმასთან როგორც უფილიყო მორიგებულებიყვნენ, შეერთებულიყვნენ და  
ჩემზედ მოვიდნენ საომრად. ღვთის ბრძანებით დავამარცხე და დავიმო-  
ჩილე არა ვაფნერა და ისევ თავიანთ ქვეყნები მივეცი და გავისტუმრე მშვი-  
დობით.

— მესამედ უკუდგნენ და მივიდნენ რაჭინდთან, უკამანის სიამო-  
თან ააღელეს, ის წამოვიდა საომრად და რამდენი უცხო თაღაჯინი რამ-  
დანი ასი ათასი კაცი დაიხრცა ამათის სიტყვით და უზურმარელობით ჩემ-  
თან. ბოლოს ღვთის ბრძანებით და ჩემი საუვარელი შვილის უკამანის  
ძალით კვალად ვსძლიე და დავიჭირე.

— მეოთხედ კვალად უკუ მიდგნენ, წავიდნენ ქეთან-შაჭა მოიყვანეს,  
მაშინაც რამოდენა წვალება გავსწიეთ, ცოტა დარჩა ჩვენმა აღსასრულმა  
მოადწია და დმერთმა შეგვიბრალა იმ საშინელ ოპუალი-ჯადოსიგან და სა-  
აბუარანი მოგვესწრო და კიდევ ვაფიარჯვეთ.

— მეხუთედ გამეჭნენ რაიხამთან მივიდნენ და შესჩივლეს ჩემგან  
ვითომც უსამართლოდ მოვქცეოდე და გული გამოუცვალეს, რაიხამიც  
საომრად წამოვიდა ჩემზე ვაჯავრებული, იმ უმად ომში რამდენი ასიათა-  
სი დაიხრცა და ისიც ღვთის მოწყალებით უკამანმა დაიმოჩილა და თავის  
შუამავლობით ამათთან შემარცა. მე ჩემ გუნებსში ვსთქვი ძლივას  
დაწუნარდნენ უგელანი მეთქი — და თურმე ეშმაკობით შემირგდნენ, ჩინეთს  
მისულიყვნენ, უკამანისა ჩემი და ხოსროვირის ჭარემანსა და ხაზინას

აკლათ და ფარმანია ციხეში შეეტანათ, იქაც მივედი, ისიც კარდანქე-  
შანისა და ხოსროვშირის შემწეობით ციხეც ავიღე. ბოლოს დიდებულნი  
და წარჩინებულნი! ამ როგოშან-ბახტის შამის რაიაზამის გაფუჭების მიზეზ-  
ნი ესენი იყვნენ ბოლოს დროს. და ახლა თქვენ ნახეთ თუ რამდენს წვა-  
ლებებში და განსაცდელში ჩაგვყარეს ამათ, დემურთა იცოდა ჩვენი მოწიქ-  
ნა. ამ საბრძოლო უმეტრებმა, რამდენი ასიათასის დახრცილების ცოდვებში ჩა-  
ცვივდნენ და ყველას სისხლი ამათ კისერზეა. რომ იცოდეთ დიდებულნი!  
ეს შექცეს აჯანყება ამათი, მაგრამ მე ყოველთვის ვითმენ, ახლა თქვენა  
ბრძანეთ მეშვიდეთ თუ დაეთმობათ მე არაფერს აღარ ვიტყვი თქვენ გა-  
დასწვებთ ამათი სამართალი და ისე განავთ.

„ამ ბოლოს სჯაში, როგოშან-ბახტი წინ წარმოსდგა დაიჩიქა და მო-  
წიქებით მოახსენა: ჭეი დიდებულა ხელმწიფე! შეიდთა იულიმთა მხერ-  
ბელა, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ერთი სიტყვა მათქმევიანეთ და-  
ვთხვო თქვენს მძალე და ძლიერ ხელმწიფობას რომ ყური დამიგდოთ და  
მერე თუ ბრძლებული მხვოთ თავი მომჭერთ და სამართალიც იქნება  
ჩემზე. მაშინ უშანგმა უბრძანა: როგოშან სთქვი თუ თავის განსამართლებე-  
ლი საბუთი გაქვს, ნუ გეშინიან. შეშინებულმა რაც შეეძლო შირი ალაღა  
და სთქვა: ჭეი მძალე ხელმწიფე, როგორც გეტანჯო სამართალია ჩვენ-  
ზე, შირველად ისმინეთ ჩემი ვედრება, თუმცა დიდი დამნაშავე ვარ მა-  
გრამ არცა მაქვს დანაშაულობა. შირველად მე რომ ხელმწიფედ დამსგეს  
თრმა წელიწადმა განვლო, ერთხელ ჩემს ვეზირს ვვითხე, ვეზირო მე  
დედამა და ძმა მუვანდნენ თუ არა მეთქი? ვეზირმა ერთი ამოიხსნა და  
რაც მამჩემს კარდახედოდა ყოველი მიაძბო. რა ესე შევიტეე უმარწვი-  
ლობის ქარმა აღმოტაცა როგორც მოგესხებოთ, მაშინვე ვსთქვი არ იქნე-  
ბა მეთქი რომ უშანგზე სამოკად არ წავიდე და მაგიერი არ გადაუხა-  
დო მეთქი, ჯერ თქვენი შარბათი არ დამეღია და არცა რა ვიცოდო. ჩე-  
მა ვეზირმა რომ ესე შეიტყო, ცოტახანს დაჩუმდა და როდესაც მე და-  
წინარდი, მერე მითხრა: ხელმწიფე ჯერ თქვენ გამოუცდელი და ახალგაზ-  
და ხართ, ჯერ კიდევ არ იცით რომ თქვენ უშანგთან დავას ვერ გასწვით,  
სამასი წელიწადის უშანგი ხელმწიფეთ დამჯდარა და ქვეყანაზე ხმალს  
იქნევს და არა ხელმწიფე მას წინ ვერ გადაზდგობია, არც დევნი, არც  
ფერიანი და არცა ჯადონი; და შენ რა უნდა გააკრიგო. თუ დამიჯერებო  
შენთვის მძიმედ დაბრძანდი ეგ საქმე ძველებურისა და ნუდარ განსლებო,  
თორემ ეს სახელმწიფოც ხელიდან წავივია. ჭეი მძალე ხელმწიფე რა-  
ვეზირისაგან ესე გავიგონე ძლიერ მეწინა, ასე მეგონა ხელმწიფობა წა-  
მართვეს მეთქი, ისე შეგშინდი მე თქვენგან. რა ამ განხრახვებმა გაიარეს

ჩემში. ერთ წელიწადს შემდეგ ვნახე ეს სამნი ხელმწიფენი ჩვენს ქვეყანას მოადგნენ ოცდა ოთხასი ათასის ჯარით და მე მითხრეს: შენ რას შერებიო მე ენა დამიბრკალდა, მე რამე მიოხრეს: რისა გეშინიანო? უშანგს ერთი ფალევიანი ჭევიანდა ჭეუხუსურ-ჯადოს დაუბრძავებისა და იმ სიბრძავის დროს ჭაზარეჭ-დასტს მოუკლავსო, უშანგიც დაბერებულა და რაც ფალევიანები ჭევიანდა აქა-იქ დაუფანტავსო და ახლა კარგი დროა სისხლის ძებნისათ. ესე რომ მიოხრეს მალალო ხელმწიფევე, სწორედ მოგახსენო შევცდი ზირველად უმარწვილობით, მეორედ ჩემ მამაზედ და ძმამზედ და მესამედ ჩვენს საზინაზედ გულდამწვარი ვიყავ, ერთი მხრით ჩვენმა ეშმაკმაც მამატყუა, წყეულებიც იყოს ისა და იმის სახსენებელი და იმის თაყვანის მტყეული, მე თქვენი ძალა არ შენახა და უცოდინელი ვიყავ, არც თქვენ გიცნობდით და ისე მოველ, ამით რა სჯიდათ რომ მოდიოდნენ რომელთაც თქვენი ძალი და ძლიერება იცოდნენ, ჩემსავით გულდამწვარნი ხომ არ იყვნენ, თქვენის მოწყალებით თითო ქვეყნის ხელმწიფენი მაინც იყვნენ და არა ხელმწიფისაგან შიში არა ჰქონდათ თქვენის მოწყალებით. მე რომ თქვენზე წამოვსუფიყავი სამხრად ამით უნდა დაეშალათ, არამც თუ მოეტყუებინათ და ამისთანა განსაცდელში ჩაეკდათ, რაც მამაჩემს უსამართლობა მოსვლია იმაზე სამართალი უფილია, რადგანაც ის წყეული ეშმაკი სწამებია და იმის სიტყვა რწმუნებია, როგორც ახლა ჩემს მოსვლაში იმედებს მძლევედა, კვლავ იმის მიმდგომი იმის ხელში ჩავარდეს და წყეულებიც იყოს იმის სახსენებელი. ჭეი მალალო და მოწყალეო ხელმწიფევე, ქვეყანაზედ თუ ხელმწიფე ბრძანდებოდეს თქვენისაგან მართალი და ძლიერი, მართალი და ჭეშმარიტი თქვენი ღმერთი უფილია, რაც მე გამოვცადაე აქნამამდე ჩვენი ხელმწიფობა ეშმაკისა უფილია თურმე“.

„ჭეი სააბურიანო! ხელმწიფენო და დიდებულნო! ისმინეთ ვედრება ჩემი, მაქვს უფილი რიგად დანაშაული და ამ წამსვე ვარ თქვენს ხელში როგორც ჩიტი მახეში, რა ტანჯვითაც რომ გსუდეთ ისე დამსაჯავთ მე აღარაფერი შემიძლიან, მაგრამ თქვენ მოწყალებით ბრძანდებით, გადეთ მოწყალების კარი, დაჰვარეთ ჩემი სიავაკე და მახუქეთ ჩემი დანაშაულობა. როგორც მრავლისთვის გიჩუქებით. ზირველად ცისა და ქვეყნის გამყინისთვის რომელიც მე ვირწმუნე და მეორედ თქვენის შვილის არღვიან-შაჭისათვის და იმის სადღეგრძელოდ. ჭეი სააბურიანო და ქვეყანაზედ წარჩინებულო და ფალევიანთა დამხობო, დევთა და ჯადოთ ამომწვევტო! შემობრალე შენი ქუჩუკის სადღეგრძელოდ მამატყე ჩემი ერთი მუჭა სისხლი და მეც როგორც უკანასკნელი მონა ისე მიმსახურეთ. ახლა ეს ჩემი ხმალი და ეს ჩემი კისერი, ბრძანეთ და აღსრულდნ უკანასკნელი თქვე“

ნი ბრძანება რათა ღირსი ვარ ღვთისა და თქვენის რისხვისა“. ესე სთქვა და თავნი მოგდებით დაწუმდა.

რა უშანგმა, ყარამანმა და ყოველმა დიდებულმა, როგონ-ბასტიანს გან ესეთი სიტყვა-ბასუნი და ქცევა ნახეს, დიდად მოეწონათ, მაშინ ყარამანი ადგა უშანგს თავიანი სტა და მოახსენა: „ჭეი მადალა ხელმწიფეა! ამ შაჰზადა როგონ-ბასტის დანაშაული მე მაჰატიე, ამისთვის რომ ამის ჭკუა დიდად მომეწონა და უცხოდ არ არის—ჩემი მხევლის სარგებურამანის ბი-დაშვილია და ეს ჩემი საკერძო შვილია. უშანგმა ბრძანა შვილად რადგანაც კე-კერე. მოჩინილი აღმოჩნდა შენის ჭირის სანაცვლოდ იუოს, მაგრამ ჩემი სისხლის მსმელების სამართალი თქვენ გადასწევიტეთო.

მაშინ ყარამანმა შეხედა დიდებულებს და დაიძახა! „ჭეი, დიდებულნი და ჩინებულნი! მე ჩემის სვინილისით ესე ვსჯი საქმეს რომ რაც ამით თავობაზე უბრალოდ სისხლი დაღვრილა, იმათ ცოდვას ჩაუგდია ამ დღე-ში ესენი და რადგანაც მრავლის სისხლია ამათ კისერზე სჯობს რომ აღი-ხოდონ ესენი ქვეუნიდამ, თორემ კვალად მრავალ სისხლ დაღვრიან ესენი უბრალოდ თუ ცოდვასი დაჩხენ“. ამ სიტყვაზე ყოველნი დიდებულნი წამოხდგნენ და ერთ ხმათ დაიძახეს, სამართალია მაგათზე სიკვდილისა!

მაშინვე ყარამანი მივიდა როგონ-ბასტი ადხნა თავის ხელით და მო-ეკანა და უშანგის კალთას აკოცინა, შაჰზად-შაჰას ხელს და სხვათა შირთა, მიიყვანა და ქუნუკის ქვემოთ დასვა,—მობრუნდა და გარდანქმანს უბრ-ძანა: გარდანქმანო, კე ჩვენი ღვთის მტერნი და ეშმაკის საყვარელები და წყეულების თავიანის მტემელები, წაიყვანე ათი დღე ორმოში ჩაყარე და ჰუმბი ხორცი აჭამე, ნახონ ჰუმბი ხორცის ჭამა როგორი ძნელია, როგორც ჩვენ ბურჯ-ვეზირს ინახავდნენ, ჩვენმა შემძლებელმა ღმერთმა დაიხსნა ჩვენი ბურჯ-ვეზირი. ვნახეთ მაგათ ეშმაკი ღმერთი როგორ დაიხსნის, რა ესე დასრულა მაშინვე ისინი წინადად ააყრინეს და ერთ მოშორებულ ალაგს ერთად ჩაყარეს ხაროში.

ამათ სამართალი რომ გადასჭრეს, ხოსროვ და თემურ-ჭინდი წამოა-უენეს ორნივე, მივიდნენ და ხელმწიფეს თავიანი სტეს, დაუჩოქეს და ხელ-მწიფე დალოცეს, მოახსენეს: „ჭეი მადალა და ძლიერო, შვილთა იულიმი-თა მშურებელი ისინი ჩვენი ვედრება, შეტყობილი გვაქვს რომ მოწყა-ლე ბრძანდებით, რასაკვირველია თქვენ მოკესსენებთ ბატონ-მონობის მოჩ-ნილობა. ჩვენ იმ ჟამად ინდოეთში ვიმყოფებოდით და როგონ-ბასტის მსახურნი ვიყავით, ჩვენ ბატონს დაუმოჩინილდით და თან ვიხედიეთ, აქ მო-ვედით და ომში მრავალი ფაღვანი დახვრცეთ. და ბოლოს თქვენმა ღმერთ-მა ჩვენი თავი თქვენ მოკვართვათ, როგორც ჩვენი ხელმწიფე ჩვენს თქვე-



ნი უკანასკნელი მონა ვიქნებით და ჩვენც გვირწმუნებია თქვენი ღმერთი და უნდა გვაჩუქეთ ჩვენი დანაშაული, თუ ღირსეული არა ვართ ჩუქების რეგორც გნებავთ იმ სატანჯველით დაგვხრცეთ, ღირსნი ვართ სიკვდილისა“. ესე თქვეს და დაჩუმიდნენ.

ამათგინაც ურამანი წინ წარმოსდგა, ხელმწიფეს თაყვანი სცა და სთხოვა რომ ეხატებინა ამათ დანაშაულიც, ხელმწიფე უშანგმა ამათაც ახატია თავიანთ დანაშაული, მაშინვე ურამანმა ორივე ჯაჭვებიდამ ახსნა და განთავისუფლდა, მაშინვე მივიდნენ უშანგის ტახტს აკოცეს, შაჰზად-შაჰას კალთას და ბურჯ-ვეზირს ხელსა, მეკე ყოვლიბანს, ნარამანს, მუხლსა, ურამანს კალთას, ქურუკს ზირსა და აგრეთვე ყოველმა ფალეევანმაც მიუღოცეს მათ განთავისუფლება. ურამანმა ანიშნა და უათრანის ქვემოდაც ორი სკამი მოიღეს და ეს ორი ფალეევანი ზედ დასდნენ. რა მათგანაც მოიცალეს, უშანგმა ბრძანა: ფარვან ახლა ამ ჯადოების სამართალი თქვენ გადასწვიტეთ და ასეთ რიგ ტანჯვით უნდა დაიხრცნენ რომ, რომელმა ჯადომაც მაგათი ტანჯვა გაიგოს აქეთ მოსულა ვეღარ გაბედოს. ფარვან-დევი მაშინვე ადგა უშანგს თაყვანი სცა, სამნივე ჯადონი გაიყვანა და უშანგს მოახსენა: თუ გნებავთ მობრძანდით და ამათ ტანჯვის თამაშს უუურეთო. მაშინვე უშანგი, შაჰზადი-ფერია, ურამანი და ყოველნი დიდებულნი წაბრძანდნენ და მოედნის თავს დადგნენ, ფარვან-დევმა სამნი ჯადონი წაიყვანა და მოედნის შუაში დააყენა. ერთი რაღაც შეუღოცა და ესენი სამნივე საშინელ ფრინველებად გარდიქნენ, ისეთნი რომ მნახველთა შეეშინდებოდათ, ნისკარტი აღმასივით ჰქონდათ, ფეხების კლანჭები შუბებივით, ბუმბული თითო-თითოდ გამოშვებული და სამნივე ერთმანერთს მტრულად უუურებდნენ, ერთი რაღაც თილისმაც უეო და დაუწიეს ერთმანერთს გლეჯა-ფლეთა, ასე რომ ერთმანერთს ხორცებსა ჰგლეჯდნენ და ასე რიგათ ჩხუბობდნენ რომ ყოველთა შეებრალათ, მაგრამ როდესაც მათგან თავიანთ წვალება მოაგონდათ, ამბობდნენ ჯერ მაგათზე ეკეც ცოტაო. ამათ ერთმანერთი იმ ხარისხამდე დაგლაჯ-დაფლეთეს რომ ორნი დაიხრცნენ და ერთი ცოცხალი დარჩა. ფარვან-დევმა ერთი მათრახნი გამოიღო და სამთავეს შეუღოცა და შემოჰკრა, რა ამ სამთავეს ის მათრახნი მოხვდა ერთი ცოცხლი ავარდა და ეს სამივე დასწო და მტვერიც ადარ გამოჩნდა. რა ისინი იმ ტანჯვით დახრცა იქიდან გამობრუნდნენ და სასახლეს მოვიდნენ, დიდი მეჯლიში გამართეს ასე რომ სამი დღე მეჯლიში არ მოიშალა.

ამ მეჯლისში რომ იყვნენ ერთი კაცა შემოვიდა და ურამანს მოახსენა: ჭეი საბუიარხო, სამხრეთის კერძოდამ ერთი საკვირველი დევის ყი-

ჟინის ხმა მოდის და არ ვიცი ვინ არიან. მაშინვე უკრამანმა სსჭმანი და-  
უძახა და უბრძანა: ჩემო ერთგულო სსჭმან ნახე ვინ არიან, მგონი რამ  
ჩვენი გაგზავნილნი დევნი არიან ჰსარკექ-დასტის ხაზინის მოსატანად.  
რამ გაგზავნეთ. სსჭმანმა მაშინვე თავისი აღმასის დასტარები მხარს გა-  
დიდო ჰსარკექი აღფრინდა და სამხრეთის მხარეს მსწრაფად წავიდა. რა  
მიახლოვდა ნახა რამ ზორაბ-დევი და ანგურ-დევი წინ მოუძღვიან და უკან  
დაშქარი მოზღვეს ჰსარკექ-დასტის ხაზინა და ტასტები მოაქვთ. რა ერთ-  
მანერთს დაუახლოვდნენ ერთმანერთი ტებილად მოიკითხეს, სსჭმანმა რა  
ჭოფელი საქმე გაიგო მაშინვე უკრამანთან გაბრუნდა მივიდა თავუბანი სცა-  
და მოახსენა: საბუიარანო, თქვენი გაგზავნილი ზორაბ და ანგურ დევი  
გახლავანო და ჰსარკექ-დასტის ხაზინა მოაქვთო. უკრამანიც მივიდა და  
უშნგს მოახსენა: ჭეი-შარეილო! ჰსარკექ-დასტის ხაზინა გაახლათ და რას  
გვიბრძანებთო? უშნგმა მიუგო, საუვარელო შვილო, პირველად ღვთით და მე-  
რე თქვენი წყალობით ამოდენა ხაზინა მაქვს რამ ასი წელიწადია ნახევ-  
რისთვისაც ხელი არ მიხლია, ახლა ეგეც დმერთმა თქვენ მოგახმაროთ, ამ  
დახარაკში რამ იუფენ, ზორაბ-დევი და ანგურ-დევი კარს მოადგნენ და  
მოახსენეს: საბუიარანო ხაზინით დაშქარი ციხის კარს თქვენს ბრძანებას  
უდიან. მაშინ უბრძანა რამ ნარამანის ხაზინაში შეაღებო. რა მისგან  
მოიცაღეს უშნგმა ბრძანა: შვილო უკრამან უფელი ჩვენი ამბავი წიგნათ-  
უნდა შედგეს და დაიწეროს, — და სსჭმანის ხელით უშნგბათში გაიგზავ-  
ნოს. მაშინვე ბრძანება აღასრულეს. გურჯ-ვეზირმა წიგნი დასწერა და უვე-  
ჯაფუკი შიგ ჩასწერა, სსჭმანს მისცა და უთხრა: „სსჭმან როდესაც იქიდან  
მობრუნდე ესევე წიგნი შემოიტანე, უშნგს მიართვი და მოახსენე ხელ-  
მწითელი კარგი რამ მე იქ დავესწარ, ამისთვის რამ ერთი რაღაც თუ-  
ქურმანის ქალაქი უგუ მდგარყო და თქვენს შვილზე მოსუდიფუნენ, ცი-  
ხეშიაც კი შიგნიდან რამდენიმე კაცი უგუ მდგარიფუნენ და თქვენი შვილი  
ძალიან შეწუხებინათ, რა წამსაც მივედი გარეული მტერი ზოგი დაგნო-  
ცე ზოგი გაშექნენ და ზოგი დამომოწილდნენ და რომელნიც ციხეში  
უგუმდგარიფუნენ, ისინიც დავიჭირე და საშერობილეში ჩავკარე და ეს წიგ-  
ნიც თქვენმა შვილმა გამომატანა და ეს არის თქვენ სამსახურში გახსელ,  
მომიერთეფია და მაგ წიგნში სცნობ უველასა“ სსჭმანი ესე დაარია და  
გაისტუმრა და თვითონ შექცევას ხელი მიჭვეეს და ღზინობდნენ. უკრამ-  
ანმაც უშნგს მაღვით ქურუკისა და გუდიჯანის სიუვარული გამოუცხადა.

უშნგმა რამ მათი სიუვარული შეიტყო, იმისთანა საქმე თვითონაც  
გარდახლოდა როდესაც ეშის ტრთიადი ჰქონოდა, მაშინვე უბრძანა, შვილო  
მაგისტანა საქმეს რაღა დაუფუნება უნდა ვიდრე მეც ცოცხალი ვარ მაგით



სიხარული ვნახო, მეც დაგებრებულვარ, ასე მგონია რომ ცოცხალი ვეღარ  
მივალ ჩემ ქვეყანაში. ვიდრე ცოცხალი ვარ ერთი იმათ სამართალიც გადაწვი-  
ტო, ჩვენი შუხანათი შირვან-ვეზირისა და მის ამხანაგებისა. ამ საუბარზე  
ბურჯ-ვეზირი იხშეს და უშანგმა უბრძანა: ჩემო ერთგულო მეცნიერო და  
ჩვენთვის თავდადებულო ვეზირო, ჩვენი მუხანათის შირვან-ვეზირის წიგ-  
ნის სამართალს როდის იხებებთ? ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ჭეი, მადა-  
ლო ხელმწიფეგ და საბუიანო, მაგათი საქმე დამიწვივია ესე, როდესაც  
საჰმანი მოვა ერთს წიგნს მოგარომეგს ასე იცოდეთ ის ჩემი დაწერილია  
და რაც ზირათაც მოგახსენოს ისიც ჩემი დარბეგებულა და იმ მეჯლისში  
მათი სამართალი გარდაწოდება. და ამასაც მოგახსენებთ რომ თუ მაგათ ის  
საქმე ეჩუქება, ხვალ და ზეგ ბევრნი იქმონენ მაგისთანა საქმეებს, და თუ  
მაგათზე ფიტხელი სამართალი იქონიე, მაშინ სხვანი ვეღარ გაბედავენ. რა  
ესე დამტკიცეს გამობრძანდენ და მეჯლისში გაიმართა, მრავალი ღხინი  
გარდაიხადეს.

როდესაც ესენი ამ ღხინში და შექცევასში იუვნენ, საჰმან-ადამზადი  
რომ უშანგს, ყარამანს და ბურჯ-ვეზირს გამოესაღმა, მაშინვე აღფრინდა-  
თი დღე ჰქართთ იარა და შეთერთმეტე დღეს უშანგათს მიადწია. უშანგ-  
ბათილამ შემოხედეს ნახეს რომ დასავლეთის მხრილამ ერთი საშინელი  
დევი მოდის, ესენი ძლიან შეშინდნენ და მაშინვე არდევან-შაჰსთან შე-  
ვიდნენ და მოახსენეს: ხელმწიფეო, დასავლეთის მხრილამ ერთი საშინე-  
ლი დევი მოვაო და არ ვიცით მტერია თუ მოყვარეო. არდევან-შაჰამ ზო-  
ანგს და ნოჯყუანს უბრძანა: ზოანგ ნახე, თუ მტერია წინ გადუდეგ მანამ  
სხვანიც მოგეშველებიან და თუ მოყვარეა გაიგე ვინ არის და ან საილამ  
მოვა. მაშინვე ზოანგი თავის მძიმე იარაღით შეკაზმულმა ორას ლიტ-  
რანი გურზი აიღო მარტორქას ამხედრდა და დასავლეთის მხარეს გასწია,  
რა შეხედა ნახა ერთი საშინელი დევი მოვა, ასე რომ მის შემხედავს გუ-  
ლი გაუსკდებოდა. რა ცოტად მოახლოვდა ნახა რომ საჰმან-ადამზადი,  
ძლიერ გაეხარდა, საჰმანმა მაშინვე ზოანგი იცნო, ძირს ჩამოვიდა და ერთ-  
მანერთი მოიკითხეს, საჰმანმა ჰკითხა ძმაო ზოანგ, იარაღით რათ მომე-  
გებეთ მტერი ხომ არ გეგონეთ? ზოანგმა უპასუხა, სწორედ ეგრე მეგო-  
ნა, შემიდეგ შექცევით წამოვიდნენ ტიხისაკენ, ნახეს რომ რამდენიმე ათა-  
სი იარაღით შეჭურვილნი ფალევანნი ზოგნი მარტორქაზე ამხედრებულ-  
ნი ზოგნი სხვა მხრეებზე და სხქაროდ მოდიან, საჰმანმა რომ ესე დაი-  
ნახა შესძახა: ჭეი ფალევანნი! შაბაშ თქვენს სიფრთხილეს რომ ეგრე  
ფხიზლად ხართ: ამ შეძახებაში იმ ფალევანებთან მივიდნენ ვიდრე. იმა-  
თაც იცნეს ნახეს რომ ზოანგი ქვევითად მოსდევს, ერთხელში მარტორქის

ჯილავი უჭირავს მეორე ხელი-ხელს მიუცია დევისთვის და ტკბილის სა-  
ურბით მოდიან, ძალიან გაკვირდნენ და ერთმანერთს ჰკითხავდნენ ეს ვინ  
უნდა იყოს? უთუოდ ან უშანგისა ან უარამანის გამოგზავნილი ვინმე იქ-  
ნებაო. მაშინ ზოანგმა კაცნო რომ საჭმან-აღამზადია უარამანის მონა. მა-  
შინვე რამდენიმე ფალეევანნი გამობრუნდნენ არდევან-შაჰასთან და მოასხე-  
ნეს სელმწიფეო გვიხარებია საჭმან-აღამზადი კახლავსო.

არდევან-შაჰამ რომ ესე გაიგონა, ძალიან გაიხარა. ამ დროს საჭმანი,  
ზოანგი და სხვა ფალეევანნი არდევან-შაჰასთან შევიდნენ, საჭმანი მივიდა.  
არდევან-შაჰას თავიანი სტა კალთას აკოცა და უშანგის წერილი მიაერთო  
და ვისთანაც ქაბულის დიდებულებისკან წიგნები ჰქონდა ეგულა ზატრო-  
ნებს ჩაბარა. წერილები რომ ეგულამ წაიკითხეს დიდ მხიარულებას მი-  
მიედნენ და საჭმანს მრავალი ფეშქაშები მიაერთაეს. რა არდევან-შაჰამ წე-  
რილი წაიკითხა გამხიარულდა და საჭმანს ერთი ძვირფასი ხალათი უბოძა:  
მაგრამ რადგან თავის ბიძა შარიბ-შაჰა უშანგ-ბათში მიცვალებულიყო ამა-  
ზე ცოტად შეწუხებულიყო. მაგრამ წიგნის ნახვით ეგულა დაავიწყდა. საჭ-  
მანმა ხუთი დღე იქ განისვენა, ამ დროში ვისაც სურდა წიგნები დასწე-  
რეს, არდევან-შაჰამაც წიგნი მოამზადა, მხოლოდ შარიბ-შაჰას სიკვდილი  
არ გამოაცხადა და ხუთი დღის შემდეგ გაისტუმრა საჭმანი.

აქ საჭმან-აღამზადის უშანგბათიდან მოსვლა ქაბულს და  
არდევან-შაჰის წერილის მიწოდება და შირვან-ვეზირის  
და მის ამხანაგთა მუხანათობის სამართალი.

რას საჭმანი უშანგბათიდან წამოვიდა ათმა დღემ განვლო, ბურჯ-ვე-  
ზირი, შირვან-ვეზირის საქმის თადარიგში იყო. მაღვით ათასი აბრეშუ-  
მის თოკი დააკრესინა და ორმოცი ქირმანის შალი დაამზადა და მეორე  
უშანგთან შევიდა და მოასხენა: ზეი მაღალ სელმწიფეო, რა მეჯლისი კაი-  
მართოს ესე უნდა ბრძანოთ, შირვან-ვეზირი თავის ამხანაგებით ერთს მხა-  
რეს დასდნენ თქო, უშანგი მობრძანდა და თავის ტახტს დაბრძანდა, შაჰ-  
ზალ-ფერია გვერდით მოუჯდა, უარამანიც თავის ტახტს დაბრძანდა, ფარ-  
ვან-დევი გვერდით მოუჯდა მასთან ქუჩუკი და ბარამჯიბილი. მეორე მხა-  
რეს ნარიმანი, ბურჯ-ვეზირი, მასთან უფლებიანი, ხოსროვირი, ყათჩანი  
და გარდანქეშანი, ამ მოწუთბილობით ათას რვაას სკამებზედ დიდებულნი  
და ფალეევანნი დასდნენ, ჯერ შუადღე არ შესრულებულიყო, უშანგმა სი-  
ტუვა წარმოსთქვა: დიდებულნო, მე ვკონებ რომ ჩვენი ზირშავნი ხელ-  
მწიფენი ათის დღით დაგამწუვდიეთ, ათი დღეც შესრულდა და მეტიც.

გავიდა, აბა ახლა მოასხით ვნახათ რა საბუთს გვეტყვიან. მაშინვე ის ხელმწიფენი ორმოდამ ამოასხეს და ხელმწიფესთან მოასხეს, რა ხელმწიფემ ისინი დაინახა, ადგა ბურჯ-ვეზირი და გარდანქეშანი ერთს ხაფგათს შეიფანა, რამდენიმე წამს შიგნით ბრძანდებოდა მეგრე გამობრძანდა. რა გამობრძანდა უველანი ფეხზე დადგნენ და ნახეს რომ უშანგს წითელი საკაფანი ჩაუცვავს, მაშინვე უველანი მიხვდნენ რომ მუხანათ ხელმწიფეებისთვის ავი ნიშანია.

მაშინ უშანგმა წარმოსთქვა: „ჭეი ხელმწიფენო, მოკლედ გითხრათ, თქვენი დანაშაული ბევრია და უველანზე მომეტებული, პირველი ეს რომ თქვენ ჩვენი დემრთი დასტოვეთ, რომელიც ცისა და ქვეყნის გამჩენია. წახვედით და ეშმაკს თაფანი ეცით, ჩვენ მტრობას მე გახატებთ მაგრამ დვთის საქმეს ვერ გახატებთ, თუ თვითონ ინებებს, შეუძლიან მაგ კანსაც დელიდამ დაგიხსნათ.“ მაშინვე ბრძანა რომ სამი ძელი აღემაართათ და ეს სამნივ ჩამოეკიდათ, თუ თაკი გაწვევტილიყო მაშინ დემრთმა დაიხსნა იგინი დასრჩობისაგან და უნდა ჰხატებოდათ. მაშინ როგუშან-ბახტი წინ წარმოსდგა და იმ სამ ხელმწიფეთ უთხრა: „ჭეი ამხანაგნო, ვიცი წახვალთ და მამახემს ნახავთ, ჩემს მაგიურად დიდი მადლობა მოახსენეთ, მაგრამ მე ასე ვიცი რომ თქვენ იმასთანაც ზიკშავი ხართ, რაც მამახემს თუ მე საქმე შეგვამთხვიეთ საბაბი სულ თქვენა ეოფილხართ, ალაღია თქვენზე უშანგ-ხელმწიფის სამართალი და ესეთი სიკვდილი თქვენთვის სიხარულია ახლა იქ წაბრძანდით და თქვენი ტანჯვა ექა ნახეთ, მშვიდობით“. ესე უთხრა დაბრუნდა და თავის ალაგს დაჯდა. როგუშან-ბახტის გამოსაღმებაზე მრავალი იცინეს. მაშინვე ეს სამნივ გაიფანეს და მოედნის საშუალ ალაგს ჩამოჰკიდეს, სამი დღე ისე უკიდნენ და სამ დღის უკან მათი მოღვროძაღლებს და ფრინველთ მიუყარეს. რა მათგან მოიცალეს და სამი ოთხი დღე გავიდა, დევისა და ფერიის ლაშქარი ქაბულის ქვეყნებში დაჭყანტეს. ერთ ღამეს უშანგმა დიდი მეჯლიშბ გამართა. ასე რომ მისთანა მეჯლიშბ კაცის თვალს არ ენახა და უბრძანა: ბურჯ-ვეზირო როგორც კვმართებს იმ რიგათ დასხი ჩვენნი დიდებულნი—და გვმართებს ერთგულთა მხიარულებას ლხინი და დვთის მადლობის შეწირვა.

რა ბურჯ-ვეზირმა ესეთი ბრძანება მიიღო, მაშინვე სხვა დიდი დარბაზი გამართა სრულიად ზარის ფარხით შეამკო, ზემოთ თავში ოთხი იაკუნდის ტახტი გამართა, ზედ მარგალიტის სუზნები გაჭყინა, უცხო სურნელებიანი ვარდის წყლით მოწყო, ერთი ტახტი ზემოთ თავზე დადგა უცხო აღმასით მოჭკდილი, ასე რომ რვა ფეხი კიბე ავიდოდა ის ტახტი უშანგისთვის მოამზადა, მარჯვენა მხარეს უცხო ოქრომკედლით მო-

ჭეიხის და მარცხნივ აბრეშუმისა, როგორც უშანგს შეეფერებოდა იმ რი-  
გათ გააწყო. მისგან რომ მოიცალა გამოვიდა და ოთხსაი აბრეშუმის თა-  
ვი მზად იქონია და ორმოცი ქირმანის შალი, რა ესენიც გაარიგა მშინ-  
ვე უშანგთან მივიღა თაყვანი სცა და მახსენა: „ტყე შარიელა, დარბაზი  
მზად გახლავსთ მობრძანდით და ღხინი იქ გარდაიხადეთ, მაშინვე ყარა-  
მან სააბერიანი, ნარიმანი, ქუჩუკი, ყოფლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი და  
როჟან-ბახტი, უშანგს წინ გაუძღვნენ და აგრეთვე ათას შვიდასნი ნაზირ-  
ვეზირინი და ორი ათას ხუთასნი უცხო გამჩენილნი ფალეკანნი და დი-  
დებულნი უკან მოსდევდნენ, უშანგის წინ გარდანიქმანი და ასიმ აიარნი,  
ბურჯ-ვეზირიც უცხო ქცევით მოუძღოდა, მივიდნენ და იმ მორთულ დარ-  
ბაზში შევიდნენ, უშანგი მივიდა და თავის ტახტს დაბრძანდა მის გვერ-  
დით ყარამანი და ქუჩუკი დასხდნენ, მეოთხე ტახტზე ხოსროვშირი, ყა-  
თრანი და როჟან-ბახტი და მეხუთე ტახტზე, შაჰზადი-ფერია დაბრძანდა.  
შარჯვენა მხარეს ფარვან-დევი, მასთან ხოსროვ-ჰინდი, თემურ-ჰინდი და  
ვინც დაჯდომის დირსნი იუენენ, ჯერ მარჯვენა მხარე ბურჯ-ვეზირმა და  
გარდანიქმანმა გაარიგეს და მერე მარცხენა მხარეს შირვან-ვეზირი და მის-  
ნი ამხანაგნი რომელთაც როჟან-ბახტთან მუხანათობის წიგნი დაეწერათ  
ისინი ერთად დასხა, მათ ზირისასე ზაფრანის ფერად შესცვლდით, ამის-  
თვის რომ იმათ ეგონათ მაშინ რომ გადადგომის წიგნი მისწერეს და რე-  
ჰან-აიარს მისცეს წასადებად, ეგონათ რომ როჟან-ბახტს უკვე მიეღო და  
ამიტომ ფიქრობდნენ ვაითუ როჟან-ბახტმა ჩვენი წიგნი უშანგს აჩვენოს და  
ამისთვის სახეზე ვერ ეუუბებინათ. რა ყველანი რიგზე დასხდნენ ასეთი  
მეჯლიში გაიმართა რომ როგორც მეცნიერთ აღუწერიათ ზეცით ანგე-  
ლოზნი უკვრეტდნენ, ასეთი საკრავებისა და ტკბილი ხმები გამოისმოდა  
რომ სამოთხის ხმას ემზგავსებოდა. შუა მეჯლისში რომ შევიდნენ და  
ყველანი განცხრომაში იუენენ, იმ დროს საჰმანი შემოვიდა უშანგბათიღამ  
მოსული, მივიდა უშანგს თაყვანი სცა ტახტის წინ აკოცა და ბურჯ-ვე-  
ზირის დაწერილი წიგნი მიართო და მისი დარკებულად ყოველივე მო-  
ახსენა: წიგნი მაშინვე გახსნეს და წაკითხეს, მერე ბურჯ-ვეზირს გადას-  
ცეს და ხმამაღლად წაკითხვა უბრძანეს.

ბქ ბურჯ-ვეზირისაგან თავის წერილის წაკითხვა ვირომ  
არღვევან-მაჰბას მოწერილი წაკითხა და დიდებულთაგან იმ  
წიგნის ამბის გაგონება.

ბირველად ღვთის სახელი ეწერა, მერე სწერს: „ტყე ღვთისაგან ბე-



დნიერებით შემკობილთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მბრძანებულთ, უფლის ჭკუითა და მეცნიერებით სრულთ, ხელმწიფეების ხელმწიფეთა და სხელთ აღმატებულთ მამათ უმანგ, თუ ჩვენს უფლას მოხსენიებთ და ჩვენს ამბავს, ჩვენის დამბადებლის მადლით და ძალით კარგათ განსაგართ, ამ წელს აღგვიჩნდა მტერი თურქმანელნი, უცრვი მოგვიბრუნენ, ჩვენ უცოდნელები ციხეში გავმაგრდით, ორი თვე გარს გვიდგენენ; ამ ჩვენ ციხეშიაც კი მრავალნი უკუ მიდგენენ, თურმე კარეთ თურქმანს წიგნი მისწერეს ერთს აიარს მისცეს და გაგზავნეს. იმ აიარმა ის წიგნი ჩვენთან მოიტანა და ამ წიგნის მოტანაში საჭმან-ადამიზადმა მოგვასწერა, ისინი უგელანი დავიჭირეთ და საპურობაჲში ჩაგვარეთ. რა მათგან მოიტანა კარეთ გავიდა სრულიად თურქნი ამოგდო და ერთიც ცოცხალი არ გაუშო. ახლა თქვენთან წამოვიდა, ამათი სამართალი თქვენ გადასტერით, რისაც დიხსნი იფუნენ იმ ტანჯვით დაგხორცო, გწერს თქვენი მტერი არღუან-შაჰა“

რა ესე წიგნი წაიკითხა ბურჯ-ვეზირმა, უფელნი ფაღვანნი და დიდბულები განჩისდნენ და ბრდვინვა დაიწყეს, უმანგმა ბრძანა: ბურჯ-ვეზირო, ეგ სამართალი მინებე მარცხენა მხარეს. შირვან-ვეზირს და მათთან მჯდომეებს იმათ სამართალი გადასტრან და მათ სამართლის წერილი დასწერონ ამ მეფლისშვივე; მინდა რომ დროიანად გავგზავნო. მაშინვე შირვან-ვეზირმა და მის ამხანაგთა მირზა იხმეს და იქავ სამართალი გადასტრეს და უგელამ ბეჭდები დასავეს, კარდაწუგეტილი წერილი ბურჯ-ვეზირს მიაერთეს და თვითონ თავიანთ აჯაგს დასდნენ.

აქ შირვან-ვეზირის გრძნებით თავიანთ თავის სამართლის კარდაწუგეტი, თავიანთ ამხანაგებითურთ და ბურჯ-ვეზირისაგან მათი წერილის ხმა მალღივ წაკითხვა და მათ მუხანათების დახრჩობა და სამართალი.

რადესაც შირვან-ვეზირმა თავისი და თავის ამხანაგების კარდაწუგეტილი წერილი ბურჯ-ვეზირს გადასცა, ვეზირმა გამოართვა და ხმა მალღად წაიკითხა, ესე ეწერა:

„ეკანელთა რომელთაც თავიანთ ხელმწიფეს უდალატეს და უნდადათ რომ თავიანთ მკვიდრი ხელმწიფე და მათზედ ამაგდებელი თავის მტრის ხელში ჩაეგდოთ. თუ ხელმწიფემ მაგისთანა ამბავი და მუხანათობა შეამჩნიოს, მისი რისხვა ესე უნდა იყოს. პირველად დაიჭირონ, მათ

«ჩივიე თვალნი დასთხარონ, მეორედ რომლის თითებიცა ეს მუხანათობის წერილი დაუწერიათ, ის თითები ასო-ასოდ დასკრან, ამ წვალებითა სამი დღე შეინახონ, მერე ამ ტანჯვით ძელებზედ ჩამოჭვიდონ და დახონ».

რა ბურჯ-ვეზირმა ესე წაიკითხა, უველას მოეწონა ის სამართალი. მაშინვე ბურჯ-ვეზირმა, შირვან-ვეზირის წერილი, რომელიც რფშან-ბახტთან იყო მიწერილი, ის გამოიტანა გარდანქმანის მისცა და უთხრა ეს ბეჭედი უჩვენე შირვან-ვეზირსა და სხვათა, ეს ბეჭედი თავიანთია თუ არა? მაშინვე გარდანქმანმა მიიტანა ის ბეჭედი და უჩვენა. შირვან-ვეზირმა რომ თავისი წერილი ნახა, პირი ზაფრანასავით გაუფითლდა, აგრეთვე მის ამხანაგებსაც და ზასუხი ველარაფერი გასცეს. რა გარდანქმანმა ის წერილი ისევ ბურჯ-ვეზირს მისცა, უშანგმა მარჯვენა მხარეს უბრძანა: «ქი დიდებულნო! ამ წიგნის ზასუხს უური დაუგდეთ და თქვენვე გადასწავით სამართალი. ახლა შირვან-ვეზირის მიწერილი წერილი წაიკითხა ხმა მადლივ, ესე ეწერა:

«შირველად ჩვენი რაჯაბ დემრთი, მერე თქვენ ამადლებულა და ძლიერა ხელმწიფეო რფშან-ბახტ, ვმადლობ ჩვენ რაჯაბს რომ თქვენ თქვენის მამის რაიაზამის ალაგს დაბრძანდით და მამის თქვენის სისხლს ეძებთ, ჩვენთვისაც დიდი სიხარულია რომ ჰატრონი გამოგვიჩნდი, თუ გვიბრძანებთ, ნარიმანს, სარვიხურამანს, ჭუსნიარას და ბურჯ-ვეზირს ხელე-შეკრულს მოგართმევთ და ციხესაც ადვილად აგადებინებთ და ვიქნებით თქვენი მისამსახურენი, ოთხას ორმოცნი დიდებულნი ჩვენის ლაშქრით რომელიც აქა გვევანან. ეს არის ჩვენი მტკიცე აღთქმა».

რა ესე დაასრულა, შირვან-ვეზირს და მის ამხანაგებს მკვდრის ფერები დაედგათ. მარჯვენა მხრის დიდებულნი სრულიად გაშტორდნენ დასთქვეს, ეს წერილი ნეტა ხელში საიღამ ჩაუვარდათ! მერე ხელმწიფემ ბრძანა: დიდებულნო და მცირებულნო, ამათი სამართალი ასე უნდა გადაიჭრას, რადგანაც ჩვენი ამაგ-დადებულნი არიან, ამათ თავიანთ გადაჭრილ სამართლით უნდა გარდავხდევინოთ, მაგრამ ორი რისხვა გვიჩუქებია და მესამეს ვერ ვაჩუქებთ, ბურჯ-ვეზირმა იცის ახლა მაგათი საქმეო. რა ესე ბრძანეს, ბურჯ-ვეზირმა კარავისაკენ თვალი უყრ, მაშინვე ოთხას ორმოცდევს ორმოცდა ვერცხლის სინები ეჭირათ, თითო სინზე თითო შალი იდო და ოთხასს დევს უველას თითო აბრეშუმის დაკრებილი თოკები ეჭირათ, მიიტანეს და რომელიც შალის დირსნი იუვნენ მათ შალი წინ დაუდეს, რომელიც თოკის დირსნი იუვნენ მათ თითო უელში ჩაუგდეს და კარს გაიუვანეს, მოედანზე რომ მიიუვანეს ნახეს ოთხას ორმოცდა ძელი ადუმართავთ, რა დიდებულთა ესე იხილეს მრავალს ცრემლები გარდმოედინათ,



მაგრამ შუა გერ შემოდინდნენ, ისინი უველანი დადრჩეს და მათი სახსენებელი ქვეყნიდამ აღმოფხვრეს. მათგან რომ მოიცაღეს კვალად ღხინს ხელი მიჭუვეს და დევთაც მრავალი ღხინი უხვეუნეს და საჩუქრითაც ისე ავსეს რომ წადება ეზარებოდათ, დევნიც კი ერთმანერთთან ფიცუღობდნენ მტკიცე მონობას, ურამანისას, ნარამანისას, ქუჩუკისას და მათი ნათესაობისას. თხუთმეტი დღე განუწყვეტლივ ღხინობდნენ, მერე ურამანმა უველა დევთა სარდლები შეჭყარა და ფარვან-დევს უბრძანა: ჩემი ერთგულთა მამა და მეგობარო, დევთა ხელმწიფე! ჭაზარქა-დასტის ტახტი და საბრძანებელი თქვენთვის დამიმტკიცებია და უოველნი დევნი თქვენი მორჩილნი უნდა იყვნენ.

ფარვან-დევმა რომ ესე გაიგონა, ადგა თაყვანი სცა და მოახსენა: სააბურანო, თქვენს წყალობას ნახუვარსაც დიხსს არა ვარ, მაგრამ მე მსურს რომ სიკვდილამდე არ მოვშორდე, მაშინ ურამანმა ბრძანა: საუვარელი ფარვან ბიძისა შენის ძე საჰმანი ჩემ შვილზე ნაკლებ არ მიუვარს და შენც ეგრე, საბოლოთ დმურთია მოწამე და ვიდრე ერანში არ წავალ შენ არ მოგიშორებ, მაგრამ რადგანაც უოველნი დევნი აქ არიან შემოყრილნი ამისთვის გამოვაცხადე უოველთან. ფარვანმა დიდი მადლობა მოახსენა ურამანს. მერე ფარვან-დევი მივიდა უშანგს მუხლს აკოცა. უშანგმაც ერთი დევური ხელმწიფის გვირგვინი მოატანინა და თავს დახურა და ოქროს ქსოვილი დიბით შემოსეს და ჭაზარქა-დასტის ტახტზე დასვეს. რა მიღგან მოიცაღეს ზორაბ-დევს ჭუჩუნუსურას სამყოფი აჩუქა და მათ უფროსად დაადგინა. საჰმან-ადამზადს, აქვალი დევის სამყოფი ქვეყნები სრულიად დაუმტკიცა და უფროსად დაადგინა. ამ რიგათ რაც დევთა სამყოფები იყო სრულიად დევთა სარდლებს გაუყო, უველანიც მივიდნენ და უშანგს და ურამანს კალთას ემთხვივნენ. რა მათი საქმეც გაარიგა, ურამანი ადგა უშანგს თაყვანი სცა და მოახსენა: ზეი შარელო, თუ თქვენი ბრძანებაც იქნება ნარამანის ქალი რუიზანა, რფშან-ბახტის მივცეთ და ისევ თავის ქვეყანას გავვზავნოთ, იქვე ხელმწიფედ დაჯდეს და საჰმანის უბრძანებ რომ არა ხელმწიფეს, არა დევს, ამის ზიანობა არ შეეძლოთ და ესეც გვინებო-ტკვიანი უმარწვილია და კარგად მოუვლის თავის ქვეყნებს. უშანგმაც ნება დართო, მაშინვე რფშან-ბახტი ადგა მივიდა უშანგს კალთას აკოცა და ურამანს და ნარამანს ხელს, ხელმოჭდომით დადგა და მოახსენა: მოწყა-ლილო ხელმწიფეო და სააბურანო, მე მსურს რომ ჩემ სიცოცხლეში თქვენს ჩრდილს არ მოვშორდე და თქვენ გემსახუროთ—ჩემს ერთ მუჟას სისხლს თქვენთვის არ დავზოგავ დღეის შემდეგ, ჩემი სიცოცხლე თქვენგანა მაქვს ნახუქები, თორემ მეც მათთან მკვდარი ვიქნებოდი აქამომდე.

მასინ უკრამანმა უთხრა: როგონ ვიდრე ხელმწიფეს ერანში არ მივიყვანთ იმ უამამდე ერთმანერთს არ დავმორდებით და როდესაც ღვთით მშვიდობით წავალთ, მასინ ერანში რუიზანისა და თქვენს ქორწილს გადვიხდით და შემდეგ უმანგს ვეკლანი დავუთხოვით. რა ესე მოიუბნეს; უკრამანი მივიდა უმანგს თავიანი სცა და მოახსენა: სეი შარიელე ვგონებ დროა წასვლისა დავემზადნეთ, ამოდენა ლაშქარიც ერთ ალაგს დგომით შესწუხდება. ამის კარდა მე მსურს რომ ქუჩუკისა და გულიჯანის ქორწილი თქვენს სატახტო ქალაქში კარდავიხადო და დიშლად დედოფალმა უნდა დალოცოს. ნარიმანი და ჭუსნარაც უნდა წავიყვანო და ამას შემდეგ არღევან-შაჰას საბუიარანიც ქუჩუკი უნდა იყოს და იმას არ მომორდეს საუკუნოდ.

ამ უამად უმანგმა მადლობა გადაუხადა და უბრძანა: შვილო უკრამან თქვენ მაგას ძალიან კარგათა ბრძანებთ; ამას იქით ჩემი ხელმწიფობა თქვენი უნდა იყოს, აქამომდე თუ ხელმწიფე ვყოფილვარ თქვენის ხელმით, აჰა შვილო მე ვიცი ცოცხალი ერანში ძნელად მივაღწევ, ცუდი სიზმარიც ვნახე და ცოტა შეუძლოთაც ვარ, მე ვგონებ რომ მეუო სიცოცხლე, სამას სამოცის წლისა შევსრულდი, სამასი წელიწადია ხელმწიფედ ვირიცხები და ხმაღს ვიქნევ და ახლა დავბერებულვარ დროა რომ ღვთის ნება აღსრულდეს და დროიანად წავიდეთ, ეგები ჩემი საუვარელი შვილი არღევან-შაჰა კვალად ვიხილო და უიმიოდ არ მოკვდეს.

უკრამანმა რომ უმანგისკან ესეთი სიტუეები მოიხმინა, მასინვე ბურჯ-ვეზირს, კარდანქემანს და საჰმან-ადამზადს უბრძანა: თქვენ წადით ახლავ, ათი ტახტი დამზადეთ, ერთი უფრო კარგი იყოს უმანგისთვის და ამ ათი ტახტის კარდა, რამდონიც დევების უფროსნი არიან, იმათთვისაც სხეები მოამზადეთ. როდესაც ნარიმანმა წასვლა შეიტყო, მასინვე ოცი სალარო გახსნა და რაც უმანგს ეკადრებოდა უფუელი ნივთისკან უძღვნა, აგრეთვე უკვლიბანს, ზოსროფშირს და უათრანს თავიანთ შესაფერი, მერე ხოსროფ-ჭინდს, თემურ-ჭინდს და დევების სარდლებსაც მრავალი უბოძა, აგრეთვე შაჰზად-შაჰას, ბარამჯიბილს თავის შესაფერი ძველი მიართვა და ვეკლანი თუ ფალეკანნი თუ სარდალნი საჩუქრებით აავსო.

აქ შაჰზად-შაჰის წასვლა თავის ქვეყანას, ოცი ათასი ფურიებით და დევებით, თავის ქალის გულიჯანის საქორწილოდ მზითვის მოსატანად უმანგბათში.

როდესაც ვეკლანი მზადებაში იყვნენ შაჰზად-შაჰამ მოახსენა უმანგს

და ყარამანს, მე უნდა ორი თვით დამითხოვოთ და ორ თვის უკან გიან-  
ჯებით, მათც ნება დართეს, მაშინვე ყარამანმა რადინასს უბრძანა  
რამ თხუთმეტი ათასი დევის ლაშქრით თან გაჭყოლოდნენ და ფრთხი-  
ლად ევლოდ. შაჰზად-შაჰზადს ხუთი ათასი ფერია თან წაიყვანა, შაჰზად-  
შაჰა და ყამარლუხი, უშანგს, ყარამანს და სხვათა გამოყვანდნენ და მსწრა-  
ფის ფრენით ფერიისტანში მივიდნენ.

რა ბურჯ-გეზირმა, კარდანიქმანმა და საჰმანმა ტახტები მოამზადეს  
მივიდნენ და ყარამანს მოახსენეს: საბუირანო რაც გვიბრძანეთ აღვასრუ-  
ლეთ. ყარამანი უშანგთან მივიდა და ეოველი წასვლის დამზადება მოახ-  
სენა. ყარამანმა შეატყობ რამ უშანგი ძალიან ცუდათ არის, მაშინ უფრო  
დააჩქარა და თავის გუნებაში სთქვა: ეგები ერანში მაინც მივიყვანო მშვი-  
დობით. იქილამ გამობრუნდა და ნარიმანთან მივიდა, ნარიმანიც წინ მიე-  
გება, სასახლეს შევიდნენ და ნადიმად დასდნენ. ყარამანმა უთხრა შვილო  
ნარიმან მე მინდა ყეითარ-დეგს და აფთარ-დეგს ოცდაათი ათასის დევით  
ეს ქაბულის მივებარო და ჩვენ ერანში წავიდეთ, იქ ქურუკისა და რაჰმან-  
ბასტის ქორწილი გადავიხადოთ, ნარიმანმაც მოახსენა: მამავ ნება თქვენი  
აღსრულდეს. რა ესე იუბნეს ათ დღეზე ეოვლის თადარიგი ნახეს მე-  
თერთმეტე დღეს ტახტები მოიღეს, ქეჰევანებით და ზარით მორთეს.  
ერთ ქეჰევანში სარვიზურამანი და ჰუსნიარა შესვეს, მეორე ქეჰევანში გუ-  
ლიჯანი და ნარიმანის ქალი რუიზანა, თორმეტ ქეჰევანში ორმოცდა ათი  
მთვარის მზგავსი მხევალი. რა ესე გააკრიგეს ერთი უცხო იაკუნდით და  
აღმასით მოჭედული ტახტი მოიღეს, ზედ უშანგი დაბრძანდა; ყარამანმა  
ყეითარ-დეგს და აფთარ-დეგს ოც-და-ათი ათასი დევი ჩააბარა და უბრძანა:  
ეს ქაბულისტანი თქვენთვის ჩამიბარებია ვიდრე უკან დავბრუნდებოდეთ.  
რა ესეც გააკრიგა ერთ ტახტზე ყარამანი და ნარიმანი დასდნენ, მეორეზედ  
ქურუკი და რაჰმან-ბასტი, მესამეზედ ეოვლიბანი და ხოსროგური, მეო-  
თხეზედ ყათრანი და ბარამჯიბილი, მეხუთეზედ ხოსროგ-ჭინდი და თე-  
მურ-ჭინდი, მეექვსეზედ ბურჯ-გეზირი და კარდანიქმანი, რადა გააკრი-  
გა ვინც ტახტის დირსნი იყვნენ ტახტებზე დასდნენ, ვინც არა და  
მარტორქებზედ, სპილოებზე და რაშებზე შესდნენ, აგრეთვე ათას ხუ-  
თასნი ქალების მხევალი მორთულ ცხენებზედ შესვეს, აგრეთვე დევისა  
ფერიისა და აღმინის ლაშქარი შეიყარნენ და ერანისაკენ გაემართნენ,  
ყარამანის იარაღის ზანდუკი ერთს დევს აჭვიდეს, შეშფაიბარი საჰმანმა  
დაიჭირა, ქურუკის იარაღის ზანდუკი კოჭლმა დევმა აიკიდა და ამ რიგათ  
გაემართნენ ასე რამ სრულად ჰყარო დაბნელეს და დედამიწას ემიძიე-  
ბოდა. რა ქეჰევანშიაც მივიდოდნენ იმ ქეჰევანში სიძვირე ჩააგდეს. ამ

ყოფით ოცი დღე იარეს და ერთ კარგ მწვანოვან ალაკს ჩამოხტნენ და მოსვენებას მიეცნენ. უშანგმა ურამანს უთხრა: შვილო ურამან ძალიან შევსწუხდი, ახლა კი დამიძახე რომ ყოველნი დავლოცო, რომელსაც კი ჩემთვის ხმალი უქნევია გაჭირვების დღეს და ჩემთვის სისხლი დაუღვრია, მე ვიცი რომ შინ ვერ მივადწევ ცოცხალი და ახლა შენ იცი როგორც ჩემ შვილ არღევან-შაჯახე თვალ-ურ იქონიებ და არავის დაახვარინებ, შენც ჩემა სახელმწიფოს პატრონი იქნები, შენზე უფრო უპრიანია ვიდრე სხვასე. ინდოეთი ქუჩუკისთვის მიმიცია; იმიტომ რომ სხვასე ის უფრო კარგა შეინახავს. შვილო ურამან რათ გავხდი ესე, სრულიად დონე გამომეტყუა ლაზარაკის თავი აღარა მაქვს, მოასხი უველანი ვიდრე ლაზარაკი შემოძლიან ყოველი ვნახო რომ უნახავად არ მოგეგდე, მაშინვე ურამანმა უველანი მიიყვანა უშანგ ხელმწიფესთან და უველამ ტახტის წინ დაიხიქეს.

რა უშანგ-შაჯამ უველანი ტახტ წინ და გარეშამო მუხლებზედ დაჩიქილი იხილა ურამანის შემწეობით წამოჯდა და დაიწყო ლოცვა და ღვთის ღაღადი ესე:

„აჰა უფალო მოვიდა დრო შენის ანახარისა, ადივსო რიცხვი ჩემი დავთრისა, რომელიც უნდა აღსრულდეს ნება შენი. იმიტომ გმადლობ შენცისა და ქვეყნის დამბადებელო უფალო რომ, წუთისოფელში აღძარსრულე გულის წადილი. გმადლობ შენ უფალო რომ პირველადვე დამბადე ბედნიერი. კვლად გმადლობ შენ უფალო რომ ყოველ ხელმწიფეზედ მე უფროსად დამადგინე. გმადლობ შენ გამჩენო რომ ყოველნი გამჩენილნი ფაღვანნი მე შემსახურებოდნენ, გმადლობ შენ გამჩენო რომ ქვეყნის დეფნი, ფერიანი თუ ჯინნი ჩემის ბრძანების ქვეშ დამიმონე. გმადლობ შენ ღმერთო რომ რამდენჯერ ძნელ განსცდელს მომარჩინე“.

ამ ღვთის მადლობაში და ლოცვაში ორი უამი გაატარა: შემდეგ ურამანმა, ხოსროვირმა, ხარამანმა, ქუჩუკმა, ყოვლიბანმა, ყათრანმა, პარამჯიბილმა და სხვათა დიდებულებმა, უშანგს თავყვანა სცეს და ცრემლები გადმოყარეს. გარდანქეშანი მივიდა და უშანგს ხელს აკოცა და მოასუნა: ცუდი ბედნიერო ხელმწიფეო, ეგრე რამ შეგაწუხა? ესე მოხსენდეს თქვენ დიდებულებას რომ შენი შეწუხება მზეეს და მოვარეს დაახნელებს და ქვეყანა დაჭმუნდება. ამ სიტუვასე უშანგმა უთხრა: ძმაო გარდანქეშან შენ რომ გიუურებ, შენგან ურიცხვი სიკეთე მაკონდება და მრავალი ჭირნახსული მოგიძღვის, ვაი რომ ვკვდები და მაგიერი ვერ გარდაგიხადე! გარდანქეშანო, მიიდე ჩემ სახსოვრად ხორასანი საშვილისშვილოთ და დამიბრძოლებია. შემდეგ ურამანს უთხრა: შვილო ეს ყოველი ფაღვანნი და



დიდებულნი თქვენთვის ჩამიბარებია, ამათ ჩემზე უველას დიდი ჭირნასუ-  
ლი აქვსთ, ამათაც უჯილდოფოთ ნუ დასტოვებთ. შემდეგ უველანი დაღო-  
ცა უველას გამოქსაღმა და შენდობას ითხოვდა. მეკე ბურჯ-ვეზირს ერ-  
თი ტუტრადი ქაღალდი მოატანა და უბრძანა: რაც რომ გითხრათ ჩემი  
ანდერძი უნდა დასწეროთ და დაიწყო ესე:

აქ უშანგ-ხელმწიფის ანდერძის დაწერა.

პირველად ღმერთი იუფს შენი შემწე უარამან შვილო, გიფიცხლას  
ქუჩუკ-უარამანი, საითაც წახვიდ-წამოხვიდეთ უფალი იუფს თქვენი შემწე,  
და თქვენი გვარისა, უოველთა ჩემთა ღვაწლ-ღებულ სადღებზე და ფა-  
ღვენებზე, იმის დანარჩენ უოველ ხალხზე. მეორედ გთხოვთ რომ არა-  
დეს არ ინაფლეთ ჩემს უკან, მაინც დიდი ღვაწლი მიგიძღვის ჩემზე და  
ჩემ სახელმწიფოზე, მე იმედი მაქვს რომ წმიდათ და სინიდისით აღას-  
რულებ რაც ამ ანდერძის ქაღალდში ეწერება.

„აჰა შვილო არღევან! გიანდერძებს მამა შენი უშანგი რომელიც სი-  
ცოცხლით არ მადიარსა ღმერთმა შენი ხილვა: პირველად გახსენ ჩემი ოცი  
საღარო და რაც ჩემ საბრძანებელში გლახაკნი და შეწუხებულნი არიან უო-  
ველნი უხვობით დასახუქე. მეორედ რაც ჩვენ საზერობილეებში ტუვენი  
გუყავს, უველა განთავისუფლე. ასე რომ ჩემ საბრძანებელში შეწუხება არა-  
ვის მიაყენო. მესამედ უოველ ჩემ საბრძანებელში ბრძანება და ფარმანი  
გაკგზავნე რომ ათს წელს არა აღმიაწმა ხარჯი არ მოგართოს. მეოთხედ  
საცა დაქტეული ხიდი იუფს სრულიად გააშავე და გააკეთე. მეხუთედ ათი  
საღაროც კვალად გახსენ და ეს ჩემი მოჭირნახულე ფაღვენები დაჯილ-  
დოვე. მეექვსედ ამასა გთხოვ და გუბეწები რომ ხელმწიფეს უოველთვის  
მმართებს მოწყალე და ღვთის მოყვარული იუფს და ჭეშმარიტ სამართ-  
ლიანი, შემტადის მიმტევი და გლახაკის მოყვარე. მეშვიდედ შენ ხომ  
კარგად იცი რომ ბურჯ-ვეზირი უოველთვის ჩვენთვის რეგორი თავდადე-  
ბული უოფილა და ერთგული ემა, ამას დაუმტევიცი ანი და უოველ რჩევას  
ამას ჭკითხვადე. შვილო არღევან! აღმოსავლეთის ქვეყანას, დავით წინას-  
წარ-მეტეული ხელმწიფობს, არამც და არამც მისი საწყენი საქმე შოიქ-  
მედო, თუ მოხდეს და ის თქვენგან მოვიდეს იმას თავიანი ეცი და და-  
მოჩნილდი. ახლა შენ იცი შვილო შენი საქმისა, შენი თავი ჩამიბარებია  
პირველად ღვთისთვის, მეორედ უარამან და ქუჩუკ-უარამანისთვის, მე დარ-  
წმუნებული ვარ რომ რეგორც ჩემთვის თავდაღებულნი უოფილან ისე  
შენთვის იქნებიან და ამათ სიტყვას არადეს არ გადახვიდე, რეგორც გი-

(156. 2. 10) - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შანგ-ხელმწიფის ანდერძის დაწერის შესახებ ინფორმაციას.

56

ბრძანონ ისე აღსრულე. შეიღო არდეკან, აბა შენ იცი როგორც დედა-  
შენს ჰატივისა სცემ და არას აწუენინებ, როგორც აქამომდე ჰატივით უო-  
ფილა ისევე ჰატივით შეინახე. ეს არის შეიღო რომელსაც ველარა გნა-  
ხავ მშვიდობით“.

სწერს სრულის განებით მამა თქვენი უშანგი.  
რა ესე ანდერძი დასწერა ფარვან-დევი მოიხმო და უთხრა: ფარვან-  
შენთანაც ეს არის ჩემი ხვეწნა რომ როგორც ხელმწიფე ვუფილავარ ჩემ  
საფლავზე ერთი ისეთი გუმბეზი უნდა ააგო რომ ფრინველი ვერ მიუღ-  
გეს და ერთი ისეთი ქვაც უნდა იშოვო რომ ქვეყანაზედ არა საფლავზე  
არ იდვას. ამ სიტყვაზე ფარვან-დევი მივიდა უშანგს კალთას აკოცა და  
ტირილით მოახსენა: ჯერ როგორ გაგებდო მაგის ჰასუსის მოხსენება.  
ჯერ თქვენი ბრწუნვლებით ქვეყანა უნდა გაანათლოთ და შემდეგ ღვთის-  
ნება აღსრულდეს. ფარვან-დევი მაშინვე გამოვიდა ყარამანს მოახსენა: სა-  
ახუიჩანო, ოკეანის ზღვის ქვეშ ერთი ქალაქი მაქვს გაკეთებული იქა მაქვს  
ერთი მარმარილოს საფლავის ქვა ადამიანის შეიღის სიგრძე, სამოცდა-  
თორმეტი მწერთა განი აქვს ოთხმოცი სიგრძე, საკვირველი კარგი რამ  
არის ის უნდა მოვიტანო. რა ყარამანმა ესე გაიგო დიდათ დაუმაღლა მა-  
შინვე ფარვან-დევმა კარგი დევების ფაღვანები თან წაიყვანა აღფრინდნენ  
და წავიდნენ.

აქ ესენი ამ მიძავლობაში დაუტეოთ და უშანგისა და სსუბა-  
თა აძბავი მოიხსენიეთ.

რა ფარვან-დევის საფლავის ქვა და გუმბეზი დაავალა უშანგმა, შემდეგ  
ღვთის ღოცვა დაიწყო, ღოცვა რომ გაათავა დაიძახა, შეიღებო და ძმე-  
ბო, მშვიდობით და განუტევა სული კეთილი. რა ყარამანმა, ხოსროვიჩი-  
მა, კარდანქეშანმა, ბურჯ-გეზიჩიმა, უფლიბანმა, ყათრანმა, ქურუკმა, ნა-  
რიმანმა და სხვათა ესე იხილეს დაიწყეს ტირილი. ორ ყამამდინ ტირი-  
ლი ჰქონდათ, ტირილს რომ მოკრინენ, ერთი კუბო მოიღეს სრულიად ჯა-  
ვაჭირით შეამკეს, უშანგის გვამი გააბეს შიგნეული სრულიად გამოიღეს,  
სურნელებით და წამლებით ავსეს და კუბოში მოასვენეს, ჰაზარექ-დასტის  
ტახტზედ კუბო გამართეს, რამდენიმე დევნი მოვიდნენ, ის ტახტი ას-  
წიეს, უველანიც თავთავის ტახტებზედ მკლავიარენი დასხდნენ აიყარნენ  
და უშანგბათისაკენ გაემართნენ, ნელ-ნელა სიარულით ორმოცი დღე ვლეს  
და უშანგბათს მიუახლოვდნენ, ყარამანმა რამდენიმე ცხენოსანნი გაგზავნა  
არდეკან-შაჰს შესატყობინებლად რომ უშანგი მობრძანდება და გამოეგე-  
ბოს და იმ კაცებს უბრძანა, არამც და არამც თქვენი ჰირიდავი სიკვდილი-

სა რამ გამოვიდეს, რა წამსაც შეატყობინოთ იმავე წამს გამობრუნდით და მე შემატყობინეთ. ისინი რომ ჩქარის სიარულით უშანგბათს მივიდნენ, მაშინვე ქალაქში შევიდნენ და ხელმწიფის კარს მიაღებენ, კარის კაცებმა იცნეს და მაშინვე არღევან-შაჰას შეატყობინეს რომ ხელმწიფე უშანგისაგან და ურამანისაგან კაცები გაიხილნენო თქვენ სანახავათაო. მაშინვე იმ კაცების შემოყვანა ბრძანა, ის ორი კაცი შემოიყვანეს, არღევან-შაჰას თაყვანი სცეს და ურამანის დაწერილი წიგნი მიაბრუნეს.

რა არღევან-შაჰამ უშანგის მიბრძანება შეიტყო, მაშინვე ათი ათასის კაცის მომზადება ბრძანა, ესენი რომ ამ მზადებაში იყვნენ, ის ორი კაცი გამობრუნდნენ და ჩქარის სიარულით თავიანთ ლაშქარში მოვიდნენ და ურამანს თაყვანი სცეს და არღევან-შაჰის მიბრძანება აცნობეს. რა ურამანმა არღევან-შაჰას წამოხელა შეიტყო, მაშინვე თავის შეშთაბრძანებს ამხედრდა და რამდენიმე თაღუბებით არღევან-შაჰას მისაკებებლად ორი დღე იარეს და არღევან-შაჰას შემოეყარნენ, არღევან-შაჰამ ურამანი რომ დაინახა მაშინვე მსვეტიდამ ჩამოხტა ურამანიც შეშთაბრძანებამ ჩამოხტა და რა მიუახლოვდნენ ერთმანეთს. გადაეხვივნენ და ერთ უამბდინ ესაღმებოდნენ, მივიდნენ ერთ კარგ მწვანოვან ალაგს გადმოხდნენ კარგები დასცეს და მოსვენებას მიეცნენ. არღევან-შაჰამ ახალი ამბავი ჰკითხა და თავის მამის ამბავი და სხვა ქვეყნებისა. ურამანმა უთხრა არღევან-შაჰავ, რას მარგებს ის ქვეყნები, რომელიც ამდენი ხანია ხმალს ვიქნევი, რამდენი ათასი კაცი მიმიკლავს და მათი ცოდვა კისერზე მადევს და ბოლოს უნდა მეც მოგვადე. რადა იმედი წუთი-სოფლისა? როდესაც სულ აქ დაჩეხა ყველა საუნჯე და ყველა სიკეთე, ერთი ის არის კარგი რომ მე რომ მოგვადე ჩემი შვილი რჩება, ჩემი შვილი რომ კვდება შვილის შვილი რჩება და იმით გრძელდება გვარი, მოლოდ მე იმის ჯავრი მაქვს რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ არავინ დაიხატოს, ვისაც ჭკუა აქვს სიკვდილისთვის არავინ არ უნდა ინადვლოს, არც მამამ შვილისთვის არც შვილმა მამისთვის, ამიტომ რომ ღვთის ბრძანებით არის კაცის სიკვდილი, თუკი თვითონ ბნებებს ჩვენ რა შეგვიძლიან მის წინააღმდეგ, არც ტირილი გუმართებს არც გლოვა, ტირილი ღვთის საწყენი საქმეა. არღევან-შაჰაც დაემოწმა, ის ვერ მიხვდა თუ ურამანი რაზედ ლაზარაკობს. კვლად ჩამოუგდო სიკვდილზე ლაზარაკი და უთხრა: მე მინდა ქვეყნიდამ ხელი ავიღო და ჩემ სულის გზაზე ვიარო, აბა სად არიან ჩვენი წინაპრნი, გნებავს ადამ და ევის თავგადასავალი გაიმბო; დმერთმა ადამ და ევა რომ გაჩინა, სამოთხე მისცა მათთვის არც დღე იყო არც ღამე, არც სიდივე არც სიცხე, როდესაც ღვთის ბრძანება გატყეს, მაშინ დმერთი გაუწერა და ადამის სიკვდილი.



ბრძანა: როდესაც აბელი და კაენი დაეპატიებოდნენ, კაენმა აბელი მოკლა მკვლად-  
რი მოტივს და საფლავში ჩამარხეს, მეორე დღეს ნახეს რომ ისევ დე-  
დამიწის პირად ეგდო, რამდენჯერაც დამარხეს იმდენჯერ საფლავიდან პირ-  
ზე აგდებდა, ამისთვის რომ მაშინ დედამიწა ქალწული იყო, მხოლოდ ჯერ  
აღამი უნდა მომკვლარყოფ და შემდეგ შვილები. ჩემი ლაზარაკი ის არის  
რომ თუ ხელმწიფის შვილი, თუ თავადისა, თუ გლეხისა მამა რომ მო-  
კვლეს შვილი მამაზედ კარგ კაცობას უნდა ეცადოს და თავმდაბლობა მო-  
იხმაროს, არამც თუ თავი ნაღველს მისცეს და დრო ტირილით გატაროს,  
მნახველნი ამას იტყვიან რომ თავის შამის საქმის გარიგების თავი არა  
აქვსო და ამისთვის სტირისო და ჭკლოვობსო. არა მართებს შვილსა რომ  
თუ მეტადრე ხელმწიფის შვილია, მამის სიკვდილისთვის იტიროს და  
ინადგლოს არც უნდა. მარტობისთვის იფიქროს, ჭკუა და მეცნიერება უნ-  
და იხმაროს კაცმა, დიდებულთა, ფალავანთა და მცირებულთა, ტკბილის  
სიტყვებით და საჩუქრებით უნდა აჯილდოებდეს და ისე უნდა მოამადრიე-  
ლოს. როდესაც საზოგადოება ნახავს მის კეთილ ქცევას, სიმშვიდეს და  
წყალობას, იტყვიან მამაზე უკეთესი შვილიაო, მართალია ჩვენი ხელმწი-  
ფე მოკვდაო მაგრამ ღვთის მოწყალებით მისი შემკვიდრე ძე უფრო უკუ-  
თესიაო, ამიტომ სხვა ხელმწიფეებისაგანაც იმასთან მივჯენ და ემსახურე-  
ბიან. ვინც რომ ამპარტავანი იქნება შვილო ის როგორც ეშმაკი ჯოჯო-  
ხეთში და ვინც რომ დამდაბლება ის როგორც ანგელოზი ისე ამაღლ-  
დება სააქასაც და საიქასაც, ღმერთი ამპარტავანი კაცის მტერია, მა-  
შინვე წანდუნს და დამდაბლებს.

არღვევან-შაჭა დიდის უურადლებით ისმენდა უარმანის მოთხრობას,  
შემდეგ მოახსენა: სააბერანო მე მიკვირს მაგდონ რათ ლაზარაკობთ სი-  
კვდილზედ!? რაც იცით მიბრძანეთ, თუ მამაჩემი მიიცივალა მადლობა ღმერთს  
თუ თავის წერით მოკვდა, ნება ღვთისა აღსრულდეს, თუ მტრის ხელშია  
კვმართებს მისთვის ტირილი და გარჯილობა, თუ მტრის ხელში მოკვდა  
ისიც ტირილია, თუ უფლის ბრძანება მოუახლოვდა მადლობა იმის გან-  
კებულებას, ქვეყანაზედ სამასი წელიწადი ხელმწიფობდა, ვინც ცეცხლის  
მლოცავნი იუვენენ იმათ ჭეშმარიტი ღმერთი აწამებინა და თავის საბრძანე-  
ბელში შეწუხებული კაცი აღარ დასტოვა, თვითონ სამართლიანი ხელმწი-  
ფე იყო, მისგან ავი საქმე არ მომხდარა, რა არის რისთვის უნდა ვინა-  
დგლო? თქვენი, ქუჩუკისა და ხარიმანის თავი ცოცხალი მუვანდეს, ჩემ-  
თვის მამაცა ბრძანდებით და ძმაცა, მე რა ნაღველი უნდა მქონდეს, ვიცი  
რომ დრო მოსვლდა და დაბერებულყოფ. საყვარელო მამავ და ძმავ, თუ  
რამ ამბავი იცი ნუ მიმალავ.



რას უკრამანმა მისგან ესეთი სიტყვები მოისმინა, მისი ჭკუა ძლიერ  
შოკდა და როგორც მომხდარიყო უოველივე მოახსენა, უშანგის ანდერ-  
ძის წიგნიც მიართვა.

არდევან-შაჰამ რომ მამის სიკვდილი შეიტყო, ერთი ამოიხსრა და  
რუსებზე ცრემლები გადმოვარდა, მაგრამ მალე მოიწმინდა და სთქვა: მდ-  
ლობა შენ ღმერთო რომ სამასი წლის მისი ხელმწიფობა ინებე და უფ-  
თობის ხელში არ მოკვდა, უოველი ღვთის მსახური ხელმწიფენი თავიანთ  
წერით მომკვდარს და მამახეიცი ისე. ესე თქვა და ლაშქარს მიეკვებენ,  
რას მიანდობდნენ უველანი მოვიდნენ და არდევან-შაჰას თავიანთ სტეს და  
უსამძიმეს. რა არდევან-შაჰამ შეხედა ნახა რომ იმოდენა ლაშქარნი მო-  
დიან რომ თვალი და გონება არ მისწვდებოდა და შუა ლაშქარში ათას  
ხუთასნი მუფთი და მკითხველნი მოლა მოდიან და ერთი ასეთის ხმით კი-  
თხულობენ რომ სამოთხის ხმას ემზგავსებოდა. უველა მკითხველნი დი-  
ბით იუვენენ მორთულნი და თავებზე ას-ას ფეურნიანი შალეები ეხვიათ მათ  
უკან ასი ფერია ისე მორთულიუვენენ რომ ენა ვერ იტყვის—და ერთი ასე-  
თი ტახტი მოჭქინდათ რომ თვალთ არ ენახათ ადამიანის შვილს იმის-  
თანა ტახტი, ზედ ერთი სრულიად ჯავაირთ შეჭედლი კუბო იდგა ოთხ-  
მაცი მწურთა სიგრძე ქქინდა და თხუთმეტი სიგანე, ზედ მარგალიტის  
ზეწარი ეფინა, კუბო რომ დანახა ცრემლები გადმოვარდა და სთქვა გმად-  
ლობა შენ უფალო რომ მკვდარ დროსაც აღმოსავლეთიდან დასავლეთამდინ  
რაც ადამიანნი თუ ფერიანი თუ დევნი თუ ჯინნი ამას მოხობენ და ამ  
მატივით მოჭქეუთ, ესე რომ სთქვა კუბო დაადგმევიანა მივიდა და დაიწ-  
ყო მოთქმით ტირილი:

ქოი, დიდო ხელმწიფეთა ხელმწიფევი მამავ, დღეს მმართებს მწუხარება.  
მმირო ხელმწიფევი, დღეს მაქვს დიდი გლოვა-ტირილი და სიყვარული,  
ჰოი მაღალო ხელმწიფევი, რათ დახუტე შორ-მჭვრეტი მალე თვალები?  
შვილთა იყლიმთა მპყრობელო მამავ, განა გასძენ წუთი-სოფლის ცქერით?  
მთელ ქვეყანაზე მოწყალო და საყვარელო, ნახე პატივი შენი ქვეყნისა.  
შდმრთოების დამხობო, სად არის შენი ბრწყინვალე ხმალი მტერზედ?  
ჰოი! აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მპყრობელო, სად არის ძალი შენი?  
მბადლობო შენ უფალო, რადგან სწორი სამართალი გაქვს ყოველზედ.  
ჰოი უფალო, აღსრულდა ნება შენი უშანგზე, განვლო მისმა დღემ ვით წამი.  
მამავ მაქვს ყოველმხრივ ნუგეში, მაგრამ ბევრ მხრივ ტირილი.  
მე რათ არ შეღირსა, სიკვდილის ემს შენი ტკბილი ხმა და ლოცვანი?..

რას ამ გვარათ მოსთქვამდა, უკრამანი მივიდა არდევან-შაჰას ასწია და  
კუბოს მოაშორა. იქიდან აიყარნენ და უშანგბათისაკენ წამოვიდნენ სამი  
დღე და დამ იარეს. რას მიანდობდნენ უკრამანი და არდევან-შაჰას წინ წა-

5456  
იხილეთ  
ნაბეჭდი  
ნაბეჭდი  
71

ვიდნენ ათიათასის კაციით და ქალაქში შევიდნენ. ხელმწიფის სსსხლეს ჩამოხტნენ. არღევან-შაჰამ ბრძანა დიდებულის ქალების დიღმად დედოფალთან წასვლა, მაშინ არღევან-შაჰა და ურამანი დიღმად დედოფალთან შევიდნენ. დიღმად დედოფალმა რომ ურამანი დაინახა, მაშინვე კარზედ გაშოკება და დელაშვილურად მიესალმა, რაღა გაგაგრძელოთ ღამარაკითა და საქმით, შეატობინეს. როდესაც შეიტყო არღევან-შაჰამ ანდერძის ქადაღდი დიღმადს მიართვა და რაც ტირილის რიგი იყო კარდაინადეს. რატირილს მოჩხნენ უშანგი ერთ უცხო ალაგს დამარხეს, მეორე დღეს თარვან-დევი მფვიდა და იმ თორმეტმა დევმა ერთი ასეთი მარმარილოს ქვა მოიტანეს რომ სწორედ საკეცსა ჰკავდა, ოთხმოცდა ათი მწურთა სიგძე ჰქონდა და ოცო მწურთა განი, თურმე ადამის საფლავის ქვა უოფილიყო, რომელიც ენაქ წინასწარმეტყველის გაკეთებული იყო და ერთს პირზედ რაც ადამს კარდახედოდა მოკლედ ეწერა ენაქ წინასწარმეტყველისაგან.

„ჭეი ღვთის ბრძანებით ქვეყნად ჩამოვარდნილხნა, ჩემის კვარისანო, დიდნო და მცირენო, მე მიუერთ და მომიგონეთ და თქვენც ისე მოიქცეთ, არამც და არამც ამხარტაგნობა მიიღოთ და ეშმაკმა არ კაცდინოთ, როგორც მე, რა ალაგიდამ ჩამომავლო, ეშმაკმა რომ მაცდინა, სამოთხილამ გამომრიცხა ასე რომ სიზმრათაც ვეღარ ვნახე, როდესაც დადამდაგათენება აღარ შეკანა, თურმე უწინ უოფილა დღე და ღამე დაარსებული მაშინ მაცდინა წუგულმა. როდესაც მე ღმერთმა მიწისაგან შემქმნა, ჩემიტანი ნათელი იყო ამისთვის რომ თავისის ხელით შემადგინა მიწიდან თავის სახე დამხატა და თავისი ნათელი სული შთამბერა და ამიტომ შევიქმენ ნათელი როგორათაც მზე, ეს იცოდეთ რომ სხვა მზეა იქ ბნელი არ იქნება, მე მაშინ ვიუფო მზეზე ბრწეინვალე, მაგრამ როდესაც მისი ბრძანება გავტეხე მაშინ გავშავდი და მაშინვე ანგელოზებმა ქვეყნად კადმომაგდეს და მრავალი ჭირი და მწუხარება ვნახე იმ ერთი ბრძანების გატეხისათვის. პირველად სამოთხილამ გამომავლო მეორედ სიკვდილი მიბრძანა, მესამედ ოფლით ჩემითა ჰური. უნდა ვჭამო, მეოთხე ეკალი მიმიჩინა, მეხუთე ჩემი სული ჯოჯოხეთის კერძი გამიხდა, არა თუ ხილის ჭამისთვის, რაც მე გულში გამიარა. ეშმაკმა მომეტყუა და თავის ცხასვად წამიუვანა. კაცის გუნება ღმერთთან ცხადია, იმისთვის მეც გამიწერა. როდესაც ეშმაკი ანგელოზების თავნი იყვნენ, იმათ მოინდომეს ღმერთზე ღმერთობა, მაშინ გაუწერა და იქილამ კადმოყარა და ჯოჯოხეთის მცველად დაადგინა, იმიტომ ცდილობდნენ რომ რადგანაც ადამიანი იმათ აღგიდას განაწესა, ვინც რომ ღვთის ნებას ასრულებს იმას იმ ალაგს მისცემს რომელიც ანგელოზების თავია და ვინც იმათ მაცდურ სიტუებებს აპ-

პან 1877 წლის  
განმარტობის საფუძველი  
თბილისი  
(103-758)

უკვება და მათ ნებას ასრულებს ისიც ჯოჯოხეთის წილია. ასე იცოდეთ შვილებო და ძმანო, მე რომ ისე უუყარდი გამჩენ ღმერთს და ისე მიმიხდა, თქვენ გაბრთხილებთ რომ ეშმაკის მახეს არ გაებათ. მე ხომ ისე მიუო მერე წავიდა ჩემ უფროს შვილს კაენს გულში ჩაუჯდა და თავის ძმა აბელი მოაკვლევინა და იმასაც ხომ ღმერთმა თავის რისხვა მიაყენა. ადამიანს მართებს ჭეშმარიტობა იქონიოს. ესე დარიგება გულში შეინახეთ და სულში დაიმარსეთ და მე შენდობა მიბრძანეთ“.

რა ესე ქვა ნახეს დიდათ მოეწონათ, ვარამანმა ფარვან-დეგს ქება შესახს და უშანგ-ხელმწიფის თავგარდასავალიც მოკლედ მერე მხარეს დასწერეს და უშანგის საფლავზე გამართეს. შემდეგ ფარვან-დეგმა ერთი ასეთი თილისმა გააკეთა უშანგის საფლავზე რომ ფრინველებიც კი ვერ მიუდგებოდნენ. რა ესეც გაარიგა, რაც მეტი ღაშქარი იყო უკვალა თავთავის ქვეყანას გაისტუმრეს და რაც უშანგს ანდერძში ეთქვა უკვალა ადასრულეს. შემდეგ ერთის წლისა, ქუჩუკისა და გულჯიჯანის ქორწილი გადაინადეს, ორმოცამდინ ორივე საფარულნი ერთად შეიყარნენ და თავიანთ საწადელი ადასრულეს. რა მათგან მოიცაღეს ერთი წელიწადიც ერთად იფუნენ და შაჰზად-შაჰას ელოდნენ, მაგრამ ძალიან შეწუსდნენ ამ დროს განმავლობაში. როგორც-ბახტიც თავის საფარულით და თავის ღაშქრით ორმოცა ათასის დევით გაისტუმრეს თავის ქვეყანაში და თვითონ მოსვენებით ნადირობაში და ღვინში იფუნენ.

როდესაც ქაბულის ქვეყანაში უეითარ-დევი და აფთარ-დევი ოცი ათასის დევით დააყენა და ქაბულის ქვეყანა მათ ჩააბარა, ერთ წელმა განვლო ამბავიც მიიღეს რომ უშანგ-ხელმწიფე კარდაცვლიდა, ვარამანიც შეუძლოთ არისო და ქუჩუკიც ინდოეთს წასულაო და აჩავენ არის ერანში ნარიმანის მეტიო—და უოველი ფაღვანნი და ღაშქარნი სრულიად დაფანტულან. უეითარ-დეგმა რომ ესე შეიტყო, აფთარ-დეგს უთხრა: ჭეი აფთარ მე ერთი საქმე მწადიან თუ მომეუკები ხომ კარგი თუ არა და შენც შეგვარე და ზარბაქ-დეგთან წავიყვან და იქ წავალბით მოგვლავ, საწვად აფთარს რა უნდა ექმნა, მისი ბრძოლის დონე არა ჭქონდა და ნება დართო, მაშინვე ოცი ათასის დევით ქაბულისტანი სრულიად აიკლეს, ნარიმანის ხაზინაც სრულიად გაცარძვეს მრავალი დახატეს და ვინც დიდებულების ქალები და ვაყები ნახეს შეკვრეს და ტუვედ წასახეს. მერე შაჰზად-შაჰას გზა შეუკრეს, შაჰზად-შაჰა შემოხვდათ, რაც მას დევნი ახლდნენ უოველნი დაიმორჩილეს და შაჰზად-შაჰა, ვამარჯუნი და მრავალი ფერიის ქალები დაატუვევეს და გულჯიჯანის მშითვეი აიკლეს. იქიდან შაჰზად-შაჰის ქვეყანას მივიდნენ, მრავალი ხალხი დახატეს შაჰზად-შაჰას ხა-

ზინა აიკლეს მრავალი ტუფები მოაგროვეს და იქიდან წამოვიდნენ. რა  
არის რომ ბნელეთის ქვეყანაში წარბაქ-დეფთან ისინი ძღვნად მიეტანათ  
და თითონაც მასთან გამჩენილი ყოფილიყო. ამჟამიშველთაში ნახეს რომ  
ერთ მხრიდან მრავალი დევისა და აღმართ ლაშქარნი მოდიან, შუაში  
ერთი ტახტი მოაქვთ და ზედ ერთი უცნო უმარწვილი კაცი ზის სახელ-  
მწიფო გვირგვინი თავს ეხურა და გვერდით ერთი მნათობი ქალი უზის,  
რომელიც მზესავით ბრწყინვალეა, მაშინვე იცნო რომ როჟმან-ბახტია და-  
ისიც ნარიმანის ქალი რუიზანა. მაშინვე დეკები მივიდნენ და ერთმანეთ-  
ში აიკივნენ, რა როჟმან-ბახტია და რუიზანმა ნახეს გაშტერდნენ. რუი-  
ზანმა თავიანთ ქვეყნის ქალთა დიდებულები ნახა, იცნა და სთქვა: საუფა-  
რელო როჟმან-ბახტ ეს კარგი ნიშანი არ არის, მე ვიცი რომ ჩვენც დაგ-  
ტუფეგდებით, მაგრამ ეს იცოდე რომ ჩემ თავს ცოცხალს არავის დავანე-  
ბებ. ესე სთქვა და ბრძანა ჩემი საომარი იარაღი მომიტანეთო, მაშინვე  
იარაღი მოართვეს და საომრად შეიჭურვა. უეითარ-დევი როჟმან-ბახტის  
დეკებს წინ გადმოუდგა და რა როჟმან-ბახტის დეკებმა ესე ნახეს გაუ-  
კვირდათ, მათი უფროსი ერთი ზოზაბ-დევი იყო და შეეცრეც რადინარა,  
მაგრამ უეითარ-დევის მოზირდაზარე არც ერთი იყვნენ, უეითარმა უთხრა:  
ზოზაბ და რადინარა, მე ეს რჩევა მიასრებია, თუ თქვენც დამიმოწილ-  
დებით ხომ კარგი და თუ არ დამიმოწილდებით, თქვენც შეგკრავთ და  
წარბაქ-დეფთან წავიყვანთ. მათ იფიქრეს-იფიქრეს და დამოწილების ღო-  
ნის მეტი არა იუფრა, დამოწილდნენ. უეითარმა უთხრა ზოზაბ: როჟმან-  
ბახტთან ერთი დევი გავზახენე რომ ისინიც დაგუმოწილდნენ, თუ არა  
იმასაც შეგკრავ და ისე შეკრულს წავიყვანთ, მაშინ რადინარამ უთხრა მე  
წავალო, უეითარ-დევმა უთხრა, წადი და ასე უთხარ, სჯობს ნებით წა-  
ჭევე წარბაქ-დეფთანა თქო, ეგები კიდე იმან მოგცეს შენი ქვეყანა შენვე,  
თუ არა შეკრულს წავიყვანთ თქო წარბაქთან. მაშინვე რადინარა მივიდა  
როჟმან-ბახტთან თავუვანი სცა და მოახსენა: შენ ნუ გეშინიან ნურცა რა  
გეფიქრება, ქვეყანაზე ამისთანა განსაცდელს ბევრს ნახავთ მაგრამ სასაბუ-  
რანი და შენი სიმამრის შვილი ქურუი ქვეყანაზე ცოცხლები არიან, ვიდრე  
ისინი ქვეყნად დაიარებიან ბევრს ამისთანა დარღს ნახვენ, მაგრამ ბო-  
ლოს კეთილია და უველა საქმე კარგა წავიყვანთ, შენ დამოწილდი და მე  
ერთ დამეს გავიზარები სასაბურანს და ქურუეს შევატოვებინებ და მოვიყვან  
იგინი მალე დაგიხსნიან, ესე სთქვა და დაჩუმდა. როჟმან-ბახტმა შიშით  
არ იცოდა თუ რა ექმნა და უთხრა: რადინარ შენ იციო, მაგრამ რუიზა-  
ნამ უთხრა: სწეი რადინარ და ზოზაბ განა თქვენც გვიმუხანათეთ? მე ჩემ  
თავს ცოცხალ არ დავარჩენ და მაგათ ხელში არ ჩავარდები, ესე სთქვა



და ტახტიდამ ჩამოვიდა მარტორქას ამხედრდა თავისი შიში ღასტი აი-  
ლო და როგორ-ბანტს შესძახა თუ ვაჟაკი ხარ შენი თავი გადაარჩინე მე-  
ტოცხალს ვეღარა მნახავ; ესე თქვა და მოედანს გავიდა და უეითარ-ღევს.  
შესძახა! ჭეი უეითარ-ღევო, დაგავიწყდა მამიჩემის ზურმარული და ჩემის  
ძმისაგან სიკვდილიდამ დახსნა და მისი ზურმარული ჰგმე! მეც იმისი და-  
ფარ, დვითთ მეც შემიძლიან კიდევ ის დღე დაგაუენო, რომელიც ხარბი  
ეგდე, ასეთ საქმეს გიზამ რომ ის დღე შენთვის ღხინად სჩანდეს, ესე  
უთხრა და უეითარ-ღევს შეუტია. უეითარ-ღევმა რომ რუიზანის ამ გვარ-  
სიმხნე ნახა, ესე სთქვა: ესეც იმ სისხლის მღვრელის ქუჩუკის სისხლია  
და ყარამანის თესლი, ესეც მათზე ნაკლები არ იქნება და ხერხით უნდა  
დავიჭირო. მაშინვე ხუთას ღევს უბრძანა ეველანი ქამანდებით მომევეით,  
მაშინვე ქამანდები მოიმარჯვებს, უეითარ-ღევი წინ გაუძღვა და ერთიანად  
იერიში მიიტანეს, მანამ ისინი ქამანდებს გადმოაყრიდნენ რუიზანმაც შე-  
უტია, გაჯავრებულმა ავანდაზე შედგა და უეითარ-ღევს ერთი ასეთი ღას-  
ტი დაჭკრა რომ უეითარ-ღევის მკლავებმა ვეღარ გაუძღეს, თავს მოხვდა  
და ჭკუა დაუფანტა—და დახედილი დედამიწაზე დაეცა.

რა აფთარმა, ზორობმა და რადინარამ რუიზანისაგან ესე ნახეს გან-  
კვირვებულნი მაშინვე მისცვივდნენ და უეითარი მაგრად შეჭკრეს. ამ სუ-  
თასმა დევმაც რომ ესე ნახა ვეღარ გაბედეს, ქამანდები ხელებიდან დაუ-  
რქეს მოვიდნენ და რუიზანს მუხლებზე დაჩოქვით თაყვანი სცეს და მად-  
ლის ხმით დაიძახეს: ჭეი დედოფალო გვანუქე ჩვენი დანაშაული, ჩვენ  
უეითარ-ღევმა დაგვიმორჩილა და ძალად მოგვიყვანა აქ. რა გაჯავრებულმა  
რუიზანმა უეითარი გადმოაგდო, ნახა რომ ამ სამთა დევთა უეითარი მა-  
გრად შეეკრათ, თვითონ ხმაღს ხელი გაიკრა და შესძახა! ჭეი თქვენ ზურ-  
მარულის შემობეღონ, ნახეთ თქვენ თავზე რას მოვიყვან, ესე სთქვა და  
დევთა ღაშქარს შეუტია და მრავალი დახატა, რა რადინარამ, აფთარმა და  
ზორობმა დევებმა ნახეს რომ ხოცვისაგან ხელს არ იღებს, მივიდნენ და წინ  
მარტორქის თუქვეშ დაუწინებენ და უთხრეს, დედოფალო შეგვიწყალო და  
შენი გულის ნება აღისრულო და შენი გულის საყვარლის როგორ-ბანტის  
სადღეგრძელოთ გვახატო. რა რუიზანმა მათგან ესე თავდაბლობა ნახა  
ხოცვისაგან ხელი აიღო, აქეთ-იქით მიიხედა ნახა რომ რამდენიმე ჯგუ-  
ფი დევები ეხვევიან, მივიდა ნახა რომ შავხალ-შაჭა და ყამარლუხი შე-  
რუღნი არიან და აგრეთვე ქაბულის ზურმარული შეკრულნი ეყარნენ, რა  
ამ ზურმარულთა ესე ნახეს სთქვეს, თუ ღმერთო ზეცილიდამ ანგელოზი ჩა-  
მოგზავნო, ეს რა სიხარულის ხმაა და ნეტარ რა ამავითა? ეს სააზვი-  
რანობის საქმე ან ვისი შნაოა, ამ თქმაში შემოხედა და შავხალ-შაჭამ იც-

ნა რომ ნარმანის ქალი რუიზანა და როგშან-ბახტია, სთქვა თავის გულ-  
ში ესენი ხომ უშანგს გაჰყუენ და უშანგბათს წაიღონ, ღმერთო აქ სა-  
და ვხედავთო. ამისობაში ნახეს რომ როგშან-ბახტი თავის ადამიანის და-  
ღვივის ლაშქრით მოდის. როგშან-ბახტმა უოველი ჰერობილი განათავის-  
უფლა და ნახა რომ ოც ათას ღვეს სხვა და სხვა ნივთიუელი და სრულიად  
ხაზინა ეკიდათ და რა მათ უეითარის დამარცხება ნახეს, მოიტანეს და  
სრულიად რუიზანს მიაბრუნეს. რა შაჰნალ-შაჰამ და ჰერობილთა ესე ნახეს  
მივიდნენ რუიზანს თავიანი სტეს და გამარჯვება მიულოცეს, მოახსენეს.  
შენი ზირი ისე განათლდეს როგორც შენ ღღეს ჩვენი გულები განათლე  
და ამისთანა ძნელ ჰერობილობიდან, მოგვარჩინე და როგორც თქვენ გვარს  
ეკადრებოდა ისეთი საქმე მოახდინე. რუიზანი მივიდა უამარლუს ხელს  
აკოცა და ერთს უამადე ერთმანერთს ეხვევოდნენ და ღმერთს მადლობას  
სწირავდნენ. მერე შაჰნალ-შაჰას ხელს აკოცა, შებდეგ უველანი მივიდნენ  
და შაჰნალ-შაჰას ტახტზე დასდნენ და მამინვე ზორაბ-ღვემა, აფთარმა  
და რადინარამ, უეითარ-ღვემა მაგრად შეკრული მიიყვანეს და ტახტის წინ  
დააგდეს. უეითარ-ღვემა იგრძნო რომ თავის უკანასკნელი ღღე მოსულიყო.

რა რუიზანმა ნახა რომ უეითარ-ღვემა მიიყვანეს და ტახტის წინ და-  
აგდეს დაუძახა, ჭეი უეითარ, შენ რა გწადდა რომ ამდენი ქაბულისა და  
ფერიისტანის ერთი დახოცე, იქაურობა ააოხრე, ამოღენა ხაზინა და ტუგე-  
ები წამოასხი, სად მიგუვანდა? შენ ხომ ჩვენი მორჩილი იყავ და დივი-  
ბანდისა, სიამქაშისა და თახმურადის გვარისას ისე როგორ გასწვევტდი  
რომ შენი ობტიდამ არ მოსულიყვნენ, იმედი მაქვს ღვთისაგან რომ მე  
უკანასკნელი მათ გვარისაგან დიაცი, ხელამ როგორ მოვედი შენ ობტი-  
დამ, ახლა მე შენ უნდა გაგზავნო ჩემ ძმა ქუჩუკთან, ის გადგინდის  
უველას სამაგიეროს, რაც ჩემთვის და თავის ქაბულისთვის, ფერიისტანის-  
თვის სიკეთე გიქნია. რა უეითარ-ღვემა ესე გაიგო მოახსენა: ჭეი დედო-  
ფალო და კველუტა და ბანოვანთა თავო, მე ხომ ვიცი მამკლავთ და  
ცოცხალს აღარ დამარჩენთ ჩემი სიავგაცობით, მე გვედრები შემეწალო  
და აქავ მომკლა, ის შირჩეენია ვიდრე ამ ჩემი ზირშავი ზირით ქუჩუკის  
სახე ვნახო. რუიზანმა ბრძანა: ჭეი უეითარ შენ ასეთი საქმე მოგიქმედე-  
ბია რომ რაც ზანჩემს ორასი წელიწადია ღვეები დაუმორჩილებია ამისთა-  
ნა საქმე არა ღვეს არ მოუქმედებია და არც გაუბედა, ანუაფუზ ღვემა  
ზანჩემს ხელ-ფეხი მაგრა ჯინჯილებით შეუკრა, ერთმანერთი ერთხელის  
შეტად არ ენახათ მაგრამ რადგანც ერთხელ ერთგულობის ფიცა მიეცა  
ისე შეკრული აჭანგის ტიხეში მიიყვანა ხუთას ადამადის ჰუარში ატარა.  
შენ რომ უოფილიყავ იქიდან გადმოაგდებდი, მაგრამ ის იქაც ერთგულად

ემსახურა. ახლავ მივწერ ზაზახემს, მამახემს და ჩემს ძმას, იმ რიგ წვა-  
ლებით მოგვლან რომ იმისთანა წვალებას სიკვდილი სინატრელი იყოს  
შენთვის, ახლა რაც შენზე გაჯავრებული ვარ ჩემს გულს იმით გაავარი-  
ლებ. რა ესე სთქვა იმ სამ დევს უბრძანა, ეს ესე შეკრული სუთას ალაჯ-  
ზე აიყვანეთ ქუარში და იქიდან გაუშვიო და ვიდრე დაეცემოდეს კვალად  
დაიჭირეთ ჰაერშივე, ისევე აიყვანეთ კვალად გაუშვიო და მაგ გვარად და-  
ტანჯეთ. მაშინვე ბრძანების მორჩილთა რაც ბრძანა აღასრულეს. ევითარ-  
ღევი ისე შესწუხდა რომ სიკვდილს ნატრობდა, მერე სამი მსხვილი ჯინ-  
ჯილი მოატანინა ორი ჯინჯილით ხელები და ფეხები შეუკრეს ერთი  
კისერზე მოაბეს, ზორობ და აფთარ-ღევის ჩაბარა და უბრძანა ეს უნდა  
სააბეიონის მიაერთათ. ერთი წიგნიც მისწერა და როგორც ის დახვედ-  
როდა და რაები ჩაედინა იმის წინააღმდეგ ყოველი ცნობა შეატყობინა, ორ-  
მოცი ათასი დევი თავისთვის დაიმოთა, რადინარც მათხედ უფროსად  
დაადგინა და სხვანი შაჰზად-შაჰს, ყამარლუსს, ქაბულის და ფეკიისტნის  
დიდებულთ გაატანა და დევებს უბრძანა: თქვენ იცით როგორც ყველას  
თავიანთ ქვეყნებში ფრთხილად მიიყვანთ. მერე შაჰზად-შაჰს, ყამარლუსს  
და სხვა დიდებულთა გამკესაღმენ, ისინი უშანგბათისაკენ და სხვანი თა-  
ვიანთ ქვეყნებისაკენ გაისტუმრეს. თვითონ როგოშან-ბასტი და რუიზანაც  
თავიანთ ქვეყანას გაემგზავრენ, იარეს და ინდოეთს მიადწიეს. რა ინ-  
დოელებმა როგოშან-ბასტის მისვლა შეიტყეს ყველანი დიდნი თუ მცირენი  
შეიყარნენ და მოეგებნენ, დიდის სიხარულით ფიანდაზს უშლიდნენ ისე  
პატივით შეიყვანეს. მივიდა და თავის ტახტს დაბრძანდა, ათ დღის უკან  
მეჯლისი გამართა და დიდი ღვინი გარდაიხდა. მერე ყოველ დიდებულთა  
და ლაშქართა უბრძანა: ამას იქით ყოვლის უფიქრლათ და უჯავრლათ  
იცხოვრეთ და ხმალი ქარქაში მიაქციეთ, ამისთვის რომ სააბეიონი  
მოუვრად ვიშოვნე, ნარიმანი სიმამრად და ქურუკ-ყარამანი სიმამრის შვი-  
ლად. და მტრისაგან ნუღარ იშიშვით, რა ინდოელებმა ესე შეიტყეს დიდს  
მხიარულებას მიეცნენ და მუდამ ღვინში და ნადიმებაში იმოფებოდნენ.

აქ ესენი ამ ღვინში დაუტეოთ და ქაბულის მწუხარების  
ამბავი მოიხსენიეთ, როდესაც ყარაქანმა შეიტყო ევითარ-  
ღევის მუხანმთობა და ღალატი.

**რ**ოდესაც ევითარ-ღევი ქაბულისტნის ქვეყანას უკუ უღვა და აიკლო,  
იმ დროს ოცი დევი ევითარ-ღევის გამკესარენ უშანგბათს მივიდნენ და  
ყარამანს შეატყობინეს რომ ქაბულიდან ოცი დევი მოსულან და თქვენ-

ნახვას სურთო. მაშინვე შემოვიყვანა ბრძანა და მსწრაფად შემოვიყვანეს, დევიები შევიდნენ ნახეს რომ სააბუიარანი, ნარმანი, ქუჩუკი, ხოსროფიერი, უფლიბანი, უათრანი, ბარამჯიბილი, კარდნქეშანი, ასიმი და მრავალი სხვა დიდებულნი და ფაღვანნი იხსდნენ და მუჯლიში ჰქონდათ, მივიდნენ თაყვანი სცეს და ქუდები დედამიწაზე დაამარცხეს, ერთობრივ დაიძახეს, სააბუიარანო და ქაბულის ხელმწიფე! ქაბულისტანი გააფხრეს თუ არ მიუშველებით. ამ მოამბეებზე უფველნი გაფხრდნენ და ნარმანს თაფზარი დაეცა, სააბუიარანმა ჰკითხა: რა დავმართვით ან რა ამბავი იცით სწორედ მოთხარით;—მათ მოახსენეს, სააბუიარანო თქვენ რომ აქეთ წამობრძანდით, უეითარ-დევი ხომ იქ დასტოვებთ და ქაბულისტანი იმას ჩაბარებთ, ექვსითვე კარგად უუერებდა, ექვსი თვე რომ შესრულდა, უმანგის სიკვდილი რომ შეიტყო, ქაბულისტანი სულ ააფხრა, დიდრონი კაცები დაიჭირა და თქვენი ხაზინა აიკლო და მრავალიც დახრცა. იქილამ შაჰხალ-შაჰს ქვეუნიის ასაკლებად წავიდა და შემდეგ როფშან-ბახტის ქვეუნიის ასაკლებად უნდა წავიდეს და იქილამაც უნდა უფველი ხაზინები და ხალხი, ბნელეთის ქვეუნიანში ზარბაქ-დევის უნდა მიუტანოს და თვითონაც იქ იცხოროს.

რა ესე დასრულეს ნახეს რომ ჰყერიდამ ოცი ფერია საჩქაროდ მოდიან, უარმანთან მოვიდნენ თაყვანი სცეს და ამთაც უეითარ-დევისაგან შესჩივლეს და შაჰხალი-ფერიისა და უამარლუხის დატუვეკება, მათ ხაზინის აკლება და მრავალი ფერიის დახრცვა და დატუვეკება მოახსენეს. ბარამჯიბილმა რომ ესე შეიტყო, მაშინვე ცრემლები გადმოყარა და დაიწყო ტირილი, სააბუიარანმა უთხრა: ბარამ რა გატირებ, ეს ხომ ზირველი არ არის მათი დატუვეკება, ღვთის მადლით განთავისუფლდებიან. ესეთი ამბავი ნარმანმა რომ შეიტყო, ისე განრისხდა რომ მაშინვე წასვლა დაამბოკა მაგრამ ქუჩუკმა მოახსენა: მამავ ნუ ჯავრობ, ის ნადირი მე წამსვლია მე თვითონ უნდა ვეძებო, ასე იცოდეთ რომ ვიდრე არ ჩავიგდებ ხელში ძილი არ მომივა და არც მოვისვენებ. მაგრამ ზამჯან ფარვან-დევი დაიბარე ვკითხეთ ის ზარბაქ-დევი ვინ არის ან სად იმყოფება? შევიტოვოთ იმას კარგად ეცოდინება. მაშინვე ფარვან-დევი დაიბარეს, ფარვანი მოვიდა და თავის ალაგს დაჯდა, უარმანმა ჰკითხა: ფარვან ნახე უეითარ-დევის რა უქმნია? რაც დევებმა და ფერიებმა ამბავი მოუტანეს უფველივე უამბო, რა ფარვანმა ესე შეიტყო ძალიან შესწუხდა და მოახსენა: სააბუიარანო მე უწინვე ვიცოდი იმის ამბავი გული, მაგრამ ქუჩუკის საწუენად აღარ ვსთქვირა, იცით ის ზარბაქ-დევი ერთი წყეული რამ არის, ჰაზარქ-დასტის ძმისწულია, ჰაზარქ-დასტს მაგისაგან ეშინოდა და ერთმანერთის მტერნი იყვნენ, ის ბნელეთის ქვეუნიანში სცხორებდა და ის



მთელი ქვეყანა და ჯინისტანი სულ მას მსახურებენ, ორას ორმოცი მწერ-  
თა სიმაღლე აქვს და თვითონაც ჯადოს მცოდნია, ზღვის ნიანგის მეტს  
არასა სჭამს და ძლიერი და ამაჟღა, ასე ვგონებ რომ ქვეყანაზე იმისთანა  
ძლიერი დევი არ დაბადებულეოს, სააბუირანო, თუ იმ წუთულ უეითარ-  
დევს ვერ მივასწართ და ქვეყანაზე ვერ დავიჭირეთ, შერე ძრიელ ძნე-  
ლია თუ იმასთან მიაღწია.

რა უარამანმა ესე შეიტყო, უბრძანა: ტყე ფარვან-დეგო! მას თქვენ  
ჭაზარექ-დასტის ალაკს რომ ჯდებოდით იმისგან შიში გექნებოდათ? ახ-  
ლა ეგეც კარგია რომ გამოცხადებულეი გვაქვს, როგორც იუოს ეგეც ხელ-  
ში უნდა ვიგდოთ, თორემ ეგეც ერთი ეკალი ადგვიჩნდა, მაგრამ ვიდრე  
იქ წასვლამდე, ვაი თუ იმათ აწუინონ რამე, სჯობს რომ დროიანად წავი-  
დეთ, ეგები დმერთმა ხელი მოგვიშინოთ და იმას აუტეხოთ რამე. ესე  
სთქვა და დაიშინა.

რა ქუჩუკმა ესე გაიგო ადგა მივიდა სააბუირანს ხელს აკოცა და მო-  
ახსენა: სააბუირანო და სახელით ამაღლებულეო! დევთა, ჯინთა, ჯადოთა  
და ქაჯთა ამაღწევეტო! ისმინე ვედრება ჩემი და ამისრულე თხოვნა, თუ  
არ მომისმენ ეს იცოდე ჩემ თავს შენ წინ მოვიკლავ. რა ქუჩუკისგან ესე  
გაიგონა უარამანმა ბრძანა: საუფარელე ქუჩუკ! რა არის შეილე შენი წა-  
დილი, მითხარ და ავისრულეო? ქუჩუკმა თავიანი სცა მუხლს აკოცა და მო-  
ახსენა: ზაზაჩემო ქვეყანაზედ მრავალი ჭირი გინახავს და ომი, თქვენ ახ-  
ლა გამართებთ მოსვენება, თქვენს ქვეყანას უზატრონეთ და ცოტაც თქვენი  
სულის გზას შეუდგით და ამ ბნელეთისა და ზარბაქ-დევის საქმე მე და-  
მანებე, დმერთს თუ ჩემთვის სიკვდილი უნდა უთუთავდ რომ ჩამსოთ იქაც  
ვი მოვკვდები და თუ შუბლის წერა არ არის, ათათასი იმისთანანი რომ იუვ-  
ნენ მით არ მეშინიან, თუ არ გამიშვებთ უთუოდ ჯაჯრით თავს მოვიკლავ.  
რა უარამანმა ესე გაიგონა შეწუხდა ძლიერ ამისთვის რომ ჯადოსგან ძლი-  
ერ ეშინოდა, მაგრამ მეტი დონე ალაკა ჭქონდა და უთხრა: შეილე ქუ-  
ჩუკ რადგანაც არ იშლი ვინც გითხრა თან ის წაიუვანე და თქვენი თადა-  
რიგი ნახეთ რომ ამ ოც დღის უკან წახვიდეთ. რა ესენი თადარიგში იუვ-  
ნენ, უარამანმა უოფლობანს და ხოსროვშირს უთხრა: თქვენ წადანდით  
თქვენის ლაშქრით თქვენს ქვეყნებს მიუზატრონეთ და მოუარეთ, ჩვენც ქა-  
ბულს წავაღთ და მეც იქილამ ინდოეთს მეშურება, ჩემი სიმაძრი გადაცუ-  
ის დევი მოუხდა და შეიღდისანი მოუმარჯვია, დაუჩქარა და ისარი შესტოვრცნა, მარჯვენა თვალში მახვედრა და თვალი გამოსთხარა, მაშინ მხეტი უფრო გამწარდა და ერთი კიდევ ძალზე გაიწია, ისე რომ დედამიწას ნგრევა დაუწყო და ზღვაში შესვლას ღამობდა, ქუჩუკმა კვლად ისარი ჰკრა და მეორე თვალზე დაუბრძოვა, ამასვე მხეტი ისე გაიწია რომ ხეები სულ ძირითურთ დაგლიჯა და ზოგი სპილეთები ჰინიდავამ გაშოყარა, შეკრულადამ თუმცა განთავისუფლდა მაგრამ არც ცოცხალი იყო არც თუ მკვლარი, უსინათლო საით წავიდოდა გასტერებული დაღა, იმ დროს ქუჩუკი მიუხტა და მეორე მკლავსაც სცა თილიუამუამი და ისიც მოაგდებინა, მხეტი ბრმა და უხელებო დარჩა, შიგნიდანაც გულმუცელს უკუწავდნენ ჩაულახილი შუბსანჯლები და საშინლად დრიალებდა ისე რომ ას აღაჯზე მიდიოდა იმის დრიალის ხმა, ძალ-ღონე ისე გამოეღია რომ ზღვაში შესვლის დონე აღარა ჰქონდა, მაშინ ქუჩუკმა სახელი ღვთისა ახსენა და მიუხტა, ბედნიერი თილიუამუამი რამდენჯერმე სცა კისერში და მთის ოდენი თავი ძლივს გააგდებინა. ამასვე უფლები გასტერებულნი ჯინთა ხელმწიფენი უეურებდნენ და ჰკვირობდნენ, ერთმანერთს ეუბნებოდნენ ნეტარ ეს ვინ უნდა იუოსო? ჩვენ ამისთანა ძლიერი დევი არადეს არ გვინახავსო და არცა გვსმენიაო, ამან რომ მიინდომოს ზარბაქ-დევისაცა სძლევს ადვილად. როგუმან-ბახტი და რუიზანიც ჰქაერში აეუვანათ ჯინებს და ისინიც იქილამ უეურებდნენ და იმ დევის საქმეს ჰკვირობდნენ და სრულიად ქუჩუკის მოქმედებას ამზგავსებდნენ, მაგრამ ის სწყაღნი ცოლქმარნი ერთმანერთთან კი არ იევენენ რომ ელახანანათ. მაშინ რუიზანმა თავის მხლებელთა და დიდებულის ქალებს ჰკითხა: ნეტარ ეს რა დევია რომ ამისთანა ძალა და ფაღვენობა გამოიჩინა!? მე დევთაგან ამისთანა ძალგვანი არ მინახავს და არცა თუ მსმენია, ნეტარ რომელ მხრილამ არის მოსული?

მაშინ ჯინებმა მოასსენეს: ზეი კეკლურთა დედოფალი ეს ზარბაქ-დევის გამოგზავნილი სარდალია და სახელად საფარ-დევი ეწოდება, ეს ამიტომ მოსულა რომ თქვენ და როგუმან-ბახტი უნდა წავიუვანოთ. მერე მოასსენეს, ზეი დედოფალთა მნათობო, იმ საქმეს ეცადე რომ თქვენი წაუვანა ვერ გაბედოს.

რუიზანმა რომ ესე გაიგონა დიდს მწუხარებას მიეცა, მაგრამ რა უნდა ექმნა, რომელნიც ერთ უღაბურ ზღვის კუნძულში იევენენ. აგრეთვე როგუმან-ბახტიცა გაიგო რომ ის დევი ზარბაქ-დევის სარდალია და მათ წასუვანად უფრო მოსულა, რომელსაც სარანდობის კუნძულის კიდებში ქუჩუკი მკვლარი უნახავს და რაც ამისწინარალები აქვს და ახმარებს უგელა

ქუჩუკისა. ამით უფრო დაიჭერეს. რომ კოჭლი-დევი იმ კუნძულში დაუ-  
ჭკრია ქუჩუკისთვის მტირალი, ამ საფარ-დევს და ზერობილად მოიუყანა.  
რას ამისთანა ამბავი ისმინა როგონ-ბახტმა და თავის თავლითაც იხილა  
ქუჩუკის იარაღი. მაშინ თავლათგან ცრემლები გადმოჰყარა და დიდ შწუ-  
ხარებაში ჩავარდა, რომელსაც ქუჩუკის იმედი სრულიად გადაუწედა ამის-  
თვის ენება რომ თავისი თავი მოკვლას მაგრამ ვერ მოახერხა.

იმ უამად ჭყერიდამ მჭერეტელნი ქუჩუკისა, ჯინთა ხელმწიფეებმა ბაჭ-  
მან-ხანმა, ქირმან-ხანმა და ზურან-ხანმა რა ესე საქმე იხილეს, ჭყერიდამ  
ძიარს ჩამოვიდნენ თავიანთ დიდებულებით მივიდნენ და ქუჩუკს თავყანი  
სცეს, უცნო თავაზით გამარჯვება მიუღობცეს, მრავალი ჯავაჭირი და მარ-  
გალიტი თავს გადაუარეს და დიკრეულის საუბრით თავის კარავს მიიყუ-  
ნეს, რა ხელმწიფენი დაბრუნდნენ თავიანთ კარავს, მაშინვე მეჯლიში გა-  
ჰმართეს და საფარ-დევი (ქუჩუკი), მოიწვიეს და დიდი ღვინი გადაიხადეს.

შემდეგ ქუჩუკმა უბრძანა: ცეი უმაღლესნო ხელმწიფენო! ჩემი თხოვ-  
ნა ეს არის თქვენთან რომ ამ ათ დღეს მზადება იწყოთ და უნდა წავი-  
დეთ აქედამ მადრიბსტანში გავიდეთ და იქ როგორც სჯობდეს ისე შევა-  
ხრულთ საქმე, მერე რომელია როგონ-ბახტი და რუიზანი იგინიც უნდა  
მიჩვენოთ, ვნახო თუ რა ხნისანი არიან, თუ დიკრად ვნახავ მაშინ გაუგ-  
ზავნი ზარბაქ-დევს თუ არა და თქვენთან დავტოვებ. ამასე ხელმწიფეებ-  
მა მიუბრუნეს, სარდალთ სარდალო, ვითარცა თქვენი ნება და ბრძანება იყოს  
ისე აღვასრულებთ. რა ესეთი ბრძანება ისმინეს ქუჩუკისაგან შემდეგ უა-  
ვკლნი თავ-თავის კარავს წავიდნენ მოსასვენებლად. ქუჩუკს წინათვე კოჭლი-  
დევისთვის დაერიკებინა და რა ისინი მეჯლისში ისხდნენ კოჭლი-დევი იქ  
შეკრული ეგდო და დაუბრა: ცეი დევთა სარდალო საფარ! შემიწვალე და  
ზერობილობილად გამანთავისუფლე და ვიდრე ცოცხალი ვიქნები ერთგუ-  
ლად გემსახურები და ჩემ თავს გადავდებ შენთვის უოველ გაჭირვებაში.  
მაშინ ჯინთა-ხელმწიფენიც შუა შემოვიდნენ და საფარ-დევს (ქუჩუკს), სიხო-  
ვკის კოჭლის განთავისუფლება, ააშვებინეს კოჭლი მოიუყანეს და ქუჩუკის  
ხელს აკონინეს, მაშინ ქუჩუკმა უბრძანა: ცეი შენ კოჭლი-დევო, ახლავ  
წადი რომელიც მე მოვკალი ზღვის კაცი იმას ერთი კბილი ამოართვი,  
რომელიც უფრო მოდიდო იყოს და აქ მოიტანე ნიშნად. და ამ ათ დღეს  
რომელიც ინდოელი ტყვენი არიან იმის ხორციით უნდა იკვებებოდნენ, ის  
ზღვის კაცი ძლიერ სუქანი იყო და ტკბილი ხორცი ექნება.

რა მეორე დღე გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავისი  
პრწინვალე სხივები ქვეყანას მოჭთვისა, მაშინვე ხელმწიფეებმა თავიანთ  
ჯინებს უბრძანეს, თქვენ წადით მალე და რუიზანსა და როგონ-ბახტს

უთხარით იღუმაღ, თუ თავისა თქვენი სიკეთე გინდათ, ზირისასე წაიხ-  
დინეთ შავათ, ამიტომ რომ ამ დევმა თქვენი მშვენიერი სახე არ იხილას  
რომელსაც თქვენი ნახვა უნდა, ეგრე რომ გიხილათ თქვენ სიმშვენიერეს  
მოიწონებს და ზარბაქ-დეგთან წაგიუვანთ და იმ უმოწყალო ვეშის ხელ-  
ში ჩავარდებით და მაშინ ძნელიდა იქნება თქვენი იმისაგან განთავისუფ-  
ლება და ჩვენთვისაც ცოდვას რომ თქვენი სთანა ქვეუნიერი მთავარე და მზე  
იმისთანა დევის ხელში ჩაგაკლათ. ჯინნი მაშინვე წავიდნენ და ესეთი შე-  
თვლილობა რუიზანს და როგონ-ბასტს გამოუცხადეს, უთმცა მწუხარებას  
მიეცნენ მაგრამ მეტი რა ღონე ჰქონდათ, მაშინვე სახენი შავით შეიც-  
ვალეს, როდესაც მათ ზირისასე შეიცვალეს მაშინ ხელმწიფეებმა დაიბარეს  
ისინი და ხელმწიფის კარავში მოიყვანეს. რა ბაჰმან-ხანმა რუიზანი დაი-  
ხანა მისი ტროფალი განუცხადდა, რადგანაც ორი წელიწადი იმის სახე  
არ ენახა, თავის გულში ღმერთს მადლობა შესწირა. ესენი მივიდნენ და  
ხელმწიფეებს თავიანი სტეს, მერე ორნივე მიიყვანეს და ერთ ალაგს და-  
სსდომა უბრძანეს, შემდეგ დევი გაგზავნეს და საფარ-დევი უცხო ზატივით  
დაიბარეს, ქუჩუკი თავის კოჭლი-დევით და ათასის ჯინით წამოვიდა: რა  
ხელმწიფეებმა მისი მოსვლა სტეს მაშინვე კარს მიეკვებნენ და უცხოს ზა-  
ტივით კარავს შეიწვიეს. რა როგონ-ბასტმა და რუიზანმა ქუჩუკს შესე-  
დეს არა მტირედ შეიბნდნენ, როდესაც რუიზანმა იმ საფარ-დევის იარაღი  
გაშინჯა იცნო რომ სრულიად ქუჩუკისა იყო, რუიზანმა მეტი ვეღარ მო-  
ითმინა და წინ წარმოსდგა და ზატივით ჰკითხა: ჭეი სახელფანო დევთა  
სარდალო, კითხვა სირცხვილი არ იყო, ეგ იარაღი ვინ მოგცა, ან სად  
გიშოვნია? მაშინ დევმა უხასუხა: ჭეი ქალო, თუ სწორედ გინდა გაიგო,  
ეს იარაღი შენი ძმის ქუჩუკისა, სარანდიბის კუნძულის კიდეში მოგვალ  
და ეს იმის აბჯარი მე დავინახე. რა რუიზანმა გაიგო ქუჩუკის თავის  
ძმის სიკვდილი, მოთმინებდამ გამოვიდა და მადლის ხმით მოჰყვა ტი-  
რილს, ისე რომ ხელმწიფეთა არა მტირედ შეებრალათ და ქუჩუკსაც ცრემ-  
ლები მოუვიდა თვალებში მაგრამ კიდევე თავი არ იჩინა და უთხრა: ჭეი  
დაიცო! ნუ სტირი თორემ ვგონებ შენც ქუჩუკთან გაგზავნო და მერე  
მთლად შენი გვარი ამოვადლო ქვეუნიდამ, ჯერ შენი თავი გაქვს სატი-  
რელი იმის ნუღარ იგონებ, მეც კი არ მინდოდა იმისთანა ფაღვენის სი-  
კვდილი მაგრამ უეცრად მომივიდა. რადგანაც რომ ჰაზარუქ-დასტის ომ-  
ში უარამანის ვაჟაცობა და ფაღვენობა მინახეს, იმის ხათრისთვის ზარ-  
ბაქ-დეგთან თქვენ აღარ წაგიუვანთ, რომელიც ჩვენ ამ ათ დღეს დავეფთო  
მხოლოდ აქ, ამ ათ დღეს ჩემ კარავის სიხლადვეს დაადგმევინეთ თქვენი  
კარავიც და ცოლ-ქმარმა გაინარეთ, ნუღარ ინაღვლებთ ვიდრე ცოცხალნი

ხართ, სიკვდილის მეტი ვერაფერს გაგურით. რა რუიზანმა და რეჟმან-ბახტ-  
მა იმისაგან ამისთანა სანუგეშო სიტუაციები გაიგონეს, არა მცირე სიხარულს  
მიეცნენ და დიდად გაიკვირვეს. რა ბაჭმან-ხანმა ესე გაიგონა თავს. ზარი-  
დაცა მაგრამ რა უნდა ექმნა, მისი შინა და გმირობა რომ ნახა ამასედა  
დახუმდა, ამისთვის რომ რამე ეთქვა და გასწერომოდა, საფარ-დევი სულ  
უგულას ამოსწუგებდა. მერე ქუჩუკმა მათ უთხრა: სკი ხელმწიფიფენო! წყა-  
ლობას ვითხოვ თქვენგან რომ ამ ერთა სწულთა ცოლ-ქმართა მრავალი  
ჭირი უნახავთ, ამიტომაც ამათ ნება უბოძეთ ვიდრე მე თქვენთან ვიმ-  
უოფები ესენი ერთმანერთთან იყვნენ და როცა მე ბნელეთში წავალ მერე  
თქვენი ნება აღსრულდეს, მათაც ნება დართვეს. რუიზანსა და რეჟმან-  
ბახტს ამ სიტუაციებით ცოტა ნუგეში მიეცათ და მადრიბში წასვლას ისი-  
ნიც ჩქარობდნენ. რა ესე მოიუბნეს მეჯლიში გამართეს და სადამოდის  
უცხო ღვინი გარდაიხადეს, სადამო რომ შეიქმნა, მეჯლიში მოიშალა და  
უგულანი თავთავისად კარავში წავიდნენ. ჯინებს რეჟმან-ბახტისა და რუი-  
ზანის კარავიც ქუჩუკის კარავის ახლოს დაედგათ, ცოლ-ქმარნიც იქ წავიდ-  
ნენ და რა ამ ერთა ერთმანერთი ხალვათათ იხილეს დმერთს დიდი მა-  
დლობა შესწირეს და იტყოდნენ, თუმცა მწუნარებაში ვართ მაგრამ რად-  
გან საფარ-დევი ესე შეგვიბრალა ერთი რამ საქმე უნდა იყოს. კვალად  
მოაკონდა რუიზანს თავისი ძმა ქუჩუკი და ტირილს მოჰყა და რეჟმან-  
ბახტი გულს უკეთებდა და ეუბნებოდა, საყვარელო და თვალთა ჩემთა ნა-  
თელო, გულს ნუ იწუხებ მე ღვთისაგან იმედი მაქვს რომ ქუჩუკი ცოც-  
ხალი იყოს, მე ისე ვგძნობ რომ ეს საფარ-დევი ქუჩუკის გამოკზანნი-  
ლი უნდა იყოს ჩვენ დასახსნელად, და მაგასა ქსურს მადრიბის ქვეყნამდე  
გაიტყუოს და მერე იქ დახვდეს თვითონ და საქმე დაუსრულოს, სუგულ-  
და ღვთის საქმეა, მე ამას არაოდეს არ განვიძრახავდი თუ მე და შენ  
ერთმანერთი კვალად გვენახა და ამ დღეს ვედიკსებოდით, მაგრამ მრავალ  
მოწყალე დმერთმა მოიღო თავის მოწყალეობა ჩვენზე და ვინილეთ  
ერთმანერთი, მე უოგულთვის იმედი მქონდა ჩვენგანთ შეუვარებელი ღვთი-  
საგან. ამისთანა ნუგეშებს უღებდა, რა ესენი ამ საუბარს იყვნენ, ქუჩუკს  
თავის კარავში რუიზანის ტირილის ხმა შესმა, ქუჩუკს გული დაეწვა და  
ვედარ მოითმინა, კოჭლ-დევის უბრძანა: ახლავ წადი და იმ ერთა რუი-  
ზანს და რეჟმან-ბახტს თავიანი ეცი და მოახსენე: რადგანაც ჩვენ კარავ-  
თან ახლო ხართ, საფარ-დევი ამდამ თქვენი სტუმარია და უნდა მხია-  
რულად დაუხვდეთ თქო და თუ ჩემი ამბავი რამ გკითხონ არაფერი უთხრა.  
რა კოჭლმა მათუხ-დევი ქუჩუკის ბრძანება მოისმინა, მასწინვე კარავი-  
დავამ კავიდა ჩლახუნით მათთან შევიდა ორივეს მართებულად თავიანი.



სცა. რა მათ კოჭლი-დევი იხილეს, ორნივე წინ მიეკებნენ და უთხრეს: ჭეი მათუზ-დევი, მშვიდობა შენი ნახვა და კეთილი იყოს შენი აქ მობრძანება, რუიზანმა უთხრა: მათუზ-დევი, შენ ხომ ჩემი ძმის ერთგული მონა იყავ, მაუწყე თუ ჩემი ძმისა რამ მართალი იცი, ან მამკალ და ან მაცოცხლე, თუ რომ მოიგონებ კვლად იმის ერთგულ სამსახურს; რამელიც მე უბედური ტყვეთ ვარ და იმის ამბვის მომლოდინე ყოველ უამს ცხარე ცრემლის მეტყვეველი ვზივარ. ამის ჰასუხად კოჭლი-დევი უთხრა: ჭეი მნათობო მაგ საუბრისთვის ჯერ არა მცალიან, მე ახლა უნდა ჩემი უფროსის ბრძანება მოგახსენოთ მხოლოდ, ზარბაქ-დევის სარდალს საფარ-დევის ნებავე ამალამ თქვენს კარავში მეჯლისის კარდახდა და ღვინით დროს გატარება და ამალამ ყოველ ამბავს და ჰასუხს სცნობთ. საფარ-დევი მა ესე ბრძანა რომ ამალამ ჩვენ ერთად უნდა შევიყარნეთო თქვენს კარავსა და მნებავე რომ თქვენი ამბავი და საჩივარი ყველა შევიტოვო და რაცა გსურდეთ იგი ავისრულეთო, მე ასე მომიხსენებია თქვენთვის და ნება თქვენი აღსრულდეს, შუადამე შეიქმნება თუ არა იგი გიანჯებათ. რა ესე მოახსენა თაუვანი სცა და წამოვიდა. რადესაც რუიზანმა და რავშან-ბახტი შეიტყეს საფარ-დევის შემთავლილება, არა მცირე მწუხარებას მიეცნენ და ამობდნენ, ვაი ჩვენს სიცოცხლესა რომ ჯინების ხელიდამ გვიხსნა და ახლა თვითონ უნდა წაგვიყვანოსო. მაშინ რავშან-ბახტი ტირილით რუიზანს მოეხვია და უთხრა: საუვარელო და სანატრელო რუიზან დღეს არის ჩვენი უკანასკნელი დღე რომელიც ამას იქით ერთმანერთს ვეღარ ვიხილავთ, მე მამკლავენ და შენ კი შეგინახავენ. მე აქნამამდე ქუჩუკის იმედი მქონდა და იმის გამოხსნისა, რადესაც ისიც მოუკლავთ მე ახლა ყოველი იმედი კარდამიწყდა. მე თუნდა დიდხანია სიკვდილის დიროს ვიყავ იმ დღიდამ რადესაც მამშენმა დამიჭირა, მას აქეთ შვიდი წელიწადი გასულა რაც მეტი ვიცოცხლე, ოდონდ შენ ცოცხალი იყო მე სცა ვიყო ისიც ჭარამია ჩემთვის.

რა შეწუხებულებმა ესე მოიუბნეს, ვახშმის მზადება უბრძანეს მხლებელთა. შუადამე რომ შეიქმნა და ყოვლის თეხი მიწყნარდა, მაშინ ქუჩუკი ადგა თავის დევის სახით, კოჭლი-დევიც თან წამოიყვანა და რუიზანის კარავისაკენ წამოვიდნენ, მაშინვე ჯინთა მისი მოსვლა აცნობეს რომ საფარ-დევი მობრძანდებაო, ქუჩუკი და კოჭლი-დევი რუიზანის კარავს შევიდნენ, რუიზანმა და რავშან-ბახტი რომ იხილეს თავიანთ კარავში საფარ-დევი, მაშინვე ორნივე თეხზე წარმოდგნენ და თაუვანი სცეს, უცნო ჰატივით მიიწვიეს. ქუჩუკმა კარავი შეიარა და მათ დაბრძანება სთხოვეს, ქუჩუკიც ზემოთ დაბრძანდა, ისინიც მოწიწებით დასდნენ. რა მცირე ხა-

ნი გავიდა, რუიზანმა უხვადი შესწრო რომ მის ქუჩუკის ერთი ხანჯალი ერჭო წელთა, მაშინ რუიზანი ტირილმა შეიპურა, ქუჩუკმა მეტი ვეღარ მოითმინა ზე ავარდა მივიდა და დას მოეხვია, როგომან-ბახტმა რომ ესე იხილა, თავიდაც ცნობა დაეფანტა ჯავრისგან და თავი ძირს ჩამოაგდო.

ქუჩუკი რომ რუიზანს უეცრად მოეხვია მას დევი ეგონა, ისე შეკრთა რომ ენება თავი თვისი მაშინვე მოეკლა, მაგრამ რა ახლო მივიდა და მოეხვია, იმის სუნი არამც თუ მერაღ დევის სუნს ემზგავსებოდა, არამედ აღმიახის სუნს ემზგავსებოდა.

მაშინ ქუჩუკმა დაიძახა, სუი სუფარელა და სულისა ჩემისა უტუბილესა და ჩემო რუიზან! ნუღარ იშიშვი, აქა არის ღვთით ძმა შენი ქუჩუკ-ყარამანი, რომელნიც კვალად ვეღირსენით ერთმანერთის შეყრას! უნდა იცოდეთ რომ, თუ ამ სახით არ შევცვლიდგოყავ, ამოდენა ინდოელნი ამ კუძულში დაიხრცებოდნენ და მეც თქვენ ვერა გნახავდით, და ჩემო, ახლა მე ამასა გთხოვთ რომ ბევრი მოგიტყვიანთ ცოტაც მოითმინოთ ვიდრე ეს ინდოელი მადრიბში გადავიყვანოთ და მერე ნახავთ თუ ღვთის ძლით ამით თავზე რა ღვთის რისხვა დავაყარო.

როდესაც რუიზანს ქუჩუკის ტუბილი ჩვეულებრივი ხმა შეესმა გუჯი-დაჯერა და მეტი სიამფრენისაგან უცნობა შეიქმნა და ერთ ჟამადე ძლივას გონებას მოეგო, აგრეთვე როგომან-ბახტმა რა ესე მოისმინა მაშინ ამანაც იცნო ქუჩუკის ხმა და თავი მადლა აიღო, მივარდა ქუჩუკს და ერთ ჟამადე ფეხებს და კალთას უღოშნიდა და კიდევ სიზმრის ზმანება ეგონა. როდესაც ნამდვილ გონზე მოვიდა და ქუჩუკის ხმა იცნო და მისი ძაღუელი, ღმერთს მხურვალე გუელით შევედრნენ მისი დღეგრძელობა და მათ სინარულს ენა ვერ მოსთქვამს, ასე ეგონათ ჯოჯოხეთიდაც სიმთხეს ვეღირსენითო. რა თავიანთ მწუხარებისაგან განთავისუფლდნენ ღმერთს კვალად მხურვალის გუელით არა მტირე მადლობა შესწირეს, მაშინვე სუფრა გაშალეს და მეჯლისი გამართეს, დიდი სინარული და ღვინი გარდაიხადეს;—მაგრამ იმ უბედურ ხელმწიფეებმა კი ამათა ამბავი არაფერი იცოდნენ, რომლებიანთვისაც შავი სამოსელი იკერებოდა და მათ სინარულს ბნელი ზეწარი ესურებოდა და შავი დღენი მოსდევდა. როგორც როგომან-ბახტისა და რუიზანის მწუხარებას სინარულის დღე მოჭევა, ესე უოველთვის წუთისოფლის ჩვეულება რომ უოველთვის სინარული და მწუხარება ძმანი არიან და ერთმანერთს მოსდევენ. იმ დამეს დაძმას სიძემ უცნოთ იღხინეს, მერე მოსვენებას მიეცნენ. რა მერე დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის სხივები ქვეყნის მოჭეფინა, მაშინ ქუჩუკმა გაიდვიდა და კოჭლ-დევის უბრძანა რომელიც ქუჩუკის დარაჯი იყო.

ახლაჲ წადი და ხელმწიფეებს უთხარი რომ მალე დაემზადნენ თავიანთ ლაშქრით და დატევიეებულ ინდოელებით, რომელიც უნდა ავიყარნეთ და მადრიბში წავიდეთ. კოჭლი-დევი მაშინვე მივიდა და უოველივე მოახსენა ხელმწიფეებს საფარ-დევის დაბარება: ესე მოახსენა, საფარ სარდალმა შე-  
მოგითვალათ, მე მიგვიანდება ზარბაქ-დევთან წასვლა და დაემზადენითო  
რომ ამ სამ დღეს ავიყარნეთ და წავიდეთო.

როდესაც საფარ-დევის ბრძანება მიიღეს ხელმწიფეებმაც ნება დარ-  
თვეს რომ ვით თქვენი ნება იუოსო და ძლიან კარგი იქნებაო ეგრე აღ-  
ვასრულებთო. კოჭლი-დევი მაშინვე უკან მოიქცა და მათი ჰასუსი ქურუკს  
მოახსენა: მეკე ქურუკმა უბრძანა, მათუსლავ, ამ წამსვე წადი და რაც შე-  
კეძლოს ბევრი საჭმელ-სასმელი შეკრიბე თუ ჩვენთვის თუ ჩემ მხედის-  
თვის და ლომისთვის ერთი სიტყვიით რაც ჩემ ხომალდს საჭიროება ჰქონ-  
დეს უოველივე მოაწეე. კოჭლი-დევმა მაშინვე თავი დაუკრა და წავიდა,  
რაც ქურუკმა უბრძანა უოველივე შეასრულა, უკუ მოიქცა კურუკს თავუანი  
სტა და მოახსენა, რაც მიბრძანეთ აღვასრულე თქვენი ბრძანებაო. მეორე  
დღეს ხელმწიფენიც მობრძანდნენ ქურუკთან და მოახსენეს: საფარ დევთა  
სარდალო, უოველი მზათ განსაფართ წასასვლელად, როგორ გვიბრძანებთ  
ჰაერით ვიმგზავროთ თუ ხომალდით? ქურუკმა უთხრა: მე ხომალდით გა-  
ვემგზავრები და თქვენც უნდა ჩემთან იყვნეთ, მხოლოდ ჯინთა ლაშქარმა  
ჰაერით იარაღ და ინდოელი ტყვენიც ჰაერით ატარონ ყველანი. ვაი მა-  
კათ ბრალი თუ ტყვეებს ერთი კაცი მოჰკლებიათ. ხელმწიფეებმა თავი  
დაუკრეს და მეორე დღეს წასასვლელად დაემზადნენ, რაც ჯანნი იყვნენ  
უოველთა თითო ინდოელი იტვირთეს, თხელხანმაც ყარამანის შემოთაბა-  
რი იტვირთა. ქურუკი, ბაჰმან-ხანა, ქირმან-ხანი, ზურან-ხანი და კოჭლი-  
დევი ხომალდში ჩასხდნენ და ქურუკის ათასნი დენი და ჯინნი, ამიერ  
და იმერ ხომალდს დაადგნენ, რუმან-ბასტი და რუიხანიც მათთან, ყვე-  
ლანი ხომალდებში ჩასხდნენ და მადრიბის მხარეს გაემართნენ. ორმოცე  
დღე იარეს და მადრიბში გავიდნენ, უოველი მუნ გადმოვიდნენ. ქურუკმა  
მაშინვე ინდოელთ დიდებულთა უბრძანა. ზეი დიდებულთა, ამას იქით  
თქვენი ქვეყანა ეს უნდა იუოს და ესენიც თქვენს ხელმწიფეებთან ვმეო-  
ფებოდნენ, თქვენ უოველთვის ამით უნდა ემორჩილებოდეთ. შემდეგ რაც  
ჯინისტნის დიდებულნი იყვნენ უოველი დაიბარა და მათაც გამოუცხადა  
და უბრძანა: ზეი ჯინთა, ამ ინდოელთა არავინ არ შეაწუხოთ რომ ამათაც  
ერთგულთა კემსახურთ. მაშინ თავუანი სტეს და მოახსენეს: ზეი სახე-  
ლოვანთ დევთა სარდალო, ჩვენც უნდა ჩვენის მხრით შევეწითოთ რომ ქვე-  
ყანა მოშენდეს. მათგან რომ ქურუკმა ამისთანა მორჩილობის ჰასუსი გაი-

გო მადლობა გამოუცხადა უველას და ხალათები უბოძა და კაისტუმრა.

რას მათგან მოიცალა მერე ოხელხანი დაიბარა და ჭკითხა: შენ მხეცი რომ გეტვირთა რა უყავ ან ვის ეკუთვნის იგი, ან სად გიმოვიას? ოხელხანმა მოახსენა: სარდალო, იგი მხეცი ქუჩუკის ჰაზის უარამან-უათილისაა. უარამან-უათილი იმისთანა ფაღვეანია რომ მისთანა ფაღვეანი ადამს აქეთ არც დაბადებულა და არც დაიბადება და სააზვირანობაც დაიმტკიცათავის ძალა ძლიერებით. მას ბევრი სიკეთეები უქნია ჩემთვის.

ერთ უამად შამბასარ-დეგმა დამიჭირა, ქვეშენთს ჩამიყვანა და საზერობილეს დამაბა. უარამანი იქ გაჩნდა იგი შამბასარ-დეგი მოკლა და მეც მუნიდამ დამისხნა და გამანთავისუფლა, ბევრჯერ დაუხსნივარ სხვა ამისთანა ზერობილადამ თითქმის ხუთჯერ. ეს მხეცი იმას ეკუთვნის. ეს მხეცი ქუჩუკმა მოიყვანა ინდოეთში რომ მოვიდა და იქ დასტოვა, ესა და მათუზ-დეგი, მე მაშინ მოვატყუე ქუჩუკი წავიყვანე და დავკარგე და იმ უდაბურ ზღვის კუნძულში გაუშვი, შემდეგ მე იქილამ გამოვბრუნდი ინდოეთს მოვედი ეს მხეცი დავიჭირე და ჩემ ხელმწიფეებს მოვართვი, ის ქუჩუკი დავკარგე რომელიც თქვენ გზაზე მეგდარი შეგხვედროდათ და იმის საჭურველი იარაღიც რომ თქვენ დაგჩხომდათ.

ქუჩუკი ჯერ-ჯერობით უურს უგდებათ თავის დამკარგავ მტრის ჯაზრას ოხელხან ჯინს, მერე გულმა მეტი ვეღარ მოუთმინა, მაშინვე მისწვდა დაიჭირა და ხელფეხი ბორკილებით შეუკრა და დედამიწას დაკვდა, მაშინვე იგი სამნი ხელმწიფეებიც დაიბარა, ხელმწიფეები დაუყოვნებლივ მოვიდნენ, ნახეს რომ ოხელხან-ჯინი ბორკილებით შეკრული გდია, დიდ განკვირებას მიეცნენ და სთქვეს თავიანთ გულში, ამას ნეტა რა დაუშავებიათ რომ ესე დაუბორკილებიათ. ქუჩუკმა მაშინვე შესძახა: ჭეი ხელმწიფეებო! ერთ საქმეს გკითხავთ თქვენ და სწორედ მითხარით; თქვენ ამისთანა უზურმარდილო და სიკეთის დაუნახავ ჯინს რათ ინახავთ? მე ამას ვკითხე თუ ეს მხეცი ვისია და ანუ სად იშოვე მეტქი, ამან მიხასუსა და თავის ზირით აღვიარა რომ ამის ჰატრანს დიდი სიკეთეები უქმნია ამისთვის, იცით რა სიკეთეები უქმნია? ხუთჯერ ტყვეობილამ დაუხსნია დევთაგან, რომლისთვისაც მეორე დღეს სიკვდილი მზათ ყოფილა და ამას მის სიკეთის სანაცვლოდ მისი შვილის-შვილი წაუყვანია მოტყუებით და უდაბურ ზღვის კუნძულში დაუკარგია, მობრუნებულა იქილამ და მისი მხეცი წამოუყვანია (უარამანის შემფაიბარი), როდესაც ამას იმის სიკეთის წინააღმდეგ ამ გვარი მუხანათობა ჩაუდენია, კვლავ დროს დაცვავეს და თქვენს ხელმწიფეობასაც წაგართმევთ და თვითონ დაჯდებათ თქვენს ალაგს.

მაშინ ხელმწიფეებმა მოახსენეს: ჭეი სახელფავანო სარდალო! ჩვენ



მკაცრე დაწმენებულები ვართ რომ რაც მკაცრს ჩაუდენია გასაკვირველი არ არის ამიტომ რომ ჩვენი გვარი ადამიანთ მტრები არიან უოველთვის, რაც უნდა სიკეთე გვიყონ, მაინც მტრობას გაუწევთ და ჩვენ მათ სიკეთეთ არ ჩაუთვლით.

ქურუკმა ბრძანა: ვიდრე ამას ზარბაქ-დევთან ესე შეკრულს არ წარუდგენ და ამის უველა ვითარებას არ შევატყობინებ მანამ არ გავანთავისუფლებ. ხელმწიფეებმა მოახსენეს ნება თქვენი აღსრულდესო. იმ დროს ქურუკმა სთქვა თავის გულში, (როდესაც თქვენვე აღვიარებთ რომ უპურ-მარცხი და სიკეთის დაუნახავნი ხართ, მაშ თუ ერთი ცოცხალი გაგიშოთ მე ქურუკ-ყარამანი არ მერქვას).

რა თავის გულში ესე განიზრახა, შემდეგ მათ უბრძანა: ზეი ხელმწიფეებო! დღეს ჩემს მეჯლისში უნდა მობრძანდეთ და ერთად ვიღებინათ და ვიმზიაროთ—და მეც უნდა დროიანად გამისტუმროთ. მათაც მადლობა გამოუცხადეს, ქურუკმა მაშინვე უბრძანა სუფრა მოემზადებინათ და სამზადისი ენახათ. დიდი მეჯლისი გაიმართა და სამი დღე უზომო ღვინო გარდაიხადეს. ქურუკმა თავის გულში სთქვა: (ესენი უოველთვის უმტრობენ ადამიანთ ტომს თუ ესენი ცოცხალი გაუშვი, მე ესენი ასეთის წვალებით უნდა დავხადო რომ ვინც ამათ გვარმა გაიგოს, უოველთვის ადამიანის მტრობა აღარ განიზრახონ).

ქურუკის მოწვეული ხელმწიფეები მეჯლისში ძლიერ დაითვრნენ ისე რომ თავი აღარა ჰქონდათ ჯდომისა და იქვე დაეუარნენ და დაიძიეს.

მაშინ ქურუკმა უბრძანა თავის დევებს რომ რაც დიდებულები და მდი-რებულები არიან თავიანთ ხელმწიფეებით, უველა დაიჭირონ და დააპატიმ-რონ. იმ დამეს რაც დაჩნენ ამათი ჯინი, ქურუკმა და თავის ათასმა დევ-მა უველა ამოწვეიტეს, ამისთვის მოახდინა ესეთი საქმე ქურუკმა. რომ თუ შეეცდოთ ის დევი თავიანთ მტრები იყო და არა ზარბაქ-დევის სარდალი, მაშინვე ჰყარით გაქცეოდნენ უველანი. ამისთვის ოსტატობით იმ დამეს ათი ათასი ჯინი დახადეს. და დახარებნათ ქურუკის სახელი რომ გაიგო-ხეს მაშინვე გარდინებუნი და ზარბაქ-დევის მხარეს წავიდნენ. ქურუკმა რომ მათგან მოიცალა, თავის კარავს მივიდა იგი მაჯუმი ჭამა და მაშინ-ვე თავის სახელ შეიცვალა. როდესაც რუიზანმა და როფშან-ბახტმა ქურუ-კი თავის სახით დაინახეს, მისცვივდნენ და ერთ უამბდე სიუვარულით ღოშნიდნენ და ღმერთს მხურვალის გულით მადლობას სწირავდნენ რომ ქურუკის მშვენიერი სახის ხილვას კვალად ეღიარებნენ. მაშინ ქურუკმა ბრძა-ნა: რაც მოხდა ნება დავთისა აღსრულდა. ქურუკი მაშინვე თავის სამოცდა სამი იარაღით შეიჭურვა, რუიზანი და როფშან-ბახტი თავისის დევებით

თან იასლა და წავიდა, იმ ხელმწიფეების ტახტს დაბრძანდა, მაშინ კოჭლ-  
დეეს უბრძანა რომ იგი წყეული ჯინთა ხელმწიფენი თავისთან მოეყვანა,  
მაშინვე კოჭლმა-დეემა ბრძანება აღსრულა და წავიდა მოსაყვანად. რა ამ  
ხელმწიფეთა თავიდან ღვინო გამოსვლად და გონებას მოსულიყვნენ მა-  
შინ ერთმანერთს ეკითხებოდნენ, ჩვენ საზურგობილეში რათა ვართო, სიზ-  
მარში ვართ თუ ცხადია? ეს რა განსაცდელიაო ჩვენს თავსაო? ამ კითხ-  
ვაში რომ იყვნენ ერთმანერთთან და ოცნებაში, მაშინ კოჭლ-დეეი თავის  
მომხრე დეეებით შევიდნენ, ეს ხელმწიფენი და სამას ორმოცდა ათი ჯი-  
ნების დიდებულნი წამოასხეს, ხელმწიფეები დეეებს ეკითხებოდნენ; ჩვენ  
ნეტა ვინ დაგვაპატიმრო, ან რისთვის დაგვიჭირა? მათ მიუგეს: ჩვენ არ  
ვიცით მოხვალთ და გაიკებთ ვინც დაგიჭირათ და ანუ რა დანაშაული  
გაქვსთ, ნახეთ ჩვენ ღმერთს რა სამართალი ქვთნება. რა შემოიყვანეს  
შესხედეს ნახეს რომ თავიანთ ტახტზედ ერთი ყრმა ახლად მოწიფული  
ფალევეანი ზის სამოცდა სამის იარადით შეჭურვილი და მრისხანის თვა-  
ლით მიმოიხედება და გვერდით რუიზანი და როგოშან-ბახტი უზის. რა  
ესე იხილეს, გაშტერებულნი ერთმანერთს ეუბნებოდნენ: ნეტარ ეს უმარ-  
წვილი ფალევეანი ვინ უნდა იყოსო? და ან ის დეეი რა იქმნა ზარბაქ-  
დევის გამოგზავნილი სარდალი! ან ჩვენი ლაშქარი რა იქმნა? მაშინ მა-  
თუხ კოჭლ-დეეი წინ წარსდგა და მოასხენა: ზეი ხელმწიფენო, რას გა-  
შტერებულხართ, თქვენი სამართალი დეეს გადასწყედა, რომელმაც თქვენ  
დაგიჭირათ და მაგ დეეში ჩაგყარათ იგი ქუჩუკ-ყარამანია, ყარამან ყათა-  
ლის შვილის-შვილი, რათ მოიყვანეთ თქვენ თავს ამ გვარი საქმედ რათ  
აიკლეთ ინდოეთი? რატომ არ განსოვლათ ამის ჰაპა ყარამანის სიკეთეები?  
თუ გინდათ შეიტყოთ ეს უმარწვილი ფალევეანი თვითონ ქუჩუკ-ყარამანია  
რომელიც თქვენ დეეთა სარდალი გეგანათ ზარბაქ-დევის გამოგზავნილი  
აბა ახლა როგორ უნდა გადაჩეთ ამის ხელიდამ, რაც თქვენ ინდოეთს  
მწუხარება მიაყენეთ, ერთი და იგივე თქვენს თავს დაადგება.

რა ქუჩუკმა იგი ხელმწიფეები იხილა თავის წინაშე მიაყვანინა ეველს  
და უბრძანა: ზეი ხელმწიფენო! თქვენ ასე გეგანათ თქვენი სიავაკცე შე-  
გრჩებოდათ!? თქვენი სამართალი თქვენვე გადაწვიტეთ, თქვენ იმ წინად  
მითხარით რომ ჩვენ აღამის ტომთ ვერ დაუმაღლებთო, რაც უნდა სიკე-  
თე გვიყონო მაინც ავად მოგვეზურგობითო, რადგან ესეა ჩვენი გვარიო. მაშ  
არცა თუ ჩვენა გვსურს თქვენთან შეკობრება, ახლა ცოდვა და მადლი  
თქვენს კისერზე იყოს რაც შე მოვანდინო. თქვენს დიდებულებს ეველას-  
დავხრცავ მხოლოდ რადგან თქვენ ხელმწიფენი ბრძანდებით სხვათრგოვ არას-  
გაკადრებთ, მხოლოდ თითო ნიშანს დაგადებთ რომ მომიგონებდეთ ხოლმე.

მაშინვე ბრძანა: ამ დიდებულ ხელმწიფეებს თვითმ მკლავი მოსტკურით და თვითმ თვალი ამოსთხარეთ, რომ საუკუნოდ სახსოვარათ იყოს ჩემი და ისე გაუშვიტ, რომ თავიანთ სისხლი თავიანთ გისრებზევე დარჩესო. მაშინვე ბრძანება ადასრულეს რაც რომ უბრძანა. მაშინ ქურუკმა უთხრა ხელმწიფეებს, ახლა მშვიდობით წადით, საცა თქვენი თქვათ იქაც ჩვენნი, რაც ხელიდამ გამოგივიდეთ იგი ადასრულეთ. მაშინ გულდამწვარნი ჭკარში აღიწივნენ და ზარბაქ-დევის მხარეს გაემარტნენ. რა მათგან მოიცალა ქურუკმა შემდეგ დიდებულნი დახარცინა, რა ამათგანაც მოიცალა, მაშინ ოხელხან-ჯინი მოაყვანა, ოხელხან-ჯინმა ქურუკი რომ დაინახა სიკვდილად მიიწურა, როდესაც შეხედა თავის სულის ამომრთმევი ტანტსა ზის და მზისაებრ ბრწყინავს და მრისხვანე თვალით იურება იმისკენ, (მაშინ გულსა შინა სთქვა მე ეს სად დავტოვე და ახლა სადა ვხედავ!) რა ახლას შოიყვანეს და ქურუკის წინ დააყენეს, ისე მოინარა რომ ზევით ვეღარ აიხედა. ქურუკმა ოხელხანს შეხედა მრისხანგდ და შესძახა! შე წვეულთ ჯინო, ჩემგან რა ავკაცობა და ზიანი გენახა რომ კიდევ დამკარკე იმ უდაბურ ზღვის შუა კუნძულში და სიკვდილიც მოგიტანე ჩემზე? მაგრამ ხედავ რომ ჩემს დემრთმა არ იხება ჩემი დაკარგვა, ხახე იმის სამართაღს, როგორ მამარჩინა და აქ მომიყვანა. ახლა ისეთი სატანჯელი უნდა მოგაყენო რომ სიკვდილიც გეჩინოს. მაშინ დევეის უბრძანა რომ ოხელხანი ფრთხილად შეენახათ და ყოველ დღე ორასი მათრახი ეკრათ ტიტველა ტანზე და ერთი ლიტრა ძირ-მწარე ბაღასის მეტი არაფერი ეჭმეიათ, ვიდრე ღვთის მადლით ზარბაქ-დევის საქმეს გავათავებდე, თქვენც დაემზადებით რომ ამ ათ დღის უკან უნდა ქვეშენეთის მხარეს წავიდეთ და ეგებ ღვთით იგი წუეული ვიპოვოთ.

მეორე დღეს ინდოელ ტუვეებმა რომ ესეთი ამბავი შეიტყეს, არა მცირე სიხარულს მიეცნენ, მაშინვე მოვიდნენ ყოველნი და ფერხთ ეხვეოდნენ და დემრთს მადლობას სწირავდნენ და დიდ სიხარულში იყვნენ. ქურუკმა ყოველ ინდოელს უბრძანა რომ ყოველმა კაცმა ხელი მოჭკიდონ თავიანთ მუშაობას და აწარმოონ, თუ შენობასა თუ ხვნა-თესვას და თუ ვაჭრობას, რომ ამას იქით ნურათურის შაში და კრძალვა ნუ ექნებათ. მათაც ერთგულათ ხელი მიჰყვეს მუშაობას. და მადრიბილამ მოკიდებული ინდოეთამდინ, ყოველ ქვეუბნში სარდლებათ თავის ერთგული დევნი განაწესა და რაც ჯინნი დარჩამილიყვნენ ბაჭმან-ხანისა, ქირმან-ხანისა და ზურან-ხანისა სრულიად გაწვეგტინა და ქვეუბნს დაამშვიდა, მაგრამ მისი ჭკვა გონება და განზრახვა კვალად ზარბაქ-დევისაკენ იყო და ამბობდა დროიანად წავიდე იმ წუეულზედაო.

ქუჩუკი აქ ამ საკონებელში დაუტკოთ და ზორაბ-დევისა და ზორაბ-შაჭას აშბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ზორაბ-შაჭამ და ზორაბ-დევა ათასა ჯინი გაისტუმრეს ქუჩუკ-ყარამანის საძებნელად თვითონაც რკეანეს ზღვის კუნძულები სრულიად მოიარეს მაგრამ ვერსად ჭბოვეს, შემდეგ ბევრის ძებნისა, მადრიბისაკენ გამოემართნენ, რა დაუახლოვდნენ ნახეს რომ მადრიბისტანი სრულიად გაახლებულა და სიცოცხლის მხედველობა მიუღია, ესენი არა მტორე სინარულს მიეცნენ, იმათ რამდენიმე მადრიბელნი შესვდნენ, მადრიბელნი ძლიერ შეშინდნენ, როდესაც იხილეს რომ მადრიბისაკენ დევთა ლაშქარი შორი-ახლო მოდის, მადრიბელთა ეგონათ ზარბაქ-დევი და თვისი ლაშქარი, მაშინვე სინქართ მივიდნენ და ქუჩუკს თავი დაუკრეს და მოახსენეს, სახელოვანო თაღუვანო, ჩვენს ქვეყნის მახლობლად დიდძალი დევთა ლაშქარი მოდის და არ ვიცით ვინა და რომლის მხრისანი არიან. რა მათგან ესეთი ცნობა მიღო ქუჩუკმა, მაშინვე კოჭლ-დევს უბრძანა ახლავ წადი შეიტყე თუ ვინ არიან; იმ წამსვე თავი დაუკრა გამობრუნდა ჭიკში აფრინდა და მომავალ ლაშქრის წინ გახნდა, ჩახა რომ მრავალნი დევნი და ჯინნი შეერიდნი მოდიან, მაშინვე დაუძისა: ჭეი დევნო და ჯინნო, ვინა ხარო მტერნი თუ მოყვარენი? ანუ მომავალი თქვენი უფროსი ვინ არის?—იქილამ უზასუხეს, შენ ვინა ხარ და ან ამ მადრიბის ქვეყანას ვინა ჭბატრობობს?—კოჭლმა მათუზ-დევმა შესძისა: ჭეი თქვენ დევნო, ამ მადრიბის ამშენებელი საბუერანის შვილის ნარიმანის ძე ქუჩუკ-ყარამანია, რომელიც ამ ჟამად აქა ბრძანდება და ესა ჭბატრობობს. რა მომავალ დევთა და ჯინთა ესე შეიტყეს, მაშინვე მათგანი რამდენიმე უკუ შეიქცნენ, ისე რომ ვინ ვის უსწრობდა, მსწრაფად მივიდნენ და ზორაბ-დევს და ზორაბ-შაჭას მოახსენეს: დიდებულნო, გვიხარება თქვენთვის რომ ქუჩუკ-ყარამანი აქ ბრძანებულა ყოველის მშვიდობიანობით. ამათ რომ ესე სამხიარულა აშბავი მოიხსენეს, ვით მართებდათ იმ გვარ სინარულს მიეცნენ. კოჭლი-დევი მოიხმეს და მრავალი სამახარობლო უბოძეს და მადლობა მოახსენეს. შემდეგ კოჭლ-დევს უთხრეს თუ გსურთ შეიტყოთ მომავალნი არიან ზორაბ-შაჭა და ზორაბ-დევი, რომელთაც ქუჩუკის დაკარგვა შეიტყეს პირველათვე იმ დღილამ აქნამამდე წავიდნენ მრავალი ზღვა და ზღვის კუნძული მოიარეს და ეძებდნენ ქუჩუკს, მაგრამ ვერსად ვერა ჭბოვეს, ყოველ მხრილამ დამაშვრალნი მოვდიოდით, ახლა მადლობა დმერთს რადგან საღისაღამათი აქა ბრძანებულა ჩვენც დიდათ მოხარულნი



ვართ. რა კოჭლმა-დევიმ უოგელოვე გაიგო თუ ვინ არიან იმათ უფროსნი, მშინვე უკუ მოიქცა მზვიდა ქუჩუკთან თაყვანი სცა და მოახსენა: ფალე-ვანო მიხარებია, ზორაბ-შაჰა და თქვენი მონა ზორაბ-დევი გიასლებიან რი ათასის ხვალი დევით და ჯინების ლაშქრით, რომელთაც თქვენს სამებნელათ უგლიათ მთელი ზღვა და ხმელეთი, იქ რამ ვერ უბოვინხართ ახლა აქეთ წამოსულან. რა ქუჩუკმა მათი მოსვლა შეიტყო, არა მცირე სინარულს მიეცა და მადრიბის ქვეყნის დიდებულთა სრულიად წინ მიგებება უბრძანა, მშინვე მისი ბრძანება აღასრულეს და დიდის ჰატივით წინ მიეგებნენ და შესაფერის ჰატივით მადრიბისტანში შემოიყვანეს. როდესაც ქუჩუკმა ზორაბ-დევი დაინახა, წინ მიეგება, ისინიც ძირს ჩამოხტნენ და ქარის უმაღლესად მოეგებნენ და შორიდამვე მძიმედ თავი დაუკრეს, მერე ორნივე წინ მივიდნენ და სინარულით ქუჩუკის კალთას აკოცეს, ქუჩუკმაც სიუვარულით მათ ზირს აკოცა და ტკბილად მოიკითხა, ასეთ უცხო საუბრით ქუჩუკის მანძილზედ ჩამოხდნენ.

მათი ლაშქარი მშინვე სოფლებში დასერიკეს და საზრდო მიუზინეს, თვითონაც უცხო მეჯლისი გამართეს და დიდი ხადიმი დაიდეს და ამ შექცევაში უოგელი თავ-თავის კარდასავალს ერთმანერთს უამბობდნენ. რა ამათ ქუჩუკის ამგვარი საქმენი შეიტყეს, არა მცირე ქება შეასხეს და დმერთს დიდი მადლობა შესწირეს, ქუჩუკს ბოლოს დროს თავის სამშობლო მოაკონდა და თავის ჰაზა უარამანის ამბავი ჭკითხა, აგრეთვე თავის მამა ხარამანისა და უოგლისა. მათ მოახსენეს: ფალევანო ერთი წელიწადიც იქნება რამ მათი არაფერი ვიცით, რადგანაც თქვენი დაკარგვის მიზეზით ჩვენც არ ვიცოდით თუ რა გვექმნა, მხოლოდ წინათ კი სუმბუქათ ვაცნობეთ, ამისთვის რამ თავიანთ ქვეყნებისთვის გაფრთხილებულ იყვნენ, რომელნი დევნიც კავგზავნეთ და წიგნი გავატანეთ უარამანთან თქვენს გამოთ, იგინიც აღარ დაბრუნებულან ჯერ და არ ვიცით რა მიზეზია, თუ ისინი დაბრუნდებიან ამბავსაც მოგართმევენ და უოგელს მშინ სცნობთ. რა ესე საუბარი დაასრულეს, მერე როფშან-ბახტს და რუფანს უცხო თავაზით, თავიანთ ტყვეობილამ განთავისუფლება მიულოცეს და უცხოთ ილხინეს.

აქ ესენი ამ ლხინში დაუტეოთ და იმ სამბოთა ჯინთა ხელმწიფეების ამბავი მოისწენით.

როდესაც ქუჩუკმა ბნელეთის ხელმწიფეებს თითო ხელი მოაჭრა ისინი ძლიერ გულდაშვარნი წავიდნენ ქუჩუკისაგან, ექვსი კვირა იარეს

და რისუფოთ ზარბაქ-დევის სამზღვარს მიაღწიეს, რა მათი მისვლა შე-  
იტუეს მრავალნი ჯადონი და სსშიშარნი დევნი წინ აღუდგნენ და ამბავი  
ჰკითხეს. მათ ხელმწიფეებმა უოველი თავიანთ თავგადასავალი წვრილად  
მოახსენეს. რა ზარბაქ-დევის ამათი მონობა შეიტუეს, მაშინვე წინ წა-  
რუძდვნენ და რამდენიმე ძხელი მეთილისმენი გაჰყვნენ, მათ თილისმე-  
ბით იარეს თორემ ფრინველიც ვერ გადავიდოდა, ოცი დღე კვალად იარეს  
რისუფოთ მიაღწიეს, ეს ხელმწიფენი ასე შესწუხდნენ სიარულით რომ  
ხიკვდილს ნატრობდნენ ვიდრე ზარბაქ-დევის მიაღწევდნენ, ამისთანა წვა-  
ლებით და ვაივაგლახით ზარბაქ-დევის სამუფოს მიაუვანეს. მაშინ თილის-  
მანი და ჯადონი მივიდნენ ზარბაქთან, თავუანი სტეს და მოახსენეს რომ  
ბაჰმან-ხანი, ქირმან-ხანი და ზურან-ხელმწიფე გიანდნენ, მათ სამივეს  
თითო მკლავი მოჭრილი აქვთ და თითო თვალი მოთხრილი და თქვენს  
უმადლესობის წინაშე მომჩივარნი არიან.

რა ზარბაქ-დევმა და მის ბილწ დიდებულებმა ესე შეიტუეს, არა  
მცირე განკვირვებას მიეცნენ და ვადიხარხარეს, მერე თქვეს, ჩვენ მაგათ-  
ზე შეგვიტუია რომ ძლიერნი და ფაღვეანნი არიან და მძლავრნი ჯადო-  
ნი, ურიცხვი ლაშქრის ჰატრონნი და ამ ახლოხეობში ინდოეთიც აიკლეს  
და ახლა მაგათ საქმე როგორ მომხდარა რომ მაგ დღეში ჩაცვიფრულან!..  
ნეტარ რომელ გულოვან ფაღვეანისკან დამარცხებულან? იმათ რით ვერ  
გაიგეს რომ ეგ უბრალო ხელმწიფენი, ზარბაქ-დევის მონანი არიან და  
ქვეშევრდომნი, ხომ იციან რომ ზარბაქის შიშით ცაში ფრინველს ვერ  
გაუფლია და დედამიწაზე კანჯარსა, მაგათი მაგ დღეში ჩამტდები ქვეყანა-  
ზე დაიარება თუ მკვდარია?..

ზარბაქ-დევი ჯერ უურს უგდებდა თავის დიდებულების ლაშარკს, მე-  
რე ისე გაბრაზიანდა რომ კბილებს ჯახჯუხი დაწვეებინა, ისე რომ იქ  
მდგომ დევებმა წინარის ფურცელსავით ცახცახი დაიწუეს, მერე თქვა: მე  
აქნომამდე ველოდი რომ ათასი ადამიანთ ქალ-ვაჟი უნდა წარმოგზავ-  
ნათ უოველ წელს, ზირობისამებრ როგორც აღმითქვეს და ახლა ეგენი  
ჩემთან ცარიელნი მოსულან? მაშინვე თავისთან მათი წინ მოყვანა უბრძანა:  
რა იგი სამნი ხელმწიფენი წინ მიაუვანეს, მათ ნახეს რომ ერთი კლდე იუფ-  
გამოკვეთილი, ვითარცა ერთი ზირველი სსახლე, იმ გამოკვეთილ კლდე-  
ში ასი ათასი კაცი დაეტოვდა, სიმაღლე ხუთასი მწერთა ჰქონდა, იმის  
კედელნი გარანდულსავით იუფ და რაც ქვეყანაზედ წინად ხელმწიფენი თუ  
ფაღვეანი თუ დევნი ან ფერიანი უფთელიუვნენ გამოჩენილნი ვუკლანი იმ  
კედელზედ ესტნენ და თავიანთ თავგადასავალი მოკლედ თავ-თავის სუ-  
რათის ქვეშ ჰქონდა დაწერილი თუ ვინ რომელი მხრის ხელმწიფე უფთ-

ლა ან ფალკვანი. იმის ზემო თავში ერთი ტახტი იდგა ცეცხლ-ათხი კი-  
ბე ავიდოდა, ის ტახტი სულ ძვირფას თვლებით იყო მოჭედული, ასე-  
რამ მის ელვარებას იგი არე-მარე სულ გაუნათლებინა, მას ზედ ერთ-  
საშინელი დევი იჯდა, თავი დიდ ახანის გუმბათის უკავდა, თვლები დიდ  
ბურთების ტოლა, კბილები ათ ათი მწურთა ღერის ეშვებივით გადმო-  
რილი, უურები წისქვილის დოლაბებს, სისქე დიდ ამბრის ტოლა. ისეთ-  
რამ იყო რამ რადესაც ქირმან-ხანმა და მეორე ხელმწიფეებმა შეხედეს,  
თითქმის ამიერ სოფლით განიწირნენ და სული კბილით დაიჭირეს. ბაჟ-  
მან-ხანმა და ზურან-ხელმწიფემ რამ ვეღარ გაუძლეს უურებას, ოთხ უამა-  
დე უსულად ეუარნენ შიშით. ამათში ქირმან-ხანი მომკვდარ იყო და მე-  
ორეები კი გონს მოიუფანეს. ის მკვდარი ხელმწიფე მაშინვე ცეცხლში  
დასწვეს როგორც თავიანთ წესი იყო.

რა ისინი ცნობას მოეგნენ, არა მცირე შიშით ღაზარაკი დაიწვეს.  
ისინი ცეცხლს შეინახეს და უოველ დღეს ზარბაქ-დევის საშინელ სახეს  
უთხრობდნენ და გულს აძლეოდნენ რამ თავიანთ ფეხით მიჭყოლოდნენ და  
თავიანთ ღარდი თავიანთ პირით ეთქვათ. ცეცხლს შემდეგ როგორც  
იყო გააბედინეს ამ ორთა ხელმწიფეთა და მიიუფანეს ზარბაქ-დევთან, რა-  
კვალად შესედეს ხელმეორეთ დაბნედას ღამობდნენ შიშით და ზიზღით,  
მაგრამ როგორც იყო გულები გაიმაცრეს, თავიანი სცეს და უურება და-  
უწვეს. რა იგი კარგათ გაშინჯეს ორას ორმოცი მწურთა სიმაღლე ჭქან-  
და ორი ჭანდრის ოდენი მკლავები ება, პირველ თავის კარდა მხრებზე  
ექვსი თავიც სხვა ება, თვლების ქუთუთანი სრულებით არა ჭქანდა,  
ცხვირის ნესტოები ფურტკრის სკას უკავდა, წვერ-უღვაში ერთმანერთში  
გართხოდა, პირი ჯოჯოხეთის გენიასავით ენთებოდა და მურალი კვამლი  
ამოსდიოდა, ისე რამ კაცთ საწამლავს ემზავსებოდა, ექვსი ფეხი ება,  
უურებში ხუთ-ხუთ ლიტრიანი ღაფვარდის საუურები ეკიდა, დედამიწაზე  
ნაბიჯს რამ ადგამდა, დედამიწა ზანზარებდა. რა ამისთანა სანახავი იხილეს  
ერთმანერთს უთხრეს: ნეტავ ქუჩუკს ორივე თვლები დაეთხარა და ამის-  
თანა საზარელი რამ არ გვენახა.

რა ამ განზრახვაში იყვნენ, მაშინ ღრუბლის ქუხილის მზგავსად ხმა  
მოესმათ, თურმე იმ ზარბაქ-დევის ხელმწიფენი მოუკითხავს და წერობით  
უბრძანა: ჭეი თქვენ უსახელო ხელმწიფენო! ხვენი პირობა როგორ იყო?  
ახლა რამ მოსულხართ რა პირით მოსულხართ, ან ეგ რა ამბავია თქვენს  
თავს, აბა უოველი სრულიად მაუწყეთ. მაშინ თავი დაუკრეს და უოველი  
თვითოველად მოახსენეს.

როდესაც ზარბაქ-დევა ქუჩუკის ამისთანა შეძლება გაიგო, არა მცო-

რე საგონებელში ჩავარდა, იმ ხელმწიფეთა შესძახა: ჭეი თქვენ უმზგავს-  
ნო! თუ იმის ზასუსის გაცემა არ შეგეძლოთ იმ დროს რატომ ჩემთან არ  
მომხვედით და არ მაცნობოთ?.. მათ მოახსენეს ხელმწიფეო, იმ რიგათ  
მოგვევლინა რომ ვერც მისი მოსვლა ვსცანიოთ და არც თუ თავის სახით  
მოვიდა. შირველად ჩვენ ქუხუეის სიკვდილის ამბავი გვესმა და ჩვენში მი-  
სი სახელის ხსენებაც არ იყო. უეცრივ ვინილეთ რომ ერთი ხომალდი  
გამოჩნდა კუნძულის კიდეზე, მაშინვე ოხელხანი გავგზავნეთ რამდენიმე  
ათასი ლაშქრით მის ხომალდის საცნობლად, მაშინ ცნობა მივიღეთ რომ  
იმ ხომალდში მსხდომნი სულ დევნი და ჯინნი იყვნენ, იმათი უფროსნი  
ერთი საშინელი დევო იყო რომელსაც ორი ხარის რქა ება თავზე თი-  
თონ კი ზატარა და საკვირველი მამაცი, იმ დევს ერთი რაში ჭყვანდა არც  
მარტო რქასა ჭყვანდა არც ურამნის შეშფაიბარს, რომ მოენდომებინა ერთ  
წამში ას ფარანგს გაივლიდა ისე რომ ფრინველსაც გაუჭირდებოდა ისე  
სისწრაფით ფრენა, იმასთან ერთი დიდი ძუ ლომიც ვინილეთ. ჩვენ რომ  
ვგოთხეთ მას ვინაობა, იმან გვიხსუსხა რომ, მე ზარბაქ-დევის გამოგზავ-  
ნილი შირველი სარდალი ვარო, მე გამოგზავნა რუიზანისა და როგმან-  
ბასტის წასაყვანათაო და ათასის ინდოელ ქალ-ურმისაო. იმდენი გვატყუა-  
ვიდრე მადრიბსტანში წაგვიყვანა, როდესაც მადრიბსტანში დავბანაკდით,  
მეფეში გამართა და აღუთქვით რომ როგორც თქვენი სარდალი თქვენის  
ზატვიოსთვის უნდა ამოგვეჩია რომელიც საუკეთესო ქალ-ურმანი იყვნენ  
ინდოელნი რუიზან-როგმან-ბასტით და სხვა მრავლის ფეშქაშებით უნდა  
გამოგვეგზავნა როგორც შირობა გვეჩნდა თქვენთან მუდამ წელს მოსარ-  
თმეკად. იმ დამეს როდესაც მეფელისი მოიძალა ჩვენც იქვე მოვისვენეთ.

რა მეორე დღეს გათენდა და გავიდვიძეთ, ჩვენი თავი. ზურობილათ  
ვინილეთ, მაშინ ვცანიოთ რომ იგი საკვირველი დევო ქუხუე-ურამანი უა-  
ფილდა, თურქე თავის სახე გამოეცვალა და დევის სახე მიეღო. რა ჩვენ  
შეგვიბურო მობრუნდა და რაც ჩვენ ლაშქარი გვევანდა სულ ამოგვიწვი-  
ტა და ჩვენც ამ დღეში ჩავგვარა. მერე გვითხრა: ახლა წადითო და თქვენ  
ზარბაქ-დევთან იჩივლეთო, საცა თქვენი თქოთო იქაც ჩემიო და ამ მო-  
ჯე ხანში იმასაც უნდა გეწვიოფო სტუმრათ, ესეც უთხარით რომ კარგათ  
დამიხვდეს ჩემ საკადრისათაო. ესე გვითხრა და ჩვენ გაგვიშო ესე დასა-  
ყინრებულეი საცოდავათ; ჩვენც თქვენ უმაღლესობას მოვმარეთეთ და ახლა  
ნებო თქვენი აღსრულდეს.

რა ზარბაქ-დევმა ესეთი მოხსენება მოიშინა, ისე განრისხდა რომ  
შინნი მურებელნი მრავალნი დევნი და დიდებულნი შეიბინდნენ შიშით,  
ზოგნი უსულონიც შეიქმნენ და ვეღარ მობრუნდნენ, იგი ორნი ხელმწი-



ფენიც შიშით გარეთ გამოცვივნენ და ერთ ალაც მიეფარნენ. ზარბაქ-დეგ-  
მა შესძახა: ზეი სარდალნო და ფაღვეანნო! ესენი ვიდასაც სააბირანს და  
ქურუ-ყარამანს რომ ამბობენ, იგინი ვინ არიან? ან რომელ ქვეყანაში იმ-  
ყოფებიან? ან რა სხელოვანი საქმე ჩაუდენიათ.—რა ფაღვეანთა და სარ-  
დალთა ესე მოიხსენიეს, მაშინვე თავიანთ მხატვარი ზანგი დაიბარეს და  
უთხრეს, მხატვარო შენ უფველ ქვეყნის კარგი და ავი გინახავს, აგრეთ-  
ვე დაგინატავს და დაგიწერია, სადმე რამე გავია ყარამანის სააბირანის,  
შვილის ნარიმანის ძის, ქურუ-ყარამანისა? ანუ იმის სახე დაგინატავს სად-  
მე თუ როგორი ფაღვეანია? თუ იცი და იცნობ უფველივე გვაუწიე.

მაშინ მხატვარ-ზანგმა თავი დაუკრა და მოახსენა: ზეი ხელმწიფეთა-  
ხელმწიფეო! ჭაზარექ-დასტის დეგთაგანნი რამდენიმე გამოქცეულნი ჩვენს  
ქვეყანაში მოვიდნენ და ამბავი მოგვიტანეს იმის ფაღვეანობისა და ქურუ-  
კის სახეც გადაეღოთ და მათი თავგარდასავალი უფველივე აღწერათ და  
ოთხჯერ ჭაზარექ-დასტისა და ყარამანის ომი და ბოლოს ქურუკისაგან იმის  
სიკვდილი. მე უფველივე მაქვს სრულიად დახატული და გადაღებული მა-  
თი ამბავიც მოკლედ აღწერილი, ჭურუნსურ-ჯადოს ამბიდან ვიდრე ჭაზარ-  
ექ-დასტის ომის დასრულებამდე. და მას აქეთ რაც მომხდარა ისინი კი  
არათყრი ვიცი. რა ზარბაქ-დეგმა ესე მოისმინა, მხატვარ-ზანგს დიდი ქე-  
ბა შეასხა, ხალათი უბოძა და უბრძანა: თუ შეიძლება იგი დახატული უნ-  
და მიჩვენო, მაშინვე მხატვარი წინ გაუძღვა და საცა დაეხატა იმ ადგი-  
ლას მიიყვანა და აჩვენა. რა ზარბაქ-დეგმა ყარამანისა და ქურუკის ომი გა-  
შინჯა ჭაზარექ-დასტთან, არა მცირე განკვირვებას მიეცა, როდესაც ჭა-  
ზარექ-დასტის ღასტი იხილა, თუმცა იაღბუზის მთას მოხვედროდა იგიც  
დაინგროდა, მაგრამ ყარამანი მის ნაკრავს უფლებად დასდგომოდა, მეო-  
რე ალაცს ნახა რომ ყარამანს კი ერთის დაკვრით იმისთანა მთის ოდენი  
დევი ერთის მუშტის დაკვრით გარდაექცია. მესამე ალაცს მივიდა გაშინჯა  
რომ, ქურუკს ერთი ღასტის დაკვრით ჭაზარექ-დასტი გარდაუქცევია და  
თავსა სჭრის.

რა ესენი ესე გაშინჯა არა მცირე სათქიკრებელში ჩავარდა, და დაი-  
ძახა, ვაი შენი ბრალი ჭაზარექ-დასტო რომ ამისთანა უბრალო ემაწვილი-  
საგან გათავებულხარ. რა კარგათ დათვალეირა უფველი მხატვრობა ნახა  
რომ ყარამანის მზგავსი ფაღვეანი იქ არავინ იყო დახატული. მაშინვე  
ჭაზარექ-დასტის დეგების მოყვანა ბრძანა, მანამ იგინი მოვიდოდნენ იმ  
ხელმწიფეებს ალაცის მიცემა და ზატვიით შენახვა უბრძანა, მეკრე მსწრა-  
ფად ბრძანება გასცა, რაც ჩემ საბრძანებელში დევნი ფაღვეანნი ანუ ჯა-  
დონი მოიპოვებიან, სრულიად დაიბარეთ რომ ამ ათს დღეს უფველნი მზათ

თევენ და რაც შეკრული გზებია ჯადოთაცან სუეველა გახსნან რომ მნე-  
ბავს ქვეყნად გავიდე და სრულიად აღამიანთ სამეოფი მთავარბო, და შემ-  
დეგ ისევ შექვრან ჯადოებით და თილისმებით, ვაითუ ჩვენ გზაზე აგვცდნენ  
და ისინი აქ მოვიდნენ, ისინი ვილაც ურამანი და ქუჩუკია, და აქაურობა  
ააბრან უჩვენათ. მაგრამ გულში კი შიში არ უქრებოდა ზარბაქ-დევის,  
ამისთვის უფრო ამაკრებინებდა გზებს ჯადოებით. იმ ათ დღეს ხუთასი  
ათასი დღვის ლაშქარი შეიყარა და გზებიც ჯადოებით მაგრა შეაკვრევინა,  
ისე რომ მტერი ვეღარ შემოსულიყო, ამის კარდა ჯადოებმა ათის დღის  
სწავლზე ასეთი მურალი სუნი დაეყენეს რომ თუ კაცსა თუ პირუტყვის  
სტუმოდა მაშინვე დახლდა, მერე წავიდა და იმ დახატულ ჭზარქ-დას-  
ტის ლახტს კვლად დასედა და უთხრა თავის სარდლებს, ამ ლახტს ხომ  
ხედავთ, ამისი მზგავსი ასეთი ლახტი უნდა გააკეთოთ რომ სამი ამო-  
დენი იყოს, რომ ვინც შემხვდეს იმათგანი, ერთი დაკვრით მიწასთან გა-  
ვასწორო. მაშინვე ბრძანება დასრულეს, ამისთანა ლახტით ვინც ზარბაქ-  
დევის შეხედავდა, წიროს ფოთოლსავით თრთოდა, უველანი დიდ მზადე-  
ბაში შევიდნენ, ჯადოებს უბრძანა: თქვენ ახლავე წადით ნუ თუ დრო და-  
იწვიათ და რუიზანი, ქუჩუკი, როვშან-ბახტი და გულიჯანი (შაჰზად-შაჰის  
ქალი, ქუჩუკის ცოლი), შეგზდეთ სადმე, ან მათი გვარისანი ვინც უნდა  
აეოს იხელთეთ და ჩემთან მასხით, აბა მალე წადით და ცალიერი არ  
მთხვიდეთ, თუ ცარიელნი მთხვალთ ვაი თქვენი ბრალი: რა ესე უბრძანა  
მაშინვე ჯადოები გაემგზავრნენ მრავალი ჯადოებით ქუჩუკისაკენ და შაჰ-  
ზად-შაჰისაკენ გულიჯანის დასაწყრათ.

აქ ესენი ამ მიძავლობაში დაუტეოთ, ზარბაქ-დევი თავის  
თადარიგში და ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკი მადრიბსტანში მოვიდა უოველი საქმე რიგზე მო-  
აწყო, შემდეგ უშანგბათს წიგნი მისწერა და მშვიდობიანობა შეატეობინა,  
თავის მამა ნარამანს, თავის სუფარულ გულიჯანს და თავის სიმამრს შაჰ-  
ზად-შაჰს, უოველივე აცნობა თავის თავგარდასავალი და რუიზანისა და  
როვშან ბახტის ტუველობილამ დახსნაც, ამათ რომ გაიგეს კეთილი ამბავი  
დიდ სიხარულს მიეცნენ, მერე წიგნი თავის შაჰს ურამანს მისწერა, მე-  
სამე თავის დედა ჭუსნიარას, ათ ფერიათ მისცა და გაისტუმრა. შემდეგ  
დვითთ თვითონ ზარბაქ-დევზე წასასვლელად ემზადებოდა, დღეს ერთსა თა-  
ვის დიდებულნი შექვარა და დიდი მეჯლიში გამართა და ნადიში კარდა-  
ბხადა წასვლისა.

რა მეჯღლიში მოიშალა ქუჩუკმა ბრძანა: ტყე უოველნო დიდებულნო და მცირებულნო, აქ შეურდინო! თქვენ რას მიჩვეთ ჩემს წასვლისას? როგორ სჯობს, ლაშქრით წავიდე თუ მარტო სჯობს წასვლა? ამაზედ თქვენა გკითხავთ რჩევას. ქუჩუკისაგან რომ ესე მოისმინეს, მოახსენეს: ტყე ფალეგანთა ფალეგანო! საითაც თქვენ დაახიკებთ წაბრძანებას, ჩვენც მისათა ვართ თქვენ გამოგუვეთ სამსახურში და ჩვენ არა გვსურს უთქვენოდ სიცოცხლე და გვსურს რომ ჩვენც შენთან ვიმყოფებოდეთ. რა ქუჩუკმა ამითგან ესეთი ერთგული ზსურხი შეიტყო, ძლიერ დაუშადა და უთხრა: ჩემის აზრით ესე ვფიქრობ, თუ თქვენც იტყვიან, იგი ხელმწიფეანი რომელთაც ხელები დავატყარი, გამწარებულნი ზირდაზირ ზარბაქ-დეგან წავიდოდნენ და რაც იმათ აკაცობა შეუძლიანთ, ცხადვით თუ მალვით გაირჯებიან. ამასაც იზავს ზარბაქ-დევი, რომელსაც თქვენ ამბობთ რომ იმას გაწვრთნილი ათი ათასი ჯაღათ ლაშქარი და მეთილისმენი ჭყავსო, მათ ჯაღათ სარდალებს მთელ ქვეყანაზედ დაჭვანტავს და ჩვენ უოველ მხარეს დიდ ზიანს მისცემს. ამისთანა შემთხვევაში თუ ჩვენ ქვეყნებს ზატრონი არა ჭყვანდეს ადვილად გააფხრებენ. მაშინ უბრძანა ზორაბ-დეგს: ზორაბ-დეგო, მაშასადამე შენ მადრიბსტანში უნდა დარჩე, და ინდოეთი ისე უნდა შეინახო უოველ დონისძიებით, ადრევე უოველი გზები უნდა შეუკრა, ისე რომ ფრინველიც ვერ გადმოვიდეს. მეტე ზორაბ-შაჰს მთავსურხა: თქვენ საუვარელო ზორაბ, ჩვენზე დიდი ამაგი და ღვაწლი მოგიძღვით და კვლად უნდა გაისარჯოთ, აქედამ ქით-სამთას უნდა მიხვიდე, მე შენებრივ მამაცი და მარდი არავინა მუავს, ფარვან-დეგს მოახსენე ჩემ მავივრად უოველი ჩემი ამბავი, და წიგნსაც კაცატან, მაშინვე ერთი წიგნი დაწერა თავის თავგადსავალი უოველივე და ესე აცნობა იმას რომ მე მივალ ზარბაქ-დეგის მხარეს და ვნახოთ ღმერთი რა წყალობას მოიძღვებს—და ჩემი ვედრება ეს არის თქვენთან რადგანაც მრავალი სიკეთე მოგიძღვის და სამსახური, ახლაც იმედი მაქვს რომ გაისარჯოთ, ამისთვის რომ მისნი ჯაღონი მოვლენ უეტველად ჩვენს ქვეყანას და მრავალს ზიანს დამართავენ, კთხოვ რომ მანამ მე საქმეს დავასრულებდე ღვთის ძალით, თქვენ ქვეყნებს გაუფრთხილდეთ და ჭარემანებს, თუ ჩემ თავს ერთი რამ ხიფათი მოვიდეს მეტე თქვენ იცით. ზაზაჩემიც დაბერებულა, და მე მტონი რომ მაგას ხელიც აუღია ქვეყნიდამ და მაზჩემსაც რომ იცი უთვალავი მტერი ჭყავს და ამისთანა დროს ჩვენი ზატრონი შენ უნდა იყო და დამავალი შენი სამსახური. ესე რომ დასწერა ზორაბ-შაჰს მისცა და ათი დევიც თან კაცატანა. მეტე თავის სარდალებს და ფალეგნებს უბრძანა: მე მსურს ჩემი ერთგული მათუზ-დევი და ათნიც სხვანი გამძლე ჯინნი

თან ვიხსოვრები რომ ჩემი იარაღის ზანდუკი ზიდონ. მერე რუიზანს და როგორ  
შინ-ბასტის მთასსენა: სუფარულნი და თვალთა ჩემთა ნათელნი! თქვენ აქ  
უნდა ბრძანდებოდეთ ცოლ ქმარნი და ნურას ინადელით, თქვენთვის სამ-  
კურნალად წამალი ადრევე დაშინდებულაი უნდა ის ორივემ ჭმით და თქვენ  
ჯადო-თილისმა არასოდეს არ მოგეკარებათ, ამ მადრიბსტანში ხელმწიფეთ  
ბრძანდებოდეთ, ამისთვის რომ ინდოეთის ერი სულ აქ არის და ზოგად-  
დევნიც თქვენი სარდალი იქნება, ღვთით მე იმედი მაქვს რომ ვინც მტე-  
რი მოვიდეს ზოგადი პასუხს გასცემს და ვინცობა თუ ზარბაქ-დევი გზა-  
ზედ ამცილდეს და აქეთ იმის მოსვლა შეიტყუოთ, მაშინვე რამდენიმე დე-  
ვი ჩემკენ გამოგზავნეთ, ერთი თვის სავალს ყოველ მხარეს მცველნი და-  
ყუენეთ და მადრიბსტანშიაც ყოველთა ერთა აცნობეთ თავ-თავის კარებ-  
ზედ „ისმიაზამი“ დაწერონ და მიაკრან, ღვთის შეწევნით მეც მალე მო-  
ვალ. და თუ უთქმის ნებაა და ჩემი აღსასრული მეწია და სცნათ, მაშინ  
მადრიბში ნუდარ დასდგებით, სრულიად აიყარებით და ინდოეთს წადით,  
არამც თუ წვეულ ზარბაქ-დევის ხელში ჩავარდეთ. და ახლა თქვენ იცით  
როგორც მადრიბსტანს მოაშენებთ და წინ წაიყვანთ, ციხეებიც გაამაგრეთ  
და ციხეების კარებებზე ყველაზე „ისმიაზამი“ დაწერინეთ, და ამ რიგათ  
ღვთისაგან იმედი მაქვს რომ მათგან არა გვენთნა.

რა ესენიც დაარიგა, მაშინ ბრძანა ჩემი მცირე ზანდუკი მთლიანად  
მოართვეს ზანდუკი, კადალ და რაც თარვან-დევისაგან ნასწავლი მაჯუმები  
ან სხვა წამლები ჰქონდა იმ ზანდუკში ჩააწეოთ, რომელიც კი სახელდახე-  
ლად სახმარი იყო, იგინი ზედ იქონია და კოჭლ-დევის უბრძანა, აბა მთ-  
თუბ ახლა გამოიხსნება შენი ერთგულობა და გარჯილობა. ისე უნდა ვი-  
ნათ რომ არა ჯინთა დევთა და ჯადოთა არ შეიტყონ ჩვენი მკზავრობა,  
ამისთვის რომ თუ სცნან ჩვენ აქედამ გავსუფავართ, ქვეყანაზედ მრავალი  
მტერი გვეყვას, მაშინვე მოვლენ და აქაურობას გააოხრებენ. რა ესე დას-  
რულა, მერე რაც მეტი იარაღი ჰქონდა ზანდუკში ჩაღაგა, თავისი ღამი-  
ათ თხუთმეტ კარგ თაღვეან დევთა წაატანა და სხვა რაც იარაღი, მხედრ-  
თუ ნივთეული სრულიად იმ თორმეტს დევთა აჭვიდა, სხვათაც ყოველთა  
დარიგებით და დიდის სიყვარულით გამოეხსალმა. ქუჩუკი და თორმეტნი  
დეგნი ზარბაქ-დევის გზას გაემართნენ.

(ზაგრძელება მეათე კარში იხილეთ).

